



საქართველოს ეროვნული

მეცნიერებათა
უნივერსიტეტი

საჯარო ქაუზის ციკლიდან 2018

მეტი, ვიდრე ინფორმაცია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2018

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, პროექტ „უნი-ვერსიას“ ფარგლებში, იწყებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საჯარო ლექციების ციკლის ბეჭდვას. საჯარო ლექციები, რეგიონული მაუწყებლობის ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, რეგიონული ტელევიზიების ეთერში გადაიცემა და მეცნიერების პოპულარიზაციას ემსახურება.

კრებული მოიცავს ერთი წლის განმავლობაში გადაცემა „უნი-ვერსიაში“ გასულ საჯარო ლექციებს (პირველ გამოცემაში გაერთიანებულია 2018 წლის გადაცემებში გასული ლექციები). მასში მკითხველი ეტაპობრივად გაეცნობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა და სხვადასხვა სამეცნიერო სკოლის წარმომადგენელთა სუბრებს, სამეცნიერო და ექსპერტულ მოსაზრებებს საინტერესო საკითხებზე.

კრებული განუუთვილია, უნივერსიტეტის სტუდენტების, საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

კრებულის შემდგენელი და რედაქტორი: მაია ტორაძე

სარედაქტო ჯუფი:

ნინო კაულია

მანანა ჯურხაძე

თეა სულაძე

კომპ. უზრუნველყოფა:

ზაზა გულაშვილი

ყდის დიზაინი:

ლიანა მარქარიანი

რედაქტორისაგან

„მე არ მაქვს რაღაც გასაოცარი ტალანტი. უბრალოდ, ცნობისმოყვარე ვარ!“ — ასე, ერთ წინადადებაში მოაქცია ალბერტ აინშტაინმა მეცნიერების არსი და, თუ დავუკვირდებით, ყველა დიდი მოაზროვნის ინტერესის და წარმატების საიდუმლო სწორედ ცნობისმოყვარეობაშია.

იყო დრო, როცა მეცნიერება დახურულ სამყაროდ აღიქმებოდა და ადამიანები ამ სამყაროში შეღწევას არც ცდილობდნენ. მას შემდეგ, რაც მიხვდნენ, რომ მათვის გაუგებარი ფორმულების და ალგორითმების უკან იმალებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და აზროვნების შეუქცევადი განვითარება, მეცნიერებისადმი ინტერესი და მისი გამოყენებითი სეგმენტისადმი ცნობისმოყვარეობა გაიზარდა. დღეს მეცნიერებაზე დგას საზოგადოება და ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი.

საჯარო ლექციების ციკლი, რომელიც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის ინიციატივით პროექტ „უნი-ვერსიას“ ფარგლებში სატელევიზიო ეთერით გადაიცემა, ემსახურება იმას, რომ საზოგადოებას გასაგები და პოპულარული ენით მიეწოდის სიახლეები, რომელიც, ზოგადად, მეცნიერების, და კონკრეტულად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევით სეგმენტში გამომუშავდება. ამ

ლექციების საშუალებით დაინტერესებული მკითხველი შეიმეცნებს ბევრისეთ საკითხს, რომელზეც აქამდე წარმოდგენაც არ ჰქონდა და, რაც მთავარია, ამას გაიგებს უშუალოდ პირველი პირის — იმ მეცნიერისგან, რომელიც ამ კონკრეტულ საკითხებზე მუშაობს.

კრებულში გამოქვეყნებული ლექციები ერთნაირად დააკმაყოფილებს მკითხველის ცნობისმოყვარეობას ფიზიკის, ქიმიის, ისტორიის, ქართველოლოგიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის თუ მასკომუნიკაციის სამეცნიერო სილრმეებში მიმდინარე კვლევებისა და აღმოჩენების თაობაზე. მეცნიერებასთან მათი მაკავშირებლები კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და მკვლევრები იქნებიან — ისინი შეგვიძლვებიან იმ რთულ ლაბირინთებში, სადაც მხოლოდ განათლება და ცოდნაა გზამ-კვლევი.

უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მიზანიც ხომ ეს იყო...

სარჩევი

გიორგი შარვაშიძე, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის რექტორი იღია და ცერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 7
თამარ გაგოშიძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი ტვინი და პიროვნება 16
როლანდ თოფჩიშვილი, ეთნოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ქართველთა ხასიათი 27
იაგო კაჭკაჭიშვილი, სოციოლოგი, თსუ-ის პროფესორი რისტვის სოციოლოგია? 40
ზაალ კოკაია, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ფილოსოფიის დოქტორი, ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) პროფესორი, თსუ-ის მოწვეული ლექტორი იმუნური სისტემის როლი ინსულტის დროს 51
თინათინ მარგალიტაძე, ლექსიკოგრაფი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი სზირდება თუ არა ქართულ ენას გაიგლისურება 65

ინესა მერაბიშვილი,
თარგმანმცოდნე, ბაირონოლოგი, თსუ-ის
პროფესორი
გალაკტიონი.....80

გიორგი ოთხმეზური,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი
**ე.ნ. „სამხრეთ რეალის“ პროპლემა
საქართველოში.....97**

ელგუჯა ხინთიძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოსი, თსუ-ის პროფესორი
**„ვეზენსტაინი“ შექსპირის ეპოქის
ინგლისურ დრამატურგიაში.....111**

ილია და ნინა-პითევის გამავრცელებელი საზოგადოება

საჯარო ლექცია პირველ კლასიკურ გიმნაზიაში



**გიორგი
შარვაშიძე,
განათლების
მეცნიერებათა
დოქტორი,
თსუ-ის რექტორი**

ილია ჭავჭავაძის მსგავსი პიროვნებები საუკუნეში ერთხელ იბადებიან და ჩვენს ერს ჰქონდა ბედნიერება, ასეთი მოაზროვნე ჰყოლოდა. ილია არის ისეთი რანგის მოღვაწე, როგორიც ეპროპას ჰყავდა აღორძინების ხანის დასაწყისში. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მონაცემთი ქვეყანაზე ფიქრითაა სავსე — ილია, როგორც პოლიტიკოსი; ილია, როგორც მეცნიერი, ილია, როგორც პუბლიცისტი; ილია, როგორც მწერალი; ილია, როგორც სატირიკოსი. ილიას სატირა არის ფრანსუა რაბლეს სადარი სატირა, რომელიც ძალიან მკვეთრად აჩვენებდა იმ სინამდვილეს, რომელიც მის გარშემო არსებობდა.

რა ხდება საქართველოში ილიას პერიოდში? საქართველო, როგორც ქვეყანა, არ არსებობდა. ის იყო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი. სწორედ ასეთ საქართველოში დაიწყო ილიამ მოღვაწეობა. მან განათლება მიიღო

თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში და შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც ოთხი წლის განმავლობაში სწავლობდა სამართალს. სწორედ იქ ჩამოყალიბდა ილია, როგორც ლიდერი და ადამიანი, რომლის გარშემოც იკრიბებოდა ერთგვარი ბირთვი იმ ადამიანებისა, ვინც შემდგომ დააარსა პირველი დასი და დაინტენტი ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა მაქ-სიმალურად გამოეყენებინათ შესაძლებლობები, რომ საქარ-თველო, როგორც ქვეყანა, ჩამოყალიბებულიყო.

ამ დროს ევროპაშიც მსგავსი პროცესები მიმდინარეობდა. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, დიდ იმპერიებშიც, ყალიბდებოდა ერები. მაგალითად შეიძლება მოვიყვანით ავსტრია-უნგრეთი, სადაც უნგრელი ერის ჩამოყალიბების პროცესი მიღიოდა. იქ მოაზროვნები და მნერლები ქმნიდნენ ენას და საერთო სივრცეს, რის გარშემოც იკრიბებოდა ხალხი, იწყებოდა ეროვ-ნული აზროვნება და განცდა იმისა, რომ ეს არის ერთობა ადა-მიანებისა, რომლებიც ლაპარაკობენ ერთ ენაზე, აქვთ საერ-თო ტერიტორია და საერთო ეროვნული ინტერესები.

ამგვარი იყო განვითარების ის ქვაკუთხედი, რომელიც ილიამ იმდროინდელ ქართულ აზროვნებაში შემოიტანა.

პეტერბურგში გატარებული იონები წლის შემდეგ ილია დაბრუნდა საქართველოში და მის გარშემო შემოიკრიბა ახა-ლი თაობა, რომელმაც, მამების თაობასთან ერთად, საერთო ეროვნული ინტერესების გასატარებლად დაიწყო საქმიანობა.

ამ დროს საქართველოში არ არსებობდა სახალხო განათ-ლების სისტემა. იყო რამდენიმე ადგილი/სკოლა, სადაც შეიძ-ლებოდა განათლების მიღება, ოღონდ ეს ადგილები განკუთ-ვნილი იყო თავადაზნაურობისთვის და არა გლეხებისთვის. ამასთან, ქართული სკოლები იძლეოდა ცოდნის დაბალ ხა-რისხს და რაოდენობრივადაც ცოტა იყო — თვითონ ილია ამბობს, „კანტიკუნტად არის ეს შკოლები განლაგებული” და ათზე მეტ სოფელზე თითო სკოლა მოდისო.

ასეთი იყო რეალობა. ილიამ და მისმა თანამოაზრებმა კი ამ რეალობაში დაიწყეს მოძრაობა იმისთვის, რომ საქართვე-ლოში შექმნილიყო სკოლების ქსელი, სადაც ყველა ქართველ ბავშვს ექნებოდა დაწყებითი განათლების საკუთარ ენაზე მი-

ლების საშუალება. ეს ადვილი საქმე არ არის! სკოლას სჭირდება კადრები, წიგნები და ბევრი მატერიალური რამ, რაც არსებობის საშუალებას მისცემს. თუ ნახავთ ილიასეულ წერილებს და მიმოწერას კოლეგებთან, იქ იყითხება, თითქოსდა, პატარა დეტალები, მაგრამ, საერთო ჯამში, ზრუნვა მთელ ამ პროცესზე. არ დაგვავიწყდეს, რომ ამ ქსელის შექმნა არ შედის რუსეთის იმპერიის ინტერესებში. კოლონიზაციონს კარგად ესმის, რომ ეს ყველაფერი მომავალში იმპერიის დასამხობად იქნება გამოყენებული და ხელს უშლის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობას, ხოლო ერთიანი ქართული სივრცას და ქართული აზრის გაჩენა შემდგომში დამპურობლის მიერ კვალიფიცირებულია ძალიან საინტერესო ტერმინით — „პანგრუზინიზმი“ ანუ „პანქართველობა“. რუსეთისთვის საქართველო და ქართველი მაშინ ერთიანი ცნება არ იყო. თუ მოსახლეობის მაშინდელ აღნერას ვნახავთ, ეროვნებების ჩამონათვალში სხვადასხვა სტრიქონში, სხვადასხვა ხაზზე წერია ეთნიკურად ქართველები — ცალკე იმერლები, ცალკე გურულები, თუშები, ხევსურები, სვანები და ასე შემდეგ. „დაყავი და იბატონე!“ — ეს იყო იმპერიული ზრახვა, რომელიც საქართველოს სულიერ, სივრცულ და საგანმანათლებლო გაერთიანებას უშლიდა ხელს და საშიშროებას ხედავდა სწორედ სკოლებში, სადაც ყველაფერი იწყება დედა ენით, ანბანით და მთავრდება ისეთი ადამიანის ჩამოყალიბებით, რომელსაც არა მხოლოდ ცოდნა აქვს, არამედ ღირებულებების სისტემა, რომელსაც მშობლიური ენის მეშვეობით იღებს.

1870-იანი წლების შუა პერიოდში შვილების, ანუ ილიას, თაობამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეობა შესთავაზა გრიგოლ ორბელიანს, რომელსაც უნდა დაეწყო ზრუნვა საქართველოში ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნაზე. გრიგოლმა უარი განაცხადა — მე კი არა, ეს დიმიტრი ყიფიანი უნდა იყოსო. სწორედ ამიტომ, საზოგადოებისა და გამგეობის პირველ თავმჯდომარედ დიმიტრი ყიფიანი აირჩიეს.

სამი წლის შემდეგ შეიცვალა საზოგადოების ხელმძღვანელი და ეს ტვირთი ივანე ბაგრატიონ-მუხრანელმა იტვირთა.

ამის შემდეგ კი საზოგადოება გადაიბარა ილია ჭავჭავაძემ და მას იგი უცვლელად, გარდაცვალებამდე თავმჯდომარეობდა.

ამ დროს უკვე არსებობდა რუსეთის იმპერატორის ბრძანება, რომელიც ენერა, რომ ყველას აქვს უფლება — საკუთარ ენაზე მიიღოს განათლება, მაგრამ ერთია, რა წერია ბრძანებაში და მეორე — რაც ხდება რეალობაში. რეალობაში კი ხდებოდა ის, რომ ყველა ჩინოვნიკი, რომელიც სახალხო განათლების მიმართულებით მუშაობდა, ხელს უშლიდა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ერებს მშობლიურ ენაზე მიეღოთ განათლება. საქართველოში ამის მაგალითი იყო სასკოლო ოლქის უფროსი იანოვსკი, რომელიც იმპერიული პოლიტიკის გატარებაზე ზრუნავდა. სწორედ მასთან დაიწყო ილიამ ძალიან საინტერესო პოლემიკა, რომელიც შემდგომ ფართო დისკუსიაში გადაიზარდა. იანოვსკის აზრით, ერთერთი ცირკულარის მიხედვით, რუსული ენის სწავლება სკოლებში ქართულ ენასთან ერთად უნდა დაწყებულიყო, რასაც ილია და მისი თანამოაზრები შეეწინააღმდეგნენ.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ პირველი ოცი წლის განმავლობაში, რაც საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გაიხსნა, 19 სკოლა დაარსდა, ოლონდ საგულისხმოა ის, რომ ეს სკოლები საგანგებოდ შერჩეულ ადგილებზე დაარსდა. არსებობს ილიას წერილები იმის თაობაზე, თუ რატომაა აუცილებელი, მაგალითად, აჭარაში გაიხსნას სკოლები.

დისკუსიის დაწყებამდე გაჩნდა მოსაზრება, რომ იაკობ გოგებაშვილი უნდა ყოფილიყო ის კაცი, ვინც აუხსნიდა ბატონ იანოვსკის, თუ რატომ არ შეიძლებოდა სხვა ენის სწავლება დაწყებით კლასში მაშინ, როცა მოსწავლეს საკუთარი ენა არ აქვს ათვისებული, მაგრამ არსებობს იაკობის წერილი, რომელშიც იგი ამბობს: საქმისთვის აჯობებს, რომ ილიამ დაიწყოს დისკუსია. მე მას მოვამარაგებ მასალებით, არგუმენტებით და სათქმელი ილიამ თქვას, ხოლო მას მერე, რაც იანოვსკი საჯაროდ უპასუხებს, ჩვენც ჩავერთვებით პოლემიკაშიონ. აქ კიდევ ერთხელ ხასგასმით იკვეთება, რომ ილიას, როგორც საზოგადო მოღვაწეს, დიდი წონა და ვტორიტეტი აქვს.

მართლაც, ილიამ ძალიან საინტერესო წერილი მისწერა იანოვსკის. მასში საუბარია იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს სკოლა, რატომ არ შეიძლება უცხო ენა შევიდეს სასწავლო პროგრამაში პირველივე წელს და რას გამოიწვევს ეს მოსწავლის განვითარების და სოციალიზაციის თვალსაზრისით. ეს დისკუსია იმ დროისთვის მეცნიერულად ძალიან სწორია, რადგან მშობლიური ენა არ არის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება, ის არის გასაღები და თვალები, რომლითაც გარე სამყაროს აღიქვამ. ვილჰელმ ჰემბოლდტმა, ძალიან დიდმა გერმანელმა მოაზროვნებ, ჩამოაყალიბა თეორია, რომელშიც ამ პროცესს უწოდებს „მსოფლიოს აგებას“ საკუთარი ენის მეშვეობით — ანუ შენ ხედავ საგნებს ისე, როგორც ამას საკუთარი ენა გასწავლის, ამიტომ, ენები ცნობიერებაში უნდა შემოვიდეს რიგორიგობით და ამას ენის თეორიაში უწოდებენ ენების იერარქიულ შემოსვლას. ამ თეორიის მიხედვით, სხვა ენების სწავლა უნდა დაიწყოს მას შემდეგ, რაც ადამიანი დაღვინდება და მისი ენობრივი სტრუქტურა განმტკიცდება. ასეთი იყო ილიას ხედვა და ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რომელიც იანოვსკის მისწერა, თუმცადა, იქ არგუმენტებზე კი არა, უმეტესად რუსეთის მიერ გაატარებულ პოლიტიკაზეა საუბარი. ამ ტიპის კამათში მარცხდება არა ის, ვისაც არგუმენტი აღარ აქვს, არამედ იმარჯვებს ის, ვისაც მეტი ძალა-უფლება აქვს. ამ შემთხვევაში იანოვსკის ჰქონდა მეტი ძალა-უფლება, თუმცა, საერთო ჯამში, იმპერიის პოლიტიკამ მაინც წააგო.

მე ვახსენე აქ „პანგრუზინიზმი“. ეს ტერმინი გაუღერდა მაშინ, როდესაც იანოვსკი გარდაიცვალა. ის 1905 წელს დაკრძალეს პეტერბურგში და სწორედ იქ ითქვა — ქართველებს უნდათ დიდი სახელწიფოს შექმნა და ამ კაცმა, რომელსაც დღეს ვკრძალავთ, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ „პანგრუზინიზმი“ არ შემდგარიყო. ასეთი იყო კოლონიური ხედვა, რომელიც იმპერიას და იმ ჩინოვნიკებს გააჩნდათ, ვინც აქ „მოღვაწეობდა“. სწორედ მათ ეწინააღმდეგებოდა ილია და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ილიას მოღვაწეობის არეალში შედიოდა ყველაფერი, რაც სახელმწიფოებრივ მშენებლობას და ერთიანი ენობრივი სისტემის შექმნას სჭირდებოდა — საადგილმამულო ბანკი, რამდენიმე უურნალ-გაზეთი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა, ენების ხორმების შემოტანა, ანუ ყველაფერი ის, რაც აუცილებელია, რომ შეიქმნას ერთიანი საგანმანათლებლო სისტემა თავისი ლექსიკით, ტერმინოლოგით და ა.შ..

ილია ძალიან კარგად ხედავს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნაკლოვანებებს და ხან იუმორით, ხან კრიტიკითა და თვითკრიტიკით ამბობს სათქმელს. ერთ მაგალითს მოვიყვან: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების პირველ ეტაპზე, დაახლოებით, 160 წევრი გაერთიანდა, რომლებიც ამბობდნენ, რომ წელიწადში 20 მანეთს გადაიხდიდნენ, რათა ეს თანხა ბიბლიოთეკას, შეშის შექმნას, მასწავლებლების ხელფასებს, ინფრასტუქტურას მოხმარებოდა. თუმცა, ბევრი მათგანი უშუალოდ საზოგადოების დაფუძნების დღეს არც კი მივიდა. მანამდე ილია წერდა სწორედ ამ საშიშროებაზე — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება კარგი წამოწყებაა, თუ „ქართველურად“ არ მოვიქცევით, ანუ თავიდან აღფრთვისანებულები ამ კარგ წამოწყებას არ დავივინულებოთ.

იმ პერიოდში რამდენჯერმე გაჩნდა მოსაზრება საზოგადოების თავმჯდომარის შეცვლის შესახებ. ეს მოსაზრებაც გასაგებია, რადგან ილია თავადაც ბოლომდე იხარჯებოდა და სხვებისგანაც ბევრს ითხოვდა. ამიტომ, როგორც კი ეს აზრი გაჩნდებოდა, ილია პასუხობდა, რომ მზად იყო, წასულიყო და სავარძელი სხვისთვის დაეთმო, მაგრამ ამის შემდეგ მას სთხოვდნენ, რომ არ დაეტოვებინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ამდენად, ილია დიდხანს იყო ამ საზოგადოების შეუცვლელი თავმჯდომარე.

ეს მაგალითი უკეთ გვაცნობს ილიას, რომელიც ძალიან კარგად აფასებს თავის შესაძლებლობებს, ოღონდ, რა საქმე-საც იწყებს, მას ბოლომდე მიჰყვება და ამთავრებს. ამიტომაც არის, რომ იგი ხელმძღვანელობს ყველაზე ეროვნულ საქმე-ებს, რადგანაც საქართველოში უკვე მიმდინარეობს მშენებ-

ლობა იმისა, რაც მოგვიანებით გადაიქცევა საქართველოს სახელმწიფოდ. ილიას თითქმის ყველა წერილს ლაიტმოტივად გასდევს, რომ მისი ყველა მცირე ან დიდი ნაბიჯის მიზანი არის დამოუკიდებელი, ერთიანი საქართველოს შექმნა.

ილიას თვითკრიტიკაც ახასიათებს. ერთგან ის საუბრობს თბილისის სახელობო სასწავლებელზე და მოჰყავს სტატისტიკა — რამდენიმე მოსახლეობა და რამდენი ქართველი სწავლობს ამ სასწავლებელში. აღმოჩნდა, რომ ამ სასწავლებელში ყველაზე მეტი (მოსახლეობასთან შეფარდებით) გერმანელი სწავლობს (მაშინ თბილისში ბევრი გერმანელი ცხოვრობდა). ილია კითხვას სვამს — რატომ ხდება, რომ გერმანელები ასე აფასებენ ცოდნას? და თავად პასუხობს — იმიტომ, რომ გერმანელებმა კარგად იციან — ინვესტიცია, რომელსაც მშობლები დებენ ბავშვებში, აუცილებლად ათმაგად დაუბრუნდებათ უკან. ცოდნა არის ის კაპიტალი, რომელსაც აუცილებლად მოაქვს დივიდენდი. ილია ისევ სვამს შეკითხვას — რატომ ხდება ისე, რომ ჩვენ დაცვარეთ სწრაფვა ცოდნისაკენ და რატომ სწავლობს ძალიან ცოტა ქართველი? ეს წერილი დღესაც რომ წავიკითხოთ, ძალიან აქტუალურია, თუმცა დღეს მოტივაცია გაცილებით მაღალია, რადგან გვაქვს წიგნები ქართულ ენაზე, გვაქვს განვითარებული ტერმინოლოგია და არსებობს განათლების სისტემა. ეს ყველაფერი კი იმ ხალხის დამსახურებაა, რომელთაც განმანათლებლური მოძრაობა დაიწყეს საუკუნენახევრის წინ და შეძლეს საქართველოში ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება.

ჩემთვის ნიშანდობლივია, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილიას გარეშეც (1907 წლის მერე) გააგრძელა მუშაობა და კიდევ კარგა ხანი — 1923 წლამდე იარსება.

ილიას ჩართულობით კიდევ ერთი მიმართულებით დაიწყო ძალიან საინტერესო პროცესი — მეოცე საუკუნის დასაწყისში ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრი გახდა თავადაზნაურობის კვოტით, თუმცა თავად ამბობდა: „მე არ წარმოვადგენ მხოლოდ თავადაზნაურობას, მე გამოვიყენე ეს საშუალება იმისათვის, რომ მთელი საქართველო წარმო-

ვადგინო“, ანუ სახელმწიფო საბჭოში იღია წარდგენილია, როგორც ერის მამა. ამავე დროს, საქართველოში შეიქმნა ჯგუფი, რომელიც ამბობდა, რომ აუცილებელია, აღდგეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. თავიდან იღიას სკეპტიკური მოსაზრება ჰქონდა ამასთან დაკავშირებით, თუმცა მერე თქვა — მეტი არგუმენტი მინდა იმისთვის, რომ ვილაპარაკო ობერ-პროკურორთანო. საქმე ისაა, რომ ეკლესია მაშინ არ იყო დამოუკიდებელი. ის იყო სახელმწიფო აპარატის ნაწილი და წმინდა სინოდს მართავდა ობერ-პროკურორი, ანუ საერო ადამიანი, რომელიც დანიშნული იყო იმპერატორის მიერ. შესვედრები და ზრუნვა იმაზე, რომ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია დაბრუნებოდა, საერთო ჯამში, წამოეშველა სახელმწიფოებრივი აზროვნების ერთიანი სივრცის შექმნის იდეას. ეს ვერ განხორციელდა იღიას სიცოცხლეში, მაგრამ, ათი წლის შემდეგ, 1917 წელს, აღდგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია.

მეორე ნაბიჯი, რომელმაც დააგვირგვინა იღიას და მის თანაგუნდელთა მიერ დაწყებული სამუშაო, იყო უნივერსიტეტის დაარსება. ასე შეიქმნა ცოდნის კერა და ტაძარი, რომელმაც დააგვირგვინა განათლების სისტემის პროცესი, რომელსაც იღიამ ჩაუყარა საფუძველი.

კიდევ ერთი ფაქტია მნიშვნელოვანი. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თბილისის უნივერსიტეტი ასი წლის წინ დაარსდა და იუბილეს 8 თებერვალს ვზეიმობთ, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ეს უნივერსიტეტი მხოლოდ კავკასიაში პირველი კი არა, მთელს პოსტრუსეთის იმპერიაში პირველი უნივერსიტეტი იყო და არის, რომელმაც სწავლება მშობლიურ ენაზე დაიწყო. იმ დროს უნივერსიტეტები სხვაგანაც ფუნქციონირებდა, ოღონდ სწავლება მშობლიურ ენაზე არსად მიმდინარეობდა, რადგან რუსეთის იმპერიაში შემავალი არც ერთი, ჩვენზე განვითარებული ერიც კი, ამისთვის მზად არ აღმოჩნდა. ქარველები აღმოვჩნდით! და რატომ? იმიტომ, რომ ის სამუშაო, რაც იღიამ წარმართა და რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გააგრძელა, იყო საფუძველი, რომელმაც მოგვცა საშუალება — გაგვეხსნა ქართული უნი-

ვერსიტეტი, ჩამოგვეყალიბებინა სამეცნიერო სკოლები, შეგვექმნა ტერმინოლოგია.

ილია არის ფენომენალურად დიდი პიროვნება, ერისკაცი, ერის მამა და მას გვერდს უმშვენებენ სხვა მოღვაწეები, რომლებსაც ევროპული განათლება ჰქონდათ მიღებული სხვადასხვა დიდ უნივერსიტეტში.

მე ხშირად მეკითხებიან ჩვენი პარტნიორები — საქართველო ევროპა? თავის დროზე ილიაც ფიქრობდა იმაზე, თუ სად დგას საქართველო, ეს ევროპა თუ აზია? ილია ამბობს, რომ უფრო მეტად ჩვენ ვართ ევროპა, თუმცა დაკავშირებული ვართ აზიასთან, რადგან ერთგვარი ხიდი ვართ ევროპასა და აზიას შორის.

ფილოსოფიური დისკურსი, რომელიც შემოგვთავაზა ილიამ, არის ძალიან თანამედროვე, აქტუალური და ცოცხალი. ის იყო პიროვნება, რომელიც ყველა პარტიაზე მაღლა იდგა. რამოდენიმე წლის წინ ილიას ერთ-ერთ იუბილეზე განათლების მაშინდელმა მინისტრმა თამაზ კვაჭანტირაძემ თქვა ძალიან საინტერესო რამ — მე არ მინდა, რომ საქართველოში იყოს ბევრი პარტია, საქართველოში უნდა იყოს ერთი პარტია. ეს ერთი პარტია უნდა იყოს ილიას პარტია და ჩვენ ყველანი უნდა ვიყოთ ილიელები.

მეც ასე დავამთავრებ: თუ ილიასეული ხედვები გაგვაერთიანებს, მაშინ საქართველოში ყველაფერი კარგად იქნება და ეს გააჯანსაღებს იმ გარემოს, რომელშიც ვცხოვრობთ.

ტენის და პიროვნება

თამარ
გაგოშიძე,
ფსიქოლოგიის
მეცნიერებათა
დოქტორი,
თსუ-ის
პროფესორი



თავის ტვინის და პიროვნების ურ-
თიერთმიმართება არის საკითხი, რო-
მელიც საუკუნეების განმავლობაში
აინტერესებდათ მეცნიერებს და დიდ
მოაზროვნებს. ზოგიერთი მეცნიერი
მიიჩნევდა, რომ ფსიქიკა შეიძლება დაყ-
ვანილ იქნეს ფიზიკურ პროცესამდე და
თავის ტვინმა ისევე გამოიმუშავოს ის,
როგორც კუჭმა — კუჭის წვენი, ზოგი
კი ასაბუთებდა, რომ ფსიქიკა ფიზიკის-
გან დამოუკიდებელი სუბსტანციაა.

ჩვენი საუბარი შეეხება პიროვნებას
და მის ცენტრალურ ნერვულ სისტემას.
მოკლედ მოგახსენებთ, რომ ნეიროფ-
სიქოლოგია სწავლობს დაზიანებული
თავის ტვინის მქონე პიროვნებას, ადა-
მიანს, რომელსაც, რაღაც მიზეზების
გამო, თავის ტვინის ნორმალური ფუნ-
ქციონირება აქვს დარღვეული. დაზი-
ანებულ თავის ტვინს სწავლობს ნევ-
როლოგიაც, ელექტროფიზიოლოგიაც,
ნეიროანატომიაც, ნეიროფიზიოლოგი-
აც, მაგრამ ფსიქოლოგიას, ჩვენ შემთ-

ხვევაში, ნეიროფსიქოლოგიას, აინტერესებს თავის ტვინის დაზიანება პიროვნებასთან მიმართებაში. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ თავის ტვინი ბიოლოგიური წარმონაქმნია, ის შედგება ნეირონებისგან, რომლებსაც გარკვეული ტიპის აქტივობა ახასიათებთ. ექიმებმა და ბიოლოგებმა კარგად იციან, როგორია ტვინის ელექტრული აქტივობა — ნორმა-ლურია ის თუ პათოლოგიური. დღეს, იმ ეპოქაში, როცა გავრცელებულია ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიც არის ვიზუალური ნეიროვიზუალიზაცია, ბევრი კვლევა არსებობს იმის შესახებ, თუ რას აკეთებს ადამიანის ტვინის გარკვეული სისტემები, როდესაც ის რაღაც აქტივობითაა დაკავებული, მაგრამ ამის მიღმა დგას აზრი, ფიქრი, აღქმა, მეხსიერება და ვერავინ იტყვის, კონკრეტული ნეირონების აქტივობა როგორ გარდაიქმნება ჩვენს აზრად.

ჯ. შერინგტონი, რომელმაც აღმოაჩინა ნეირონის აქტივობა, ამბობდა — მე შეიძლება ძალიან კარგად აღვწერო ნეირონის აქტივობა, მაგრამ ვერ გეტყვით, ამ აქტივობიდან როგორ ხდება გარდაქმნა/ტრანსფორმაცია აზრში, წარმოსახვაში. ნეიროფსიქოლოგია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს სწორედ ამ პრობლემას — რა ხდება ადამიანის თავის ტვინში, რომელსაც აქვს დაზიანება და რატომ არის მნიშვნელოვანი პიროვნების როლი დაზიანებული თავის ტვინის აღდგენაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ დაზიანდა თავის ტვინი და დაირღვევა შესაბამისი ფსიქიკური პროცესები, ჩვენ უნდა ვისაუბროთ იმაზე, თუ რა პროგნოზი შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, როგორ შეიძლება დარღვეული ფუნქციების აღდგენა. დღეს ძალიან ბევრი მოდელი არსებობს, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, რომელიც გვეუბნება, რომ შესაძლებელია გარკვეული სისტემების გარკვეულ დონეზე რეგენერაცია და პლასტიკურობა და ეს სისტემები შეიძლება, გარკვეულწილად, აღდგეს. ნეიროფსიქოლოგია კი გვეუბნება, რომ პლასტიკურობა მხოლოდ ფიზიკაზე არ არის დამოკიდებული, იგი ტვინს, ბიოლოგიურ ერთეულს, ეხება, მაგრამ გადამწყვეტი როლი ამ პლასტიკურობაში ფსიქიკას უჭირავს. ანუ — ვისაც თავის ტვინის დაზიანებასთან დაკავშირებით აქვს პრობლე-

მა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის განწყობას, მის ემოციას, დაავადებისადმი დამოკიდებულებას. გამომდინარე აქედან, აღდგება თუ არა დარღვეული პროცესი — მეტყველება იქნება ეს თუ მეხსიერება — ცხადია, გარკვეულწილად, ამ განწყობაზე დამოკიდებული. არის შემთხვევები, როდესაც ორი ერთნაირი დაზიანების მქონე ადამიანის მეხსიერება ან მეტყველება განსხვავებულად ემორჩილება აღდგენის ტენდენციებს ზუსტად იმიტომ, რომ ერთი მათგანი ოპტიმისტურადაა განწყობილი — მას მიღებული/აღქმული აქვს თავისი დაავადება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ტვინის ყველა სისტემა ჩართულია, რათა პრობლემა გადალახოს.

რას აკეთებს ტვინი ამ დროს? ამისათვის უნდა გავიგოთ, როგორ ფუნქციონირებს ის. ძალიან მარტივად რომ ავხსნათ, ტვინი შედგება ნაწილებისგან, რომელსაც თავთავიანთი ფუნქცია და პასუხისმგებლობა გააჩნიათ გარკვეულ პროცესებზე, მაგრამ, ამავე დროს, ეს მცირე ნაწილები ერთ მთლიან სისტემაში ერთიანდებიან და აღდგენის პროცესში მათი წვლილი დამოკიდებულია იმ მოტივაციასა და ქცევაზე, რასაც ადამიანი ახორციელებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მაგალითად, ხელის გაქნევა — ეს არის ჩვეულებრივი ფიზიკური პროცესი, რომელსაც აქვს თავისი ტრაექტორია. კინეზიოლოგები ამბობენ, რომ ეს გარკვეული ტიპის მოძრაობაა და მას, იმისდა მიხედვით, თუ რა მოტივაცია აქვს ადამიანს, თავის ტვინის სრულიად განსხვავებული სისტემები უზრუნველყოფენ.

რაში მდგომარეობს ეს სასწაული? მაგალითად, მე თუ მინდა ბუზის მოშორება და ხელი ავიქნიე, ან თუ ვცეკვავ, ანაც თუ ვინმემ გამაბრაზა და იგივე ტრაექტორიით უნდა გავარტყა, ზუსტად ერთი და იგივე მოძრაობას ვაკეთებ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა ამ მოქმედებაში ჩემი თავის ტვინის სრულიად განსხვავებული უბნები მონაწილეობენ და ამას ამტკიცებს დღევანდელი ნეიროვიზუალური საშუალებები, იქნება ეს PET თუ MRI.

რატომ ხდება ასე? თავის ტვინს გააჩნია წამყვანი და დაქვემდებარებული სისტემები. წამყვანია სისტემა, რომელიც

მოტივაციას, მიზანს ემსახურება. ნებისმიერი ჩვენი მოქმედება მიზანშეწონილი მოქმედებაა. აქედან გამომდინარე, ეს მიზანშეწონილი მოქმედება აისახება თავის ტვინის შესაბამის სისტემაში, სადაც უფროსი შეიძლება იყოს სულ სხვა სისტემა და დაქვემდებარებული — სულ სხვა. თუ შევცვლით ქცევას, უფროსი სისტემაც შეიცვლება და დაქვემდებარებულიც. ვიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ გენეტიკურად თანდაყოლილი გვაქვს, რომ ყურით უნდა მოვისმინოთ და თვალით უნდა დავინახოთ, ესაა გენეტიკურად თანდაყოლილი, ე.წ. მყიფე სტრუქტურები. ის არ იცვლება ცხოვრების განმავლობაში და თუ ისეთ პირობებში ჩავვარდით, სადაც გარკვეული მიზეზების გამო ახალ სიტუაციასთან შეგუება დაგვჭირდა, შეიძლება ეს მყიფე სტრუქტურებიც შეგვეცვალოს. მაგალითად მოვიყეან ყრუ და სმენადაქვეითებულ ადამიანებს ან ბრმა და მხედველობადაქვეითებულ ადამიანებს. ზოგადად, მხედველობის არე კეფის ნილშია მოთავსებული, ხოლო სმენითი ანალიზატორი — საფეთქლის არეში. თუ აღმოჩნდება, რომ სმენის ანალიზატორი არ მუშაობს, ამ შემთხვევაში ტვინის სხვა უბნები და სხვა სისტემები გააქტიურდება. ყველამ კარგად ვიცით, როგორი სმენა აქვთ მხედველობადაქვეითებულ ადამიანებს, ან როგორ აქვთ განვითარებული აქტიური შეხებისა და ვიბრაციის შეგრძნებები სმენადაქვეითებულებს — ეს იმის ნიშანია, რომ მათი ტვინი შეიცვალა, რადგან პიროვნება გარემოს უნდა შეეგუოს, მან ასეთი მოცემულობით, ასეთი სენსორული სისტემებით უნდა იცხოვროს და ამიტომ ისიც კი შეიცვალა, რაც გენეტიკურად არის მოცემული. კიდევ უფრო კონკრეტულად რომ ავხსნათ — გენეტიკურად მოცემული მისი საფეთქლის ნილი ვერ ამუშავებს სმენით ინფორმაციას, მაგრამ მას სჭირდება გარემოსთან შეგუება, ამიტომ ჩაირთვება ტვინის ზუსტად ის ადგილები, რომლებიც პასუხს აგებენ იმ სენსორულ შეგრძნებებზე, რომელიც კონკრეტულ პიროვნებას დაეხმარება გარემოს აღქმაში. ეს არის ყველაზე კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება გადაეწყოს ტვინი გარემოსთან შესაგუებლად.

რა ხდება მეტყველების დარღვევის დროს? პირველად მეტყველების დარღვევები აღნიშრეს გამოჩენილმა ფრანგმა ნეკროლოგებმა პ. ბროკამ და კ. ვერნიკემ. აღმოჩნდა, რომ მეტყველება ირღვევა სხვადასხვა დაზიანების დროს: ბროკამ აღმოაჩინა, რომ ასეთი რამ ხდება შუბლის წილის დაზიანების დროს, ხოლო ვერნიკემ აღმოაჩინა, რომ იგივე შედეგები მოჰყვება საფეხქლის წილის დაზიანებას. ორივე მართალი იყო, რადგან ჩვენს მეტყველებაში თავის ტვინის ძალიან ბევრი სისტემა მონაწილეობს და თითოეული მათგანი მეტყველების განსხვავებულ ასპექტზე აგებს პასუხს.

მეტყველება ძალიან რთული პროცესია. ვთქვათ, მე გელა-პარაკებით და თქვენ მისმენთ. რა ხდება ამ დროს? — ორივე შემთხვევაში ჩვენი ტვინის სხვადასხვა უბნები მუშაობს. ამ დროს მე ვალდებული ვარ, აზრი გადმოგცეთ და ტრანსლა-ცია გავაკეთო სიტყვებში, ანუ — ჯერ უნდა მინდოდეს, რომ გელაპარაკოთ, უნდა მქონდეს მოტივაცია, უნდა შემეძლოს სიტყვების მოძებნა ჩემს მეხსიერებაში, უნდა მოვახერხო ამ სიტყვების დალაგება წინადადებაში და ეს სინტაქსური მთლიანობა უნდა გადმოგცეთ თქვენ არტიკულატორულად... თქვენ რას აკეთებთ ამ დროს? ჯერ უნდა გინდოდეთ, რომ მომისმინოთ, ანუ უნდა გქონდეთ მოსმენის მოტივაცია და უნდა გქონდეთ სამეტყველო სმენა, რომელიც განსხვავდება ჩვეულებრივი, საგნობრივი სმენისგან — ის, რომ თქვენ გესმით ჩემი ბეგერები და მათ მნიშვნელობას ანიჭებთ, არის სპეციფიკური, ფონემატური სმენა. თუ ეს არ გაქვთ, მეტყვე-ლების პრობლემა შეგექმნებათ. კიდევ ბევრი ფაქტორის ჩა-მოთვლა შემიძლია და ეს ყველაფერი ერთ ცენტრში ან ერთ უბანში ხომ ვერ ლოკალიზდება? შესაბამისად, გამოდის, რომ ყველა იმ პროცესზე, რომელიც ჩამოვთვალე, თავის ტვინის სხვადასხვა სისტემები აგებენ პასუხს, მაგრამ ისინი მუშაო-ბენ ერთად, რათა ეს პროცესი — დიალოგური პროცესი — ანუ ჩემი მონოლოგი და თქვენი მოსმენა, შედგეს.

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მე პრობლემა მაქვს? ჩამო-ყალიბებული პიროვნების, უკვე ზრდასრული ადამიანის თა-ვის ტვინის დაზიანების კანონზომიერება არის სულ სხვა და

განვითარებაში მყოფი ბავშვის ტვინი და მისი ფსიქიკური პროცესების განვითარება — სხვა. დღეს ჩვენ ვსაუბრობთ ჩამოყალიბებული პიროვნების თავის ტვინის დაზიანებაზე, პიროვნებისა, რომელსაც განვითარებული მეტყველება აქვს. ვთქვათ, მოხდა ისე, რომ სისხლის მიმოქცევის მოშლის შემდეგ ადამიანს დაერღვა მეტყველება (ეს ძირითადად ხდება მარცხენა თავის სფეროს დაზიანების შემთხვევაში, იმ ადამიანებში, ვისაც აქვთ წამყვანი მარჯვენა ხელი — ანუ, მემარჯვენა). ცაციებში ეს ისტორია ცოტა სხვანაირად მიმდინარეობს. ცაციებს შეიძლება დომინანტური ჰემისფერო მეტყველებით ჰქონდეთ მარცხენა და ხანდახან — მარჯვენა). ასეთ დროს ის პროცესები ირღვევა, რომელიც იმ უბნებთანაა დაკავშირებული, რომელსაც დაზიანება შეეხო, სხვა უბნები კი შენახული რჩება. შეზღუდვის დაძლევის პროცესში პიროვნების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ის შენახული პროცესები აამუშაოს დეფიციტის გადასალახად.

ჩვენი მეცნიერება — ნეიროფსიქოლოგია, სწორედ დეფიციტებს სწავლობს, ხოლო დეფიციტი იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც გვაინტერესებს პიროვნების ძლიერი მხარეები. დიდი ნევროლოგი ჰ.ჯექსონი იყო პირველი, ვინც თქვა, რომ ადამიანმა შეიძლება მეტყველების მოშლის დროს ვერ თქვას ძალიან მარტივი სიტყვა — „არა“, მაგრამ, საკმარისია, ის სხვა კონტექსტში ჩასვა, გაბრაზდეს ან გაუხარდეს, რომ „კი“-საც გეტყვის და „არა“-საც. ხომ უცნაურია, რატომ ხდება ასე? საქმე ისაა, რომ, აქაც საქმე გვაქვს იმ შემთხვევასთან, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ — სხვადასხვა სისტემების ჩართულობაზე ერთი და იგივე მოძრაობის შემთხვევაში. ჩვენი ქცევა პიროვნებით არის გაშუალებული და ამიტომ ამ ქცევას საზრისი უნდა გააჩნდეს. როცა მე აზრიან მოქმედებაში ვარ ჩართული, არ ვფიქრობ მეტყველებაზე და, შესაბამისად, წამყვანი დონე ჩემს თავში, ჩემი ტვინის სისტემებში, არის სულ სხვა და არა ეს დაზიანებული დონე. ანუ მე შემიძლია ვისწავლო ლაპარაკი შემოვლითი გზით და, შესაბამისად, ჩემი ახალი ტიპის მეტყველება იქნება განპირობებული სხვა სისტემით.

ამაზე ბევრს საუბრობდა ორი დიდი მეცნიერი ალექსან-დრე ლურია და კურტ გოლდშტეინი. ლურია გვეუბნება, რომ ჩვენ არ გვაქვს გარკვეული პროცესების მყიფე ლოკა-ლიზაცია თავის ტვინში. ეს პროცესი დინამიკურია და დი-ნამიკურობა გამოიხატება იმაში, რომ იცვლება მოტივაცია და სიტუაცია. დ. უზნაძე ამბობდა, რომ მთავარი არის ჩემი განწყობა და ამ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ ჩემი თავის ტვინის სისტემების ჩართულობაც განწყობის მიხედვით იცვ-ლება. ამიტომ ის, რაც დეფიციტისთვის არის მიუწვდომელი, ძლიერი მხარისთვის მისაწვდომია. არ დამავიწყდება ერთი ჩემი პაციენტი, რომელთანაც ისე მივედი, რომ მისი მაგნი-ტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მაჩვენებელი სურათები არ მინახავს (ის სურათი რომ მენახა, არ მივიდოდი, რადგან შუბლის მაგივრად ორი შავი დიდი ლაქა იყო, ანუ ამ ადამიანს მთელი შუბლი ჰქონდა ატროფირებული). ეს გახლდათ სერი-ოზული ქალა-ტვინის ტრავმის შემდეგ გადარჩენილი ახალ-გაზრდა ბიჭი, რომელსაც უზნიასწარმეტყველებდნენ, რომ შესაძლებლობები ძლიერ შეზღუდული ექნებოდა. გარკვეუ-ლი ხნის შემდეგ ეს ბიჭი ახალგაზრდა ქალბატონთან ერთად შემხვდა — ცოლი შეირთო, მუშაობს... რატომ მოვიყვანე ეს მაგალითი? ამ ბიჭს ჰქონდა მეტყველების დარღვევა. მე არც ვიცოდი, როგორი მიდგომა უნდა მქონდა მისადმი, ვინაიდან თავად მოტივაციაც არ გააჩნდა. შესაბამისად, ჩვენი მთავა-რი ამოცანა იყო არა მეტყველების აღდგენა, არამედ პიროვ-ნული ჩართულობა, პიროვნების მოტივაციის აწევა, რომ მას კომუნიკაცია შეძლებოდა, თუმცა, დეპრესიული მდგომარე-ობის გამო, ეს მას არ უნდოდა. მასთან ჩვენ მუშაობა დეფიცი-ტიდან არ დაგვიწყია და აქცენტი დარღვეულ მეტყველებაზე არ გაგვიკეთებია, უბრალოდ ვსაუბრობდით, უფრო სწორად, ძირითადად მე ვსაუბრობდი — მისი ახლობლებიდან ვიცოდი, რა აინტერესებდა. იგი იყო ძალიან განათლებული, მაღალი ინტელექტის ადამიანი, რომელსაც ჰქონდა ძალიან სერიო-ზული გამოცდილება. სწორედ ეს შენახული გამოცდილება დაეხმარა მას აღდგენაში, ცხადია, ნეიროფსიქოლოგის სა-შუალებით. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ შუბლი ისევ ატრო-

ფირებული დარჩა, ამ ადამიანის ტვინმა მოახერხა ახალ სიტუაციაში ადაპტაცია. დღეს ის ჩვეულებრივად მუშაობს. ეს ჰგავს სასწაულს, მაგრამ ამ სასწაულის გაკეთება პიროვნებას თავისი ტვინის საშუალებით შეუძლია.

ჩვენი ტვინი, იცით, როგორ არის მოწყობილი ევოლუციურად? ჯერ არის ქვედა სართულები, რომელთა ფუნქცია არის ავტომატური და მისი მართვა არ შეგვიძლია, შემდეგ მოდის უკვე ტვინის ქერქი, რომელიც ფილოგენეტურად და ონტოგენეტურადაც ბოლოს ვითარდება. აი, ამ ნაწილის მართვა მეტნაკლებად შეგვიძლია, რადგან ის სოციალურად ყალიბდება. ანუ, თუ დასრულებული ტვინით დაბადებული პავშვის ნეირონები არ ჩაირთვება, თუ მას არ ექნება კომუნიკაცია გარემოსთან და ტვინის ის მოცემულობა, რაც მას გენეტიკურად აქვს, არ ამუშავდა, ის არ განვითარდება. ამის კარგი მაგალითია მაუგლი — მას მშვენიერი ტვინი ჰქონდა, მაგრამ ლაპარაკი არ ესმოდა, ანუ მისი ტვინის ის უბნები, რომელიც კონკრეტულ დროს სოციალური გარემოს გავლენით უნდა ამუშავებულიყო, არ განვითარდა. ლურია გვეუბნება, რომ ადამიანის ფსიქიკა სოციალური, ისტორიული და კულტურულია, ანუ ჩვენ თუ ამ კონტექსტში არ მოვხვდით, ისე ტვინი არ ვითარდება. შესაბამისად, რა არის სოციალურ-კულტურული განვითარება? ეს არის პიროვნების ჩამოყალიბება, ვინაიდან ჩვენ გარკვეულ სოციუმსა და კულტურულ გარემოში ვითარდებით და ვყალიბდებით, როგორც პიროვნება, ჩვენი ლირებულებებით, შეხედულებებითა და ჩვენი მოტივაციებით. ბიოლოგიური თავის ტვინი ამ კანონზომიერებებს ემორჩილება და როგორც კი რამე მოხდება ჩვენს ტვინში, უკვე ჩვენი პიროვნება, ჩვენი ფსიქიკა ექებს გამოსავალს — როგორ მოახდინოს ადაპტაცია ამ დარჩენილი შესაძლებლობების რესურსებით.

მეორე მაგალითსაც მოვიყვან ჩემი პრაქტიკიდან: ქალბატონს, რომელსაც სატრანსპორტო მძიმე ტრავმის შემდეგ ყველაფერი პრობლემური ჰქონდა: მეტყველება, მეხსიერება, მხედველობა, მოდების სიყვარული და ეხმარა. იგი ძალიან დაინტერესებული იყო მოდის სამყაროთი, ჩემგან განსხვა-

ვებით. მე ვერ ვარჩევ ბრენდებს, ის კი კარგად არჩევდა და ძალიან ხალისობდა, როდესაც მეშლებოდა. ვერ ლაპარაკობდა, მეხსიერებაც ცუდი ჰქონდა, მაგრამ ჩვენ მოდების კატალოგით ვისწავლეთ ლაპარაკი და აღვადგინეთ ბევრი რამ. ეს რომ, უბრალოდ, მეტყველების ვარჯიში ყოფილიყო — იგი სიტყვას არ იტყყოდა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნული ჩართულობის თვალსაზრისით. იმის თქმა მინდა, რომ პიროვნებისთვის საინტერესო სიტუაციაში ტვინის აბსოლუტურად განსხვავებული სისტემები ერთვება და შეიძლება ჩაანაცვლოს კიდეც ის სისტემები, რომლებიც დაზიანებულია.

პიროვნების ჩართულობაზე საუბრობდა კურტ გოლდშტეინიც. იგი ამბობდა, რომ, როდესაც ადამიანს უზიანდება თავის ტვინი, ეს არის კატასტროფის ტოლფასი. წარმოიდგინეთ, ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძეთ და ვერ ლაპარაკობთ, უყურებთ ხელს და არ მოძრაობს. შესაბამისად, ეს არ არის მარტო ფიზიკა, ეს არ არის მხოლოდ ის, რომ დამბლა გაქვთ, ეს არის აბსოლუტურად შეცვლილი ცხოვრება, თქვენი პიროვნება. ვ. პრიგატანო, რომელიც ძალიან ცნობილი ნეიროფსიქოლოგია, თავის პაციენტებს ავტოპორტრეტებს ახატვინებდა. ჩვენი პაციენტებიც ხატავენ ხანდახან თავის თავს და აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა კულტურაში ამერიკელებმა და ქართველებმა ერთნაირად დახატეს საკუთარი თავი — სახის გარეშე. როდესაც გამოჯანმრთელებულ ადამიანს ვკითხე, თუ რატომ დახატა საკუთარი თავი უსახოდ, მიპასუხა — ეს მე არ ვიყავი, რადგან, როდესაც ვიხედებოდი სარკეში, სახეც კი შეცვლილი მქონდაო. დააკვირდით — ამ შემთხვევებში დაიკარგა იდენტობა, რომელზეც ძალიან არის დამოკიდებული პიროვნულობა. თუ არ მაქვს ეს იდენტობა, ეს მე არ ვარ, ეს ჩემი სხეული, ჩემი ხმა არ არის. ერთი პაციენტი სწორედ ამას მეუბნებოდა — იმიტომ არ მინდა ლაპარაკი, რომ ეს ჩემი ხმა არ არისო.

რა არის აღდგენის პროცესი? ჩვენ, რომ დაზიანებულ ფუნქციაზე ვიმუშაოთ, ვერაფერს მივაღწევთ, ამიტომ ვიწყებთ პიროვნებით და მისი გამთლიანებით, რომ იდენტობის დამსხვრეული ნაწილები აიკრიფოს, ძველი გამოცდილება ისევ

შეგროვდეს და ადამიანმა მოინდომოს რეალური მოცემულობით ცხოვრება. მას ეს არ უნდა. იგი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, რადგან ეს არ არის მისი ბუნებრივი მდგომარეობა, მისი ცხოვრება, არ იცის, რა ელის, ამიტომ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ დეფიციტებსა და შეზღუდულ შესაძლებლობებზე, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ადამიანი ერთ კონტექსტშია შეზღუდული და სხვა კონტექსტში — სულაც არა. ამ შემთხვევაში ჩვენი — ნეიროფსიქოლოგებისა და ფსიქოლოგების ამოცანაა, რომ ვიპოვოთ ის კონტექსტები და საზრისები, სადაც იგი არ იქნება შეზღუდული და სადაც მას არ ექნება შეზღუდული შესაძლებლობა.

ძალიან საინტერესო წიგნია და ყველას ვურჩევდი, წაიკითხოს, ოლივერ საქსის ნაწარმოები. ის ნევროლოგი იყო და წერდა პოპულარულ წიგნებს ნევროლოგიური პრობლემების მქონე ადამიანებზე. ოლივერ საქსის წიგნი — „როგორ შეეშალა მამაკაცს თავისი ცოლი ქუდში“, არის კარგი ილუსტრაცია იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა იცხოვროს თავისი შეზღუდვებით ისე, რომ ეს ბევრმა ვერ შეამჩნიოს, ან როგორაა შესაძლებელი დეფიციტის დაძლევა. ადამიანი, პირვენება, თვითონ ეძებს იმ სიტუაციებს, სადაც მისი სხეული, მისი ფსიქიკა, შესაძლებლობები უფრო კომფორტულია და შეძლებს საკუთარი რესურსების გამოყენებას.

ჩვენ, პირველ რიგში, პიროვნებას ვითვალისწინებთ და პიროვნება მარტო დეფიციტებისგან არ შედგება, ის ერთი მთლიანია. მას აქვს იდენტობა, მოტივაცია, გამოცდილება, მის უკან მთელი ცხოვრებაა, მას წინ აქვს რაღაც იმედები. ეს პიროვნებაა, ეს არ არის მხოლოდ ნეირონი და მისი ელექტრონული აქტივობა, რომელიც დაზიანდა... თუ ჩვენ ამას არ მივაქცევთ ყურადღებას, ვერ მოვახერხებთ ამ ადამიანის დახმარებას, ამიტომ, პირველ რიგში, ნეიროფსიქოლოგია აკეთებს აქცენტს პირვენებაზე.


ქალა-ტვინის ტრავმის, სისხლის მიმოქცევის მოშლის, თავის ტვინის სიმსივნის ან ნევროლოგიური დავადებების მქონე ადამიანების დეფიციტზე აქცენტის გაკეთება ნიშნავს ამ ადამიანების განირვას. თვითონაც იცის და ჩვენც ვიცით,

რომ ბევრი რამ მას არ შეუძლია, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს რა შეუძლია, რაშია იგი ძლიერი, სად არის მისი ნაკლებად შეზღუდული შესაძლებლობები. ჩვენ ვეძებთ ამას და აქედან ვიწყებთ ადამიანის დახმარებას. შემდგომ, თავისი ამ ძლიერი მხარეების აღმოჩენით, ის უკვე თვითონ ახერხებს იდენტობის დაბრუნებას. შეიძლება პრობლემა დარჩეს, მაგრამ მას აქვს სრულიად სხვა დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ, ის ამ პრობლემით სწავლობს ცხოვრებას. ეს არის სწორედ ადამიანის პიროვნული, ფსიქოლოგიური მახასიათებელი და პიროვნების როლი თავის ტვინის ფორმირებაში, თუნდაც ზრდასრულ ასაკში, როდესაც ყველაფერი ფორმირებული და გენეტიკურად ჩამოყალიბებულია.

ხანდახან ახლობლები ფიქრობენ, რომ ჩვენ არაფერს ვაკეთებთ, რადგან გარედან არ ჩანს, რომ ვმუშაობთ. ამ დროს ეს ცხოვრებისეული პროცესია — ხან ვეთამაშებით პაციენტებს, ხან ვესაუბრებით, ანუ ჩვენ არ ვამეცადინებთ მათ, ვინაიდან ამ შემთხვევაში მეცადინეობა ყველაზე ცუდი რამ არის, რადგან იწვევს პიროვნების იდენტურობის კიდევ უფრო გაუცხოებას და კიდევ უფრო დაშლას. ჩვენი ამოცანაა მისი პიროვნების ნამოწევა და ამიტომ ჩვენთვის, ნეორობიოლოგებისგან განსხვავებით, პირველ რიგში მნიშვნელოვანია პიროვნება და მერე მისი დაზიანებული ტვინი.

ეს არის ის ხედვა, რასაც ვფიქრობ პიროვნებასთან დაკავშირებით, თავის ტვინთან მიმართებაში.

ქართველთა ხასიათი



**როლანდ
თოვჩიშვილი,
ეთნოლოგი,
ისტორიის
მეცნიერებათა
დოქტორი**

ჩვენი საუბრის თემაა — ქართველთა ხასიათი. ჩვეულებრივ მსმენელს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა — რა შუაშია ეთნოლოგია და ხასიათი, ეთნოლოგია ხომ ტრადიციებს სწავლობს, ეთნიკურ, ხალხურ კულტურას? მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ ეთნოლოგია სწავლობს ყველაფერს, რაც კი ხალხებთან და ეთნოსებთან არის დაკავშირებული. მათ შორის, ეთნოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა ხასიათი, რომელიც აქვთ არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ ეთნიკური კულტურის მქონე ადამიანთა დიდ ჯგუფებსაც.

საბჭოთა პერიოდში ეთნიკური ხასიათის შესწავლა მაინცდამაინც მიღებული არ იყო. იმ დროს მთელი რიგი მეცნიერებები აკრძალული გახლდათ. მათ შორის იყო სოციოლოგიაც — მხოლოდ ძალიან გვიან, 70-იანი წლების დასაწყისში, მიეცა საშუალება სოციოლოგ მეცნიერებს, რომ კონკრეტული კვლევები ეწარმოებინათ. აკრძალულ

მეცნიერებებში შედიოდა ეთნოფსიქოლოგიაც, რომლის მკვ-ლევარსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს გარკვეული წარ-მოდგენა ორ მეცნიერებაზე — ფსიქოლოგიაზე და ეთნოლო-გიაზე.

ეთნოლოგი ადამიანთა ხასიათს ძირითადად ველზე — ინ-დივიდუალური დაკვირვების დროს ან მასალების შეკრების პერიოდში, სწავლობს, თუმცა ყველაზე უკეთ ეს ხასიათი მხ-ატვრულ ლიტერატურაში ჩანს — თუ თვალს გადავავლებთ მაგალითად, „ვეფხისტყაოსანს“, ან ნებისმიერი ქართველი მწერლის შემოქმედებას, ვნახავთ, რომ მასში შესანიშნავად არის გამოძერნილი ქართული ხასიათი.

მინდა ისიც გითხრათ, რომ საბჭოთა კავშირში ეთნოფ-სიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, აკრძალვა იმას არ ნიშ-ნავდა, რომ ხალხების ხასიათს საერთოდ არ სწავლობდნენ, პირიქით, სწავლობდნენ ძალიან დაკვირვებით, მაგრამ... უშიშროების სამსახურების დაკვეთით — საბჭოთა იმპერიას აინტერესებდა მისი იმპერიის საზღვრებში შემავალი ხალხე-ბი. რატომ? იმიტომ, რომ უფრო კარგად ემართა ისინი. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რუსებმა კოლონიზაციის პროცესი დაიწყეს და კავკასიაში შემოვიდნენ, ფრანგი და გერმანელი მეცნიერების დახმარებით დაიწყეს აქ მცხოვრები ხალხის შესწავლა. ეს მეცნიერები, სხვადასხვა საკითხებთან — მა-ტერიალურ და სულიერ კულტურასთან, სოფლის მეურნეო-ბასთან, სოციალურ ურთიერთობასთან ერთად, კავკასიელი ხალხების ხასიათებსაც სწავლობდნენ. მახსენდება, რომ 1930-იან წლებში გერმანელმა მეცნიერებმა რუსული ხასიათ-იც შეისწავლეს და ბევრი ნაშრომი დადეს, ძირითადად, დოს-ტოევსკის, ჩეხოვის და სხვა გამოჩენილი რუსი მწერლების ნაწარმოებების მიხედვით. როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირ-თან ომის დაწყების წინ გერმანელებს რუსული ხასიათის ზედ-მიწევნით ცოდნა სჭირდებოდათ. სამწუხაროდ, ქართველებმა ვერასდროს შევიგნეთ, რომ ჩვენც უნდა შეგვესწავლა რუ-სული ხასიათი. რუსებმა იმ პერიოდში, როდესაც იშლებოდა საბჭოთა კავშირი, ძალიან კარგად გამოიყენეს ქართველთა ემოციური ბუნება, მაგრამ ჩვენ წარმოდგენა არ გვქონდა,

რუსები რისი გამკეთებელი იყვნენ, ან რაზე იყვნენ წამსვლელი. შედეგი, სამწუხაროდ, ვნახეთ.

ახლა ქართველთა ხასიათის შესახებ. ქართულ წყაროებში საკმაოდ არის გაბნეული მასალები, მონაცემები, მაგრამ ამას განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქცია დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა. გავიხსენოთ ერთი ციტატა ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომიდან. ქართველების შესახებ ის წერს: „წერწეტნი უმეტეს ქალნი, იშვიათ სქელნი, მხენენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, სწრაფნი, სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთმოყვარენი (იარალის მოყვარენი), ამაყნი (სიამაყის შესახებ მერე ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი), ლალნი, სახელის მაძიებელნი. ეს-რეთ რამეთუ თვისითა სახელთათვის არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა, სტუმართა და უცხოთა მოყვარენი, მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არარაი შეიჭირვონ. უხვნი, არცა თვისსა და არცა სხვისცა კრძალავენ, საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლმიმხვდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყვარენი, ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილბოროტზე ადრე მიმდრეკნი, თავხედნი, დიდების მოყვარენი, თვალმგებნი და მოთაკილენი,“ — ეს არის ვახუშტისეული დახასიათება ქართველი ხალხისა. უნდა გითხრათ, რომ ვახუშტი აგრეთვე ცალკე ახასიათებს ქართველთა ისტორიულეთნოგრაფიულ მხარეებში მცხოვრებ ქართველებს, ანუ ეთნოგრაფიულ ჯგუფებს: ქართლელს, კახელს, იმერელს, ხევსურს და ა.შ.

რა განაპირობებს, რა აყალიბებს ხალხთა ანუ ეთნოსთა ხასიათს? ეთნოსთა ხასიათს აყალიბებს ისტორიული წარსული, რომელიც ამა თუ იმ ერმა გაიარა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და კლიმატი. ქართველთა ხასიათიც სწორედ ამ ფაქტორების შედეგად არის ჩამოყალიბებული. მეცნიერებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ წაცია ფსიქოლოგის ფაქტორია, იგივე სახელმწიფოა, იგივე ხასიათია.

წელან ვახსენე „ვეფხისტყაოსანი“. მასში საუბარია იმაზე, რაზეც ვახუშტი ბაგრატიონიც წერდა, რომ ქართველი სახელის „მოხვეჭით“ იყვნენ. ცნობილი. „ვეფხისტყაოსანი“ ამ თვისებაზე ამგვარად მიგვითითებს: „სჯობს სახელი-სა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“-ო, ანუ, ქართველი გამოდევნებული იყვნენ სახელს, რომ საზოგადოებაში კარგი სახელის მატარებელი ყოფილიყვნენ. ყველაზე დიდი სახელი ქართველისათვის მამულისთვის სამსახური ანუ სამშობლოსთვის თავდადება იყო და აյ შეიძლება ილიას სიტყვები გავიხსენოთ: „...მამა-პაპური მხნეობა, ხმალი/ მკლავი ქველური, /სახელისათვის ამაყი თრთოლვა/მამულის მტერთან ამაყი ბრძოლა“.

მიყვეთ დაწვრილებით ქართველების დამახასიათებელ თითოეულ ნიშანს: ერთ-ერთი თვისება უკანდაუხევლობა. აი, რას წერს ამის შესახებ მე-14 საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი — „არა არს წესი ჩვენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩვენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ დალათუ იყოს სიკვდილი“, — ესე იგი, გინდა სიკვდილი გველოდეს, ჩვენ ის ხასიათი გვაქვს, რომ ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. ქართველისათვის, და ჟამთააღმწერლისათვისაც, ეს ერთ-ერთი დადებითი თვისება იყო. მე ვსვამ კითხვას: რამდენად არის ეს დადებითი თვისება? სხვა ეთნოსები, სხვა ხალხები ამას მაინცდამაინც დადებით თვისებად არ მიიჩნევენ — როგორ შეიძლება, გრძნობდე, მტერი მოდიოდეს, დამარცხება, სიკვდილი გელოდეს და შენ უკან არ იხევდე? უკან დახევა, დიპლომატიურობა ხომ ბრძოლის გარკვეული შემადგენელი ელემენტია? ხომ შეიძლება დროებით დაიხიო უკან და შემდეგ, როცა დრო დაგიდგება, შეტევაზე გადახვიდე? ქართველი ამას არ აკეთებდა. არ გააკეთეს ეს იმ დროსაც, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება სულს ღაფავდა და ჩვენ ძალიან დიდი მსხვერპლი გავიღეთ. მე რომ მკითხო, არაა საჭირო მსხვერპლი. ჩვენ ყველას გვინდოდა დამოუკიდებლობა და რუსეთთან, დროებით მაინც, არავითარ კომპრომისსზე არ წავედით — ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენ ვიბრძვით, ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ და უკან

არ დავიხევთო. თუ გაიხსენებთ 9 აპრილს, ჯერ კიდევ საღამოს 4-5 საათზე, ტანკი გაატარეს რუსებმა, მერე ინფორმაცია მოვიდა მთავრობის სახლთან, რომ ტერიტორია გარშემორტყმული იყო საბჭოთა არმიით და ცუდი რამ გველოდა, მაგრამ ქართველებმა უკან არ დაიხიეს, ის კი არა, პატრიარქსაც არ დაუჯერეს და შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. აი, ერთ-ერთი ნიშანი იმისა, რომ ქართველებმა უკან დახევა არ ვიცოდით და დღესაც არ ვიცით.

იგივე მენტალიტეტი ჰქონდათ ეთნიკურ ქართველებს მე-19 საუკუნეშიც. მაგალითად, ლაზმა ფეოდალმა ხასან აღამ დიმიტრი ბაქრაძეს უთხრა: „კვესნაში ნუ ჩამომართმევ და ამ მხარეში ჩვენ ყველაზე მეომარი ხალხი ვართ, ჩვენში ყველა იარაღასხმულია, და გარდა ამისა, ყოველი შემთხვევისთვის, თითოეულ ოჯახში 5-6 თოფია, ჩვენ ძალიან მარჯვედ ვისვრით და სირცხვილად მიგვაჩნია მტრისთვის ზურგის ჩვენება, როგორც უნდა გვჭარბობდნენ რიცხობრივად. განსაკუთრებით მეომარი ხალხია ჩვენი ბეგებიონ“. ჩვენსა და ლაზებს შორის განსხვავება არ არის, ერთი სისხლის მატარებელი ვართ.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ეპიზოდი — 1946 წელს ყველაზე მეტი ქართველი თურქეთის ტერიტორიაზე არტანუჯის მიდამოების სოფლებში ცხოვრობდა. შემდეგ, როგორც საზღვართან ახლოს მცხოვრები, აქედან ბურსას ვიღლაეთში გაასახლეს. გასაკვირი ისაა, რომ საზღვართან უფრო ახლოს მდებარეობს ქლასქურის და დევსქელის ხეობები, სადაც ამ ინტერვიუს ვიწერდი. აქ სოფლები მჭიდროდაა დასახლებული. სწორედ აქ, ბორჩხის მიდამოების სოფლებში მცხოვრებ ქართველებს ვკითხე: ისინი (არტანუჯის მიდამოების სოფლები) დასაჯეს, როგორც ქართველები და ბურსაში გადაასახლეს, მაგრამ თქვენ უფრო ახლოს ხართ საზღვართან და რატომ თქვენ არ გადაგასახლეს? იცით, რა მიპასუხეს? — როგორ არა, ძალიან შეეცადნენ, ჯარით მოვიდნენ, მაგრამ ყველანი შეიარაღებული ვიყავით და ტყეში გავედით, სამი თვე ჯარისკაცებს ვებრძოდით, ჩვენ უფრო მეტი დავუხოცეთ, რადგან ტყეში ვიყავით შეფარებული და დაგვანებეს თავიო. ესეც ქართული ხასიათის ერთ-ერთი

გამოხატულებაა. სხვათა შორის, ქართველთა სხვადასხვა თვისება შეიცვალა, მაგრამ უკანდაუხევლობის, არადიპლო-მატიურობის თვისება, დღევანდლამდე გვაქვს შერჩენილი. ისევ მინდა გავიმეორო, რომ სხვა ეთნოსებისათვის ეს თვისება მაინცდამაინც დადებითად არ მიიჩნევა, იმიტომ, რომ ხან-დახან ლავირებაც საჭიროა.

ქართველებს ახასიათებს დიდხანს მოთმინების უნარი, მა-გრამ აქვთ ფეთქებადი ხასიათი — ითმენენ დიდხანს, თითქოს არაფერზე არ აქვთ რეაქცია, მაგრამ შემდეგ უცაბედად ფეთქდებიან. გამოდის, რომ ჩვენ გვაქვს წინააღმდეგობრივი ხასიათი — რაც ორ უკიდურესობაში ჩანს — გვახასიათებს სიხარულის უზომოდ გამოხატვა და ჭირის დროს უზომოდ დამწუხერება, მაგრამ ამას თავის დროზე არ ვამჟღავნებთ, რადაც წერტილს ველოდებით და როდესაც ის დრო დადგება, მაშინ ვიცით აფეთქება.

ქართველების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ხა-სიათში გამჯდარი თვისებაა მეგობრობის გრძნობა. ხშირად ქართველი მეგობრობას ყველაზე მაღლა და ზოგჯერ ჭეშ-მარიტებაზე მაღლაც აყენებს. აი, ხომ ცნობილია პლატონის ფორმულა — „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ უფრო დიდი მეგობარია ჭეშმარიტება“, ქართველებისათვის ეს ფორმულა არ მოქმედებს. ამის შესახებ აღნიშნავს კიდეც ამერიკაში მოღვაწე მეცნიერი, წარმოშობით ებრაელი, მინსკიდან გა-დასახლებული ავტორი გეორგ გაჩევი, რომელსაც სხვადასხ-ვა ხალხების ხასიათი და მენტალობა აქვს შესწავლილი. ის წერს — ქართველისათვის მეგობარი ჭეშმარიტებაზე ძვირ-ფასიაო და ამას აუარებელი დოკუმენტით, მასალით და გან-საკუთრებით მხატვრული ლიტერატურით ადასტურებს. მაგ-ალითად, იგივე „ვეფხისტყაოსანი“ მოვიყვანოთ, ან ცოტნე დადიანი გავიხსენოთ. მიიჩნევა, რომ მან სამშობლოსთვის გასწირა თავი, მაგრამ, სამშობლოსთან ერთად, მან თავისი მეგობრების გადასარჩენად ჩაიდინა გმირული საქციელი. სწორედ გაჩევი საუბრობს ამის შესახებ თავის შესანიშნავ გამოკვლევაში ქართველთა ხასიათის შესახებ და ამბობს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მეგობრობის აპოლოგიაა.

ქართველები ვართ არაკანონმორჩილნი. ეს თვისება ნებისმიერ ადგილზე შეიძლება შეგხვდეთ — ქალაქში, ქუჩაში. ქართველს მიაჩინია, რომ თვითონ შეიძლება დაარღვიოს კანონი, მაგრამ სხვამ — არა. ყველას ასეთი შეგრძნება აქვს. გამოდის, რომ, საერთო ჯამში, არაკანონმორჩილ ეთნოსს წარმოვადგენთ.

ქართველები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნათესაობას და მაღლა აყენებენ ნათელმირონობას. „ნათელმირონობა“ არის კონსტანტინე გამსახურდიას ტერმინი. ის წერს — ჩვენ ნათელმირონობისადმი ასეთი მიდრეკილება გვლუპავს და სანამ არ მოვიშლით, არაფერი გვეშველებაო. დავაკვირდეთ — დღესაც ძალიან ბევრ თანამდებობაზე დანიშვნა ხდება სწორედ, აი, ამ მეგობრობის, ნათესაობის, ნათელმირონობის პრინციპით და არა იმის მიხედვით, ვინ რა ცოდნისა და განათლების პატრონია. ასე რომ, მეგობრობა, ნათესაობა, ნათელმირონობა ქართველებში ზოგჯერ ობიექტურობისა და სამართლიანობის გადამფარველიც კი ხდება.

ქართველებს ახასიათებს აგრეთვე „უჩემოთ ვით იმღერეთობა“. აი, არჩილს აქვს: „ასე სჭირს საქართველოსა / დიდებულთ, განა მცირეთა / აზვავდებიან, იტყვიან / უჩემოთ ვით იმღერეთა“. ეს რაზე მიანიშნებს? თითოეული ჩვენგანი, ვინმე რომ საქმეს აკეთებს, აუცილებლად იმ საქმის მონაწილენი უნდა ვიყოთ, უჩვენოდ არაფერი არ უნდა გაკეთდეს. არჩილის ეს სიტყვები გადატანითი მნიშვნელობით არის, მაგრამ ქართველების ბუნებას კარგად გამოხატავს.

მე-12 საუკუნის მოღვაწე კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერიძე მხოლოდ დადებით თვისებებზე საუბრობს. ქართველების შესახებ ის წერს, რომ არიან „ბუნებით სადაგნი და მარტივნი და გონებით წრფელნი, სიმართლესა ცხოვრებისასა და უღელსა უმანკოებისა მზიდველნი და მხოლოდ ღმრთისა და მკლავის თვისისა მოსავნი“... უფრო ადრე გიორგი ხუცეს-მონაზონი სიამაყით აღნიშნავდა: „ნათესავი ქართველთა წრფელ და უმანკო არს“. მაშინ ნათესავი ეთნოსის, ხალხის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. ე.ი. ქართველები წრფელი და უმანკონი არიან.

ქართველებისთვის დამახასიათებელია სტუმართმოყვარეობა. ჩვენ ვიცით, რომ სტუმარი ღვთისაა და ეს თვისება კავკასიის სხვა ხალხებშიც არის, მაგრამ ჩვენთან — განსაკუთრებით. სტუმართმოყვარეობის ტრადიცია დამახასიათებელია მთისთვის და დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული ჯგუფებისთვის. მინდა ორიოდე მაგალითი მოვიყვანო სტუმართმოყვარეობასთან დაკავშირებით. ერთხელ, როცა ლექციაზე აღვნიშნე, რომ ქართველები სტუმართმოყვარენი ვართ, ერთ-ერთმა სტუდენტმა მითხრა — რატომ ამბობთ, ბატონო როლანდ, ამას, რა, სხვა ხალხები არ არიან სტუმართმოყვარეები? და მოვუყვანე მაგალითი, იმავე აუდიტორიაში ერთი წლით ადრე ერთი ჩემი ხევსური სტუდენტის ნათქვამი. ის გვარად გოგოჭური იყო და ასეთი რაღაც მითხრა: ხევსურეთში იყვნენ გერმანელი ტურისტები ზურგჩანთებით და მოენონათ ამ სტუდენტის ბიძის სახლი, ეზო, კარ-მიდამო და იფიქრეს — რა კარგია, აქ გავშლით ჩემის კარვებს და ვთხოვთ ოჯახის უფროსს, რომ უფლება მოგვცესო. მიმართეს ოჯახის უფროსს, გოგოჭურს, ხევსურს, მაგრამ შეიცხადა ოჯახის უფროსმა — რას ჰქვია, კარვები ეზოში გაგაშლევინოთ, თქვენ ჩემი სტუმრები ხართ, ამსიდიდო სახლი მაქვს, ლოგინიც ბევრი მაქვს, შემობრძანდით და რამდენი ხანიც გინდათ, იყავით ჩემს სახლშიო. ეხლა მე კითხვას ვსვამ: ქართველი ტურისტები რომ ყოფილიყვნენ გერმანიაში და იგივე მოეთხოვათ, გერმანელები ამას გააკეთებდნენ? რა თქმა უნდა, ძალიან დიდი კულტურის მქონე ხალხია და მათ შეურაცხოფას არ ვაყენებ, მაგრამ გერმანელი ამას არ მოიმოქმედებდა. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: იმერხევი ქართველებით დასახლებული რეგიონია თურქეთში. 20 სოფელი შედის შავშეთ-იმერხევში. იქ ვართ ერთ-ერთ სოფელ ხოხლევში, მასალებს ვინერთ. გვეჩერება წამოსვლა. რომ დავამზადებოთ მასალების ჩაწერა მთხოობელთან, ეთნიკურ ქართველთან (მუსლიმია ის ქართველი), მან სუფრა გაშალა. ჩვენ ბოდიში მოვუხადეთ, გვაგვიანდება-თქო, მაგრამ ძალიან ეწყინა, შეურაცხოფად მიიღო. მერე შეგვეკითხა: თქვენ ღმერთი იცითო? — როგორ არ ვიცით-თქო, ვუთხარით, — აბა, მოდით, ღმერთს გაუხ-

არდება, რომ თქვენ ჩემს სუფრაზე მოხვალთ! — გვიპასუხა. რა უნდა გეთქვა ამის შემდეგ? აი, ეს არის ორიგინალური ქართული სტუმართმოყვარეობა, რაც ჩვენს ხასიათშია ოდით-განვე გამჯდარი.

ამ თვისებებზე მე-17 საუკუნის შუახანებში ფრანგი მოგზაური უან შარდენიც მიანიშნებდა. გონიოდან უან შარდენი სამხრეთ საქართველოს გავლით წამოვიდა აღმოსავლეთ საქართველოში, ე.ი. გამოიარა ჭოროხის და მტკვრის ხეობები, მერე ახალციხე და ახალციხიდან თბილისში ჩამოვიდა. აი, რას წერს ის: „ჩვენ უხვად გვაძლევდნენ ქათმებს, კვერცხებს, ბოსტნეულს, ღვინოს, პურის. ხილი ბლომად გვქონდა, რადგან თითოეულ მოსახლეს თავის წილად დიდი დოქით ღვინო, ერთ კალათა ხილი და ერთი კალათა პური მოჰქონდა. ჩვენგან ფულს არ იღებდნენ და ჩემი მეგზური არ მაძლევდა უფლებას, მადლობა რაიმე საჩუქრით გამომეხატა.“ აი ესეც ქართველთა სტუმართმოყვარეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი მაგალითია.

ქართველებს ძალიან გვაქვს გამახვილებული სოლიდარობის გრძნობა. აქ, საქართველოში ქართველები ერთმანეთს ვჭამთ, ხშირად დაპირისპირებულიც ვართ, მაგრამ უცხოეთში რომ მოვხვდებით, გამოკვეთილი სოლიდარობის გრძნობა გვიჩნდება. ერთი მაგალითი მინდა გავიხსენო: საბჭოთა პერიოდში, როდესაც ქართველ ბიჭებს საბჭოთა არმიაში იწვევდნენ, რა თქმა უნდა, აქ არ ამსახურებდნენ — ან ციმბირში ან სადღაც რუსეთში მიჰყავდათ ძირითადად. 2-3 ქართველი რომ აღმოჩნდებოდა პოლკში, მთელი პოლკი ქართველებს ეჭირათ ხელში, რადგან იმდენად იყვნენ სოლიდარულები, არავის მისცემდნენ საშუალებას, რომ ვინმეს ქართველი დაეჩარდა.

ზემოთ ვთქვი, რომ ინდივიდუალურები ვართ, რაც ქართულ ცეკვებსა და სიმღერებში ჩანს. ჩვენ გარშემო თითქმის არავინ არის, ვისაც ოთხხმიანი და სამხმიანი სიმღერები ჰქონდეს. ბრწყინვალე სიმღერები შექმნა ქართველმა ხალხმა. დარწმუნებულე ვარ, რომ ეს სიმღერები, ეს დახვეწილი ცეკვები, სწორედ იმიტომ შექმნეს, რომ ცეკვისა და სიმღე-

რის დროს ისინი ერთმანეთს ეპაექრებოდნენ. აბა, დააკვირდით — როცა ქართველები ცეკვავენ, ერთს მეორე ენაცვლება, მეორეს — მესამე, ერთმანეთს უყურებენ, ვინ უკეთესად იცეკვაო. ამან გამოიწვია დახვეწილი მოძრაობების წარმოქმნა ქართულ ცეკვაში და ასეთი შესანიშნავი სიმღერები შექმნა. ანდა, ავილოთ ორნამენტები. არცერთ ქართულ ტაძარზე არცერთი ორნამენტი ერთმანეთს არ ჰგავს. შეიძლება 100 ორნამენტი იყოს რომელიდაც ტაძარზე, მაგრამ ყველა ორნამენტი განსხვავებულია. აქაც — ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ვინ უკეთესს, ვინ განსხვავებულ ორნამენტს შექმნიდა. აი, ეს ერთმანეთისადმი „დაპირისპირება“ — პაექრობა ქართველებს ყოველთვის ახასიათებდა და ამ დროს ხელოვნების მშვენიერი ნიმუშები იქმნებოდა.

არის ერთი მეცნიერი ლურიე, ეთნოლოგი, რომელიც წერს, რომ გაქრობის წინაშე მდგომ ეთნოსს, კრიტიკულ სიტუაციაში, რეაქციის უნიკალური უნარი ახასიათებს. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ეთნოსი ძალიან ბევრჯერ იდგა გაქრობის წინაშე. დღესაც ძალიან დიდი საშიშროების წინაშე ვდგავართ, მაგრამ, როდესაც კრიტიკული მომენტი დგება, ჩვენ ყოველთვის ვიღაც გვიჩნდება ლიდერის სახით. ამიტომ ქართველებს ყოველთვის ჰქონდათ წინამდლოლის მოთხოვნილება. გადაგვარჩინა ღმერთმა და ეხლაც ამის იმედით ვართ.

გულუხვები ვართ ძალიან. ავილოთ ქართული სუფრა. არცერთ ეთნოსს, არც ერთ ხალხს ასეთი სუფრა არ აქვს. სხვებიც დადიან, ქეიფობენ, მაგრამ სართულებად არსად აწყვია სუფრებზე საჭმელი. მგონია, რომ ეს ჩვენი უარყოფითი თვისებაა, რადგან ამით ჩვენს ქონებას არ ვუფრთხილდებით. ეს გულუხვობა ჩვენთვის დამახასიათებელი თვისებაა და ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ჩვენი მტრები დაგვცინოდნენ, რომ ასეთი უყაირათოები ვიყყავით.

ქართველები მოქეიფე ხალხია. განსაკუთრებით გვიყვარს ბუნების წიაღი და „გზებზე სუფრის გადაფენა“. ესეც მაინც-დამაინც კარგად არ გვახასიათებს. კი, უნდა იქეიფო, დროც უნდა გაატარო, მაგრამ ყველაფერს თავის დრო და ადგილი აქვს.

ქართველები ეჯიბრებიან ერთმანეთს სადღეგრძელოს თქმის დროსაც. რატომ გაჩნდა ჩვენს ქვეყანაში თამადობის ინსტიტუტი? იმიტომ, რომ ქართველი მთელი ცხოვრება მინისწრაფვის, რომ ერთხელ მაინც სადღაც ვიღაცის უფროსი იყოს. მაგიდაზე ის მეუფეა, ყველაფრის განმკარგველი — ბრძანებებს იძლევა, მისი სიტყვა ყველამ უნდა შეასრულოს იმ 5 თუ 4 საათის განმავლობაში და ის კმაყოფილია, რომ სუფრის წევრების უფროსია.

კიდევ ერთი რამ — ჩვენ ვართ სპექტაკლების მომწყობი ხალხი, ანუ ვთამაშობთ. შეიძლება ასე არ ფიქრობდე, მაგრამ მაინც თამაშობ, რომ მეზობელს დაანახო, ვიღაცას დაანახო. შენ შეიძლება არც გიხაროდეს რამე, მაგრამ ვიღაცას უნდა დაანახო, რომ გახარებული ხარ ამა თუ იმ საქმით, ამა თუ იმ მოვლენით და ასე შემდეგ... და ეს მუდმივად სპექტაკლები-სადმი მიღრეკილება მაინცდამაინც დადებითად არ გვახასი-ათებს. ბუნებრივი არტისტიზმია ჩვენთვის დამახასიათებელი და დიდი იუმორის გრძნობა.

ყველა სხვა თვისებასთან ერთად, ლმობიერები და შემწყნარებლებიც ვართ. ამის შესახებ აღნიშნავენ მე-19 საუკუნის მოღვაწეებიც, მაგალითად, უან შარდენი, გერმანელი აიხვალ-დი და სხვები.

ეხლა ჩვენი სიზარმაცის შესახებ. ჩვენი წინაპრები ზარმა-ცები არ იყვნენ, ჩვენ ნამდვილად ზარმაცები ვართ. გვინდა, არ ვიშრომოთ დღე და ღამე და ისე მოგვივიდეს ყველაფერი, ისე გავმდიდრდეთ, ისე მივიღოთ რაღაცა. აი, ჩემი სტუდენტების დაახლოებით 30% სწავლობს, დანარჩენს შრომის გარეშე უნდა, რომ ნიშანი მიიღოს, დიპლომი მიიღოს. რატომ? დააკალი თავი, რომ მერე ეს ცოდნა შენ გამოგადგეს, ისწავლე... მაგრამ არა, არ ვიკლავთ ქართველები თავს, იმიტომ, რომ გაზარმაცებული, გაზუღუქებულები ვართ. ვახუშტი ბაგრატიონი სწორად საუბრობს იმაზე, რომ ქართველები ძალიან შრომისმოყვარე ხალხი იყვნენ და ამის მაგალითია ის დიდი მატერიალური კულტურა, რაც ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს. მე ხშირად დავდივარ სამხრეთ საქართველოში — არა მარტო სამცხეში, არამედ ჭოროხის ხეობაში. იქ ნახავთ მრა-

ვალსაფეხურიან ტერასებს, რადგან მიწის დეფიციტი იყო. 25 და 40 საფეხურიან ტერასებს რამდენი შრომა უნდოდა, რამ-დენი ქვა უნდა მოგეზიდა, რომ ეს კედლები აგეყვანა, შემდეგ იქ მინა ჩაგეყარა და მოსავალი მიგეღო? ქართველებს გვაქვს სიტყვა ჭირნახული — ანუ შრომა ჭირთან არის შედარებული.

როდის გავხდით ზარმაცები? ეს თვისება მე-19 საუკუნე-შიც შეინიშნება, როდესაც რუსეთის იმპერიის კოლონია გავხ-დით და ამას ზოგიერთი უცხოელი მოგზაურიც აღნიშნავს, მაგრამ ჩვენ გავზარმაცდით ძირითადად კოლექტივიზაცი-ის დროს. ქართველი ინდივიდუალისტი იყო, მას საკუთარი მეურნეობა ჰქონდა და მას მართლა თავს აკლავდა. როდესაც მეურნეობა წაართვეს და გააერთიანეს კოლექტიურ მეურ-ნეობაში, ქართველმა ხელი ჩაიქნია, სხვისთვის რატომ უნდა ვიშრომოო. მერე ეს სიზარმაცე შემოგვეპარა.

ქართველებისთვის დამახასიათებელია ტოლერანტობა და შემწყნარებლობა. ეს ჩვენი ერის ხასიათში ყოველთვის იჯდა. საქართველოში სხვა ეთნიკური ერთობის წარმომადგენელი, სხვა რელიგია-კონფესიის მიმდევარი არასდროს იდევნებო-და. თბილისი რომ ავილოთ, მაგალითად, ის საუკუნეების გან-მავლობაში იყო მრავალეთნიკური და ქართველებს იდეალ-ური ურთიერთობა ჰქონდათ სხვა ერებისა და კონფესიების წარმომადგენლებთან. ხალხური ლექსია ერთი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ჩვენი ერის ტოლერანტულ განწყო-ბაზე: „ყველა ადამის შვილი ვართ, /თათარი ჩვენი ძმა არის/, ჩვენსა და სომხებს შორისა, /განყოფილება რა არის“. ანალო-გიური ლექსი მსოფლიოში არც ერთ ეთნოსს არ აქვს შექმ-ნილი, ქართველი პირდაპირ ამბობს, რომ ჩემსა და თათრებს შორის რა განსხვავებაა, ისინიც ადამის შვილები არიანო და, მითუმეტეს, რა განსხვავებაა ჩემსა და სომხებს შორისო.


გურამ ასათიანმა ქართველთა ხასიათის შესახებ მშვენ-იერი ნაწარმოებები დადო — „სათავეებთან“ და აქვე, არ შეი-ძლება არ მოგიყვეთ კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც პირდა-პირ მიუთითებს ჩვენი ერის ღირსეულობაზე: მე-20 საუკუნის დასაწყისში ივრის ხეობის სოფელ ლიშმიში ქორწილი იყო. პატარა სოფელია ლიშმ — სულ ნათესავები ცხოვრობენ.

ამ სოფელში ერთი ავადმყოფი ვაჟი იწვა ლოგინად (მექორნინეთა ნათესავი და მოგვარე — გოდერძაულთ თემისა) და ქორნილში მომსვლელნი, პირველ რიგში, მის სანახავად მიღიანდნენ. ყველა მომსვლელს კარებში ვაჟის დედა ხვდებოდა და ეუბნებოდა — სძინავს და ძალიან გთხოვთ, არ შეაწეოთ, მერე ნახეთო. სინამდვილეში ვაჟი გარდაცვლილი იყო. წარმოიდგინეთ, დედამ არავის გააგებინა, რომ მისი შვილი გარდაცვლილი იყო, არ ჩაუმნარა ნათესავს ქორნილი. არ ვიცი, შეუძლია თუ არა სხვა ეთნოსის წარმომადგენელს, ეს გააკეთოს. მე, მაგალითად, ამ ფაქტის შესახებ ბევრჯერ ვყვები და ვამაყობ კიდევაც, რომ ქართველ ქალს ასეთი მტკიცე ხასიათი ჰქონდა და ეს შეიძლებოდა გაეკეთებინა.

ძალიან ბევრი შეიძლება გველაპარაკა ქართველთა ხასიათის შესახებ, კიდევ ბევრი შეკითხვა შეიძლება გაჩნდეს, მაგრამ ერთ ლექციაში ყველაფერს ვერ ჩატევ. მომავალში ალბათ კიდევ უფრო დაწვრილებით შეიძლება ამ თემაზე საუბარი.

რისთვის სოციოლოგია?

იაგო
კაჭაჭიშვილი,
სოციოლოგი,
თსუ-ის
პროფესორი



ჩემი დღევანდელი ლექცია, რომლის სათაურია — „რისთვის სოციოლოგია?“ — მინდა დავიწყო ჩემი ბიოგრაფიის ერთი დეტალის გახსენებით.

დავასრულე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. შემდეგ ვსწავლობდი იმდრო-ინდელ ასპირანტურაში, რასაც დღეს დოქტურანტურა დავასრულე და დადგა ჩემი დასაქმების პრობლემა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციოლოგიის კათედრაზე, ვაკანსია გამოჩნდა. მაშინდელმა სოციოლოგიის კათედრის გამგემ, ჩემმა პედაგოგმა, არაჩვეულებრივმა ადამიანმა და პროფესიონალმა ედუარდ კოდუამ კათედრაზე მუშაობის დაწყება შემომთავაზა. ფილოსოფოსის-თვის სოციოლოგიაში დასაქმება, სოციოლოგიაში გადასვლა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარკვეულწილად, მისი დეპუმანიზაციის ტოლფასი იყო. ჩვენ,

ფილოსოფოსები, ვმსჯელობდით ძალიან აბსტრაქტულ და მეტაფიზიკურ პრობლემებზე და სოციოლოგია ნაკლებად საინტერესო მეცნიერებად გვეჩვენებოდა. მაშინ ბატონმა ედუარდ კოდუამ სოციოლოგიის სფეროში ჩემს გადმოსაბირებლად ერთი ძალიან მარტივი და ყოველდღიური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი არგუმენტი მოიტანა, მან მითხრა: „წამოდი სოციოლოგიაში, იმიტომ, რომ ცხოვრებასთან, რეალობასთან ახლოს იქნები“, — ჩემს დღევანდელ ლექციას ზუსტად ეს ლაიტმოტივი გასდევს.

როდესაც კითხვას ვსვამთ — რისთვის სოციოლოგია? — მარტივი პასუხი შეიძლება იყოს ასეთი — სოციოლოგია იმისთვისაა, რომ ახლოს ვიყოთ ყოველდღიურობასთან და შეგვეძლოს რეალობის ანალიზი. დღეს, ჩემთვის სრულიად სამწუხაროდ, სოციოლოგიის „იმიჯი“ ასეთა: სოციოლოგია მხოლოდ გამოყენებით კვლევებთან ასოცირდება, ანუ სოციოლოგიას გამოყენებითი კვლევების სფეროდ მიიჩნევენ. აქვე, კვლევები აუცილებლად პოლიტიკური რეიტინგების გაზომვას უნდა ემსახურებოდეს. სოციოლოგიის „უარყოფითი იმიჯის“ შემადგენელი ნაწილია ისიც, რომ გამოყენებით კვლევებში, პოლიტიკური რეიტინგების შესწავლის თვალსაზრისით, სოციოლოგია არაზუსტ ინფორმაციას იძლევა, ანუ სოციოლოგია, ასე ვთქვათ, ვერ პროგნოზირებს არჩევნებში პოლიტიკური ძალების გამარჯვებას. გავიმეორებ: დღეს, სოციოლოგიას ასეთი „იმიჯი“ აქვს — ეს არის გამოყენებითი მეცნიერება და მისი ექსპლუატაცია, რეიტინგების გაზომვების თვალსაზრისით, რომელიც, ძირითადად, პოლიტიკის კვლევებში ხდება, თუმცა, ამ მიმართულებითაც კი ის ვერ იძლევა დამაჯერებელ ცოდნას, რადგან რეალობა (მაგალითად, არჩევნები) სხვა სურათს გვიჩვენებს. სოციოლოგიის ეს „იმიჯი“ არის აუცილებლად დასანგრევი და უნდა დაინგრეს საგანმანათლებლო თუ ინფორმაციული აქტივობების განხორციელებით. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სოციოლოგია მხოლოდ გამოყენებითი მეცნიერება არ გახლავთ და ის არ შემოიფარგლება პოლიტიკური რეალობის შესწავლით.

სოციოლოგიას ძალიან მარტივი განსაზღვრება აქვს. სიტყვასიტყვით ის ნიშნავს „მეცნიერებას საზოგადოების შესახებ“. თუმცა, საზოგადოების შემსწავლელი ბევრი სხვა მეცნიერებაც არსებობს და როდესაც სოციოლოგიის სპეციფიკაზე ვსაუბრობთ, აღვნიშნავთ, რომ სოციოლოგია სწავლობს საზოგადოებას, ხოლო უფრო კონკრეტულად, ის სწავლობს სხვადასხვა გარემოში ადამიანების, ჯგუფების ქცევასა და ჯგუფებს შორის ურთიერთობებს, იქნება ეს ფორმალური გარემო (მაგალითად, სამსახური), თუ — არაფორმალური (მაგალითად, ოჯახი ან მეგობართა წრე).

მაშასადამე, სოციოლოგიას აინტერესებს, თუ როგორ იქცევიან ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები სხვადასხვა ფორმალურ თუ არაფორმალურ გარემოში, რა გავლენა აქვს კვლავნარმოებად სოციალურ პრაქტიკებს (იგივე, სოციალურ ინსტიტუტებს) ადამიანთა და ჯგუფთა ქცევებზე და სხვ. ამ ინტერესის დაქმაყოფილებისთვის სოციოლოგიას გააჩნია რამდენიმე სპეციფიკა და მინდა, სწორედ ამაზე გავამახვილო ყურადღება.

სოციოლოგია რეალობის შემსწავლელი მეცნიერება ან სოციალური ცდის შემსწავლელი მეცნიერებაა. პირველი სპეციფიკა, რომელზეც მინდა ვისაუბრო, არის ის, რომ სოციოლოგია გარკვეულ ცოდნას, ასე ვთქვათ, სისტემურ ცოდნას აყალიბებს. ის გარკვეულ სქემებს და კონცეფციებს ქმნის. შემიძლია ჩამოგითვალით ბევრი სოციოლოგი, რომლებიც სხვადასხვა კონცეფციას ან კონცეპტუალურ სქემას აყალიბებენ. აქ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სოციოლოგიაში გარკვეული თეორიული მოდელების, სქემების, კონცეფციების ან თვალსაზრისების ჩამოყალიბებას მხოლოდ მაშინ აქვს გამართლება, თუ არსებობს მათი ემპირიული შემოწმების ან გამოყენების შესაძლებლობა. სოციოლოგია არ აყალიბებს ისეთ კონცეფციებს, რომლებსაც რეალობასთან მიმართება არ აქვს. ასეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციოლოგიაში ჩამოყალიბებული თეორიები, კონცეფციები თუ თვალსაზრისები არის რეალობაში დაკვირვებადი მოვლენების მახასიათებლების სისტემური დაკავშირების მცდელობა. ასეთ თეორიებს

სოციოლოგები სხვადასხვა სახელს უწოდებენ. ერთ-ერთი ძალიან ცნობილი და გავრცელებული სახელია — „იდეალური ტიპი“. ტერმინი „იდეალური ტიპი“ შემოიტანა მაქს ვებერმა. მან თქვა, რომ სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუნქცია არის სოციალური მოვლენებისა და პროცესების იდეალური ტიპების აგება. „იდეალური ტიპი“ არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, როგორც ეს შეიძლება გვესმოდეს ყოველდღიური ცნობიერების დონეზე. ამ შემთხვევაში, „იდეალური“ არ ნიშნავს „ყველაზე საუკეთესოს“. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვამბობთ — „იდეალური ქალი“, ვგულისხმობთ საუკეთესო თვისებებით შემკულ ადამიანს — ქალს. ამ შემთხვევაში ეს არ არის ცნება „იდეალურის“ სოციოლოგიური შინაარსი. სოციოლოგია „იდეალური ტიპის“ ცნებას სხვა მნიშვნელობით იყენებს. სოციოლოგიაში „იდეალური ტიპი“ ნიშნავს იმას, რომ მკვლევარმა/სოციოლოგმა შეისწავლოს ესა თუ ის მოვლენა რეალობაში, ანუ სოციალურ ცდაში, ამ მოვლენისთვის დამახასიათებელი ემპირიული ნიშნების გამოვლენით, და ამ ნიშნებიდან ამოირჩიოს ისეთები, რომლებიც ამა თუ იმ მოვლენას ხანიერად ახლავს, ანუ ამ მოვლენისთვის შემთხვევითი თვისება კი არ არის, აუცილებელია. მკვლევარი ამ ნიშნებსა და მახასიათებლებს ერთმანეთთან სისტემურად დააკავშირებს. ეს არის „იდეალური ტიპის“ კონსტრუქცია. მაშასადამე, „იდეალური ტიპი“ სოციალურ ცდაში, ანუ რეალობაში დაკავირვებადი, თანაც განმეორებადი მახასიათებლების სისტემური დაკავშირების შედეგად იქმნება. ასე იგება კონცეფციები სოციოლოგიაში და, ზოგადად, სოციალურ მეცნიერებებში. მაქს ვებერის თქმით, სწორედ ეს არის სოციოლოგიის ერთ-ერთი სპეციფიკა, ის არასოდეს აგებს ისეთ თეორიებს ან ისეთ მიდგომებს, რომლებსაც ცდასთან მიმართება არ აქვს. პირიქით, ის ცდისეული მახასიათებლების, ემპირიული მახასიათებლების ერთმანეთთან სისტემური დაკავშირების შედეგად მიიღება.

მაგალითად, სტუდენტის „იდეალური ტიპი“, ამა თუ იმ საზოგადოებაში, შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა განმეორებად თვისებებს, მათ შორის, უარყოფით მახასიათებლებსაც.

შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამა თუ იმ სოციალურ რეალობაში სტუდენტად ყოფნა გულისხმობს არა პოზიტიურ, არამედ ნეგატიურ დახასიათებას. ე.ი. „იდეალურმა ტიპმა“ შეიძლება მოიცვას ნეგატიური თვისებებიც, თუ ისინი განმეორებადია და მოვლენას გარკვეული დროის მანძილზე, ანუ კანონზომიერად, ახასიათებს.

მეორე, რაზეც აუცილებლად უნდა ვისაუბრო, არის ის, რომ სოციოლოგია გარკვეულ თეორიებს, თვალსაზრისებს ასაბუთებს ან ამონტებს რეალობის საფუძველზე. ისევ და ისევ მივდივართ რეალობასთან — ცდასთან. კერძოდ, სოციოლოგია ასეთ გზას მიმართავს: იღებს რაიმე თვისებას, ან ნიშანს. შემდეგ მას მოუძებნის ინდიკატორებს და ამ ინდიკატორებს შეამონტებს, ანუ ცდაში გაზომავს. ეს სოციოლოგიის არსებით სპეციფიკაზე მიუთითებს, რაც მას განასხვავებს სხვა არაემპირიული მეცნიერებებისგან, მაგალითად, ფილოსოფიისგან. გავიმეოროთ, როდის ფუძნდება ესა თუ ის მოსაზრება სოციოლოგიაში? როდის იძენს ესა თუ ის მოსაზრება ლეგიტიმაციას სოციოლოგიაში? მაშინ, როდესაც ამ მოსაზრებას მოეძებნება ინდიკატორები, რომლებიც შემოწმდება ან გაიზომება თვისებრივი ან რაოდენობივი კვლევების საფუძველზე, მათ შორის, განსაზღვრული სკალების მეშვეობით. რა არის ინდიკატორი? ინდიკატორი არის ამა თუ იმ ნიშნის ან თვისების ცდაში დაკვირვებადი და რეალობაში კარგად გამოხატული მაჩვენებელი. მაგალითად, თუ ვიტყვით ასეთ მოსაზრებას, რომ დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორთა კვალიფიკაციის დონე მაღალია, სოციოლოგი იმ წუთასვე დაიწყებს ძიებას, თუ რას ნიშნავს ეს მოსაზრება? რამდენად სწორია ის? — და დაკვირვებადი ინდიკატორების საფუძველზე დაიწყებს ამ მოსაზრების ვერიფიკაციას. ის დაიწყებს ინდიკატორების ძიებას პროფესორთა კვალიფიკაციის გაზომვის მიმართულებით. მარტივად რომ ვთქვათ, დასვამს კითხვას — რაში შეიძლება ვლინდებოდეს პროფესორის, ზოგადად, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია? შემდეგ სოციოლოგი გვეტყვის, რომ კვალიფიკაცია ვლინდება ისეთ ინდიკატორებში, როგორებიცაა, მა-

გალითად, სამეცნიერო ხარისხის ქონა; სამეცნიერო სტატიების, გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და ასე შემდეგ. სოციოლოგი ინჟინერის კვალიფიკაციის ემპირიული ინდიკატორების განსაზღვრას. ამ ინდიკატორების საფუძველზე მას შეუძლია — შეაფასოს ან გაზომოს აკადემიურ სფეროში დასაქმებული ნებისმიერი პირის კვალიფიციურობა.

შესაბამისად, სოციოლოგია ამა თუ იმ მოსაზრებას მხოლოდ სუბიექტურ ჭრილში არ განიხილავს. სოციოლოგია არ ხელმძღვანელობს ინდივიდის ნარმოდგენებით, ის ცდილობს, მოძებნოს ცდაში დაკვირვებადი ისეთი ინდიკატორები, რომლებიც ნათელყოფს იმას, თუ რამდენად სწორი და ვალიდურია ეს მოსაზრებები. შესაბამისად, თუ ჩვენ ვინმეზე ვამტკიცებთ, რომ ის არის კვალიფიციური პროფესორი, სოციოლოგი ცდილობს, ეს დაასაბუთოს და თქვას, თუ რაში გამოიხატება მისი კვალიფიციურობა, მაგალითად, აქვს თუ არა მას სამეცნიერო ხარისხი, მონაწილეობს თუ არა სამეცნიერო კონფერენციებში, კითხულობს თუ არა ლექციებს, დაუწერია თუ არა სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ნაშრომები, მონოგრაფიები, სტატიები და სხვა. აი, ასეთი ინდიკატორების განსაზღვრის საფუძველზე სოციოლოგია გარკვეულ მტკიცებას „აშენებს“, მის ლეგიტიმურობას ადასტურებს.

ერთი მხრივ, იდეალური ტიპების, ანუ ცდაში დაკვირვებადი მახასიათებლების სისტემური დაკავშირების საფუძველზე თეორიების აგება, ხოლო, მეორე მხრივ, განსაზღვრული მოსაზრებების ან შეფასებების შემოწმება ინდიკატორების მიხედვით, არის ის სპეციფიკა, რაც სოციოლოგიას გამოარჩევს და რაც, ასე ვთქვათ, სოციოლოგიის ხიბლია. ამდენად, თუ ჩვენ გვინდა, გავიგოთ — რამდენად მნიშვნელოვანია ესა თუ ის მოვლენა რეალობაში ან ცდაში, ჩვენ აუცილებლად უნდა მივმართოთ ამ მეცნიერებას — სოციოლოგიას; აუცილებლად უნდა ჩავატაროთ სოციოლოგიური კვლევები და ამ კვლევების საფუძველზე გავაკეთოთ დასკვნები.

ხშირად ამბობენ, რომ სოციოლოგიის ფუნქცია მთელი მოსახლეობის ან მოსახლეობის შემადგენელი ცალკეული

სოციალური ჯგუფების მასშტაბით საზოგადოებრივი აზ-რის შესწავლაა. დიახ, აღნიშნული შეგვიძლია სოციოლოგი-ის ერთ-ერთ დახასიათებად გამოვიყენოთ და ვთქვათ, რომ სოციოლოგია სხვადასხვა სოციალური ჯგუფის განწყო-ბებს, დამოკიდებულებებს, ატიტუდებს ან ქცევით მზაობებს სწავლობს. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ჩვენ აუცილებლად მოგვიწევს იმის აღიარება, რომ სოციოლოგია გახლავთ მეც-ნიერება, რომელსაც შეუძლია დასვას დიაგნოზი იმასთან და-კავშირებით, თუ როგორია რეალობა, რა პროცესები მიღის საზოგადოებაში, რა ეტაპზეა საზოგადოება (სოციალური ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში განვითარების თვალსაზრი-სით). შესაბამისად, თუ არ გვაქვს ჩატარებული სოციოლო-გიური კვლევა, არ გვაქვს შესწავლილი არსებული რეალობა და არ გვაქვს გამომუდავნებული საზოგადოებაში შემავალი სხვადასხვა ჯგუფის განწყობები, დამოკიდებულებები და ქცევითი მზაობები, ჩვენთვის ძალიან რთულია, მივიღოთ გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა ტრანსფორმირდეს და შეიცვალოს საზოგადოება, რა გზით უნდა განვითარდეს ის, რა პროექტები უნდა განხორციელ-დეს საზოგადოებაში და სხვა.

მოგეხსენებათ, რომ საზოგადოება — ეს არის ცოცხალი ორგანიზმი, მობილური ფენომენი, რომელიც მუდმივად ვი-თარდება, მოძრაობაშია, იცვლება და ა.შ. როდესაც საზო-გადოებაში ცვლილების განხორციელების ან პროცესების ტრანსფორმირების აუცილებლობა დგება, სოციოლოგიის ინტერვენციის გარეშე ჩვენ მათ ვერ განვახორციელებთ. სა-ზოგადოებას აუცილებლად სჭირდება დიაგნოზის დასმა და სტატუს-კვოს შეფასება — რა ეტაპზეა დღეს საზოგადოება ამა თუ იმ მიმართულებით? ხოლო, შემდეგ ვილაპარაკოთ სა-ზოგადოებაში ცვლილების მიზანშეწონილობაზე.

ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ საზოგადოებაში ცვლილება ყოველთვის მის წევრებში არსებული განწყობების მიხედვით უნდა განხორციელდეს? — არა, არ ნიშნავს. ძალიან ხშირად, გარკვეული ცვლილების განხორციელების საპირისპიროდ, მოჰყავთ ასეთი არგუმენტი: ჩვენ ჩატარეთ სოციოლოგი-

ური კვლევა, შევისწავლეთ საზოგადოებაში არსებული განწყობები, რომლებიც ამ ცვლილებების განხორციელების წინააღმდეგაა მიმართული. შესაბამისად, ცვლილებებს ვერ განვახორციელებთ, რადგან საზოგადოებაში მათ მიმართ რეზისტენტული/უარყოფითი დამოკიდებულება არსებობს. ეს არ გახლავთ კორექტული მიდგომა. ცხადია, ის, რომ ჩვენ საზოგადოების მზაობა უნდა შევისწავლოთ ამა თუ იმ ცვლილების მიმართულებით, სოციოლოგიამ ეს აუცილებლად უნდა განხორციელოს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციოლოგია არის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) მეცნიერება, რომელსაც ეს ხელენიფება. თუმცა, შემდეგ ჩნდება კითხვა — ყოველთვის უნდა განხორციელდეს თუ არა ცვლილებები საზოგადოებრივი აზრის და საზოგადოებაში არსებული განწყობების მიხედვით? აქ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ასე არ არის — ცვლილებები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, თუმცა უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით.

მაგალითი რომ მოვიყვანო და ძალიან თეორიული რომ არ ჩანდეს ჩემი მსჯელობა, წარმოვიდგინოთ ვითარება, რომ საზოგადოებრივი აზრი და არსებული განწყობები შევისწავლეთ, რომელებმაც აჩვენეს, რომ საზოგადოება მოითხოვს გარკვეული ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობის დისკრიმინაციას. მაგალითად, მოითხოვს ეთნიკური უმცირესობების გასახლებას ან გარკვეული რელიგიური უმცირესობების აკრძალვას და ა.შ. ეს მაშინ, როდესაც თანამედროვე პროგრესული კაცობრიობის განვითარება სწორედ უმცირესობათა უფლებების დაცვაზე გადის. ვთქვათ, ჩავატარეთ სოციოლოგიური კვლევა და აღმოჩნდა, რომ საზოგადოებაში არსებული განწყობები არის ქსენოფობიური, ანუ შეურიგებელი ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, როგორ უნდა მოვიქცეთ? გადაწყვეტილებები, ეთნიკური უმცირესობების მიმართ პოლიტიკის დონეზე, უნდა მივიღოთ არა საზოგადოებაში არსებული განწყობების შესაბამისად, არამედ უნდა გავითვალისწინოთ ეს განწყობები, რომლებიც სოციოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა და უნდა შე-

ვიმუშაოთ ერთგვარი საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელიც საზოგადოებაში არსებული ქსენოფონბიური განწყობების მინიმალიზაციას მოახდენს. ასეთი საკომუნიკაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია საზოგადოებაში არსებულ ქსენოფონბიურ განწყობებს შეცვლის; ასევე, უნდა დავგეგმოთ გარკვეული ღონისძიებები ქსენოფონბიური ცნობიერების შეცვლის თვალსაზრისით, იქნება ეს ღონისძიებები მედიის თუ კომუნიკიის სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.

ამრიგად, მთავარი სათქმელი აქ ისაა, რომ არის შემთხვევები, როდესაც საზოგადოებრივი აზრი განსაზღვრული ცვლილებების საფუძველი არ შეიძლება გახდეს, პირიქით, საზოგადოებრივი აზრი უნდა მომზადდეს განსაზღვრული ცვლილებების მისაღებად და გასაზიარებლად. თუ სოციოლოგის პრაქტიკულ ფუნქციას მივაქცევთ ყურადღებას, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ სოციოლოგიამ უნდა დაადგინოს რეალური განწყობები, დამოკიდებულებები, ქცევითი მზაობები და საზოგადოებაში ამა თუ იმ პრობლემის სურათი წარმოადგინოს. თუ აღმოჩნდა, რომ ეს სურათი — საზოგადოების არსებული მდგომარეობა — გარკვეული პროგრესული ცვლილებების წინააღმდეგია, ამ პროგრესულ ცვლილებებზე უარი კი არ უნდა ვთქვათ, არამედ საზოგადოებრივი აზრი მოვამზადოთ ამ ცვლილებებთან ადაპტაციისთვის.

სოციოლოგია ყველა შემთხვევაში საჭიროა, რათა გავიგოთ, რისთვის არის მზად საზოგადოება და რა ცვლილებების განხორციელების ასპარეზს იძლევა იგი. ხშირად ხდება ისე (განსაკუთრებით პოლიტიკოსებს და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს გააჩნიათ ასეთი დამოკიდებულება), რომ უნდა ავილოთ პოლიტიკის მზა მოდელები, რომლებიც კარგად მუშაობს დასავლურ/განვითარებულ საზოგადოებაში და გადმოვიტანოთ ჩვენს საზოგადოებაში. რა თქმა უნდა, ეს მცდარი გზაა ამა თუ იმ სფეროში პოლიტიკის განვითარებისა, იმიტომ, რომ წარმატებულ საზოგადოებაში მოქმედი მოდელების მიმართ მიმღებლობა თუ არ შემოწმდა ქართული საზოგადოებისთვის, ისე ეს მოდელი არ იმუშავებს. ხოლო ამისთვის

ერთადერთი ეფექტური ინსტრუმენტი გახლავთ სოციოლოგიური კვლევები, ანუ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა. როგორც ითქვა, თუ აღმოჩნდა, რომ საზოგადოებრივი აზრი ამპროგრესული ცვლილებების მიმართ შეურიგებელია, მაშინ ამცვლილებებზე კი არ უნდა ვთქვათ უარი, არამედ საზოგადოებრივი აზრი უნდა შევცვალოთ ამ პროგრესული ცვლილებების სასარგებლოდ.

თუ გავიაზრებთ ყველაფერ იმას, რაც ვთქვი და ყურადღებას მივაქცევთ სოციოლოგიის ფუნქციას, კითხვაზე — რის-თვის სოციოლოგია? უნდა ვუპასუხოთ ასე:

პირველი, სოციოლოგია არის აუცილებელი იმისთვის, რომ ადეკვატურად შევისწავლოთ რეალობა, ის სოციალური გამოცდილება, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს საზოგადოება (სოციალური ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში).

მეორე — სოციოლოგიის ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია არის ის, რომ სოციოლოგიამ უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები, როგორ უნდა მოიქცეს გადაწყვეტილების მიმღები, დაინტერესებული მხარეები, ორგანიზაციები, სტრუქტურები იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოება განსაზღვრული პროგრესული ცვლილებების მიმართ არაადაპტურია. სოციოლოგიამ უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები საზოგადოებრივი ცვლილებების განხორციელების თვალსაზრისით. ეს ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია სოციოლოგიას: საზოგადოებისთვის დიაგნოზის დასმა და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება სოციალური თერაპიის თვალსაზრისით.

დიაგნოზისა და სოციალური თერაპიის ფუნქცია გახლავთ ძალიან მნიშვნელოვანი, რომლებსაც სოციოლოგია საზოგადოების უკეთესი მომავლისათვის ასრულებს და, შესაბამისად, სოციოლოგიის დაყვანა მხოლოდ იმ განზომილებამდე, რაც მას დღეს აქვს, რომ ის არის პოლიტიკური რეიტინგების გაზომვის ინსტრუმენტი, არის სრულიად მიუღებელი და არა-ადეკვატური.

რა ინსტრუმენტებს იყენებს სოციოლოგია საზოგადოებაში არსებული ვითარების ობიექტური შესწავლისათვის? სოციოლოგიას კვლევის სხვადასხვა კონკრეტული მეთოდი

გააჩნია. ეს მეთოდები, ძალიან ზოგადი თვალსაზრისით, ორ ჯგუფად იყოფა: ერთ ჯგუფს რაოდენობრივს არქემევენ, მეორე ჯგუფს — თვისებრივს. რაოდენობრივ მეთოდებში შედის, მაგალითად, ისეთი ოპერაცია, როგორიც არის მასობრივი გამოკითხვა. ხოლო, თვისებრივს მიეკუთვნება ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ფოკუს ჯგუფები, ჩაღრმავებული ინტერვიუები, დისკურსის ანალიზი, ტექსტებში ჩადებული მნიშვნელობების ანალიზი და ასე შემდეგ. სოციოლოგიას გააჩნია მრავალფეროვანი არსენალი იმისთვის, რომ ზუსტად, ადეკვატურად და ობიექტურად შეისწავლოს საზოგადოებაში არსებული ვითარება, ანუ დასვას დიაგნოზი და შეიმუშაოს რეკომენდაციები დასმული დიაგნოზის შესაბამისად. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ სოციოლოგიის, ამ ობიექტური მეცნიერების არსებობის გარეშე საზოგადოების ფუნქციონირება დაემსგავსება სიბნელეში ხელის ცეცებით გადაწყვეტილების მიღებას. ეს, მოგეხსენებათ, საქმაოდ ცუდი და არაეფექტურია იმ თვალსაზრისით, რომ საზოგადოება წარმატებით განვითარდეს, ხოლო ცვლილებები იყოს ეფექტური და, საბოლოო ჯამში, მივაღწიოთ საზოგადოების გაჯანსაღების ან სოციალური კეთილდღეობის იმ დონეს, რაც განვითარებულ ქვეყნებსა და საზოგადოებებშია.

იმუნური სისტემის როლი ინსულტის დროს



ზაალ კოკაია,
ბიოლოგიის
მეცნიერებათა
დოქტორი,
ფილოსოფიის
დოქტორი,
ლუნდის
უნივერსიტეტის
(შვედეთი)
პროფესორი,
თსუ-ის
მოწვეული
ლექტორი

ჩვენი დღევანდელი ლექცია შეეხება ნეიროიმუნოლოგიას — დარგს, რომელიც ადამიანის ორგანიზმში კავშირს ამყარებს ორ მნიშვნელოვან სისტემას: ნერვულ სისტემასა და იმუნურ სისტემას შორის. კერძოდ, ჩვენ დღეს განვიხილავთ, თუ რა როლს თამაშობს იმუნური სისტემა ნერვული სისტემის ერთ-ერთი დაავადების — ტვინის ინსულტის დროს და როგორ შეიძლება ამ ურთიერთქმედების გამოყენება იმისთვის, რომ შევიმუშაოთ ახალი თერაპიული მეთოდები, რათა ინსულტიან პაციენტებს დავეხმაროთ დაკარგული ფუნქციების აღდგენაში.

თავდაპირველად განვიხილოთ, თუ რა არის ტვინის ინსულტი, როგორ ვითარდება და რა პათოლოგიები ვლინდება ამ დროს. ინსულტი, ეს არის ნერვული სისტემის/ტვინის ის დაავადება, როდესაც ტვინის გარკვეულ უბნებში ხდება სისხლის მიწოდების დაქვეითება ან შეწყვეტა. ეს შეიძლება სისხლდენით

იყოს განპირობებული, თუმცა ასეთი შემთხვევები მხოლოდ 10%-ია. უმეტეს შემთხვევაში, სისხლძარღვში ხდება სისხლის კოლტის, ასე ვთქვათ, გაჭედვა/დახშობა, რის გამოც ტვინის გარკვეულ უბანს აღარ მიეწოდება სისხლი და ეს უბანი, ან ამ უბანში არსებული ნერვული უჯრედები ანუ ნეირონები, ზიანდებიან და ილუპებიან. ის ფუნქცია, რასაც ტვინის მოცემული უბანი (დაზიანებული უბანი) განაპირობებს, პაციენტებში ქვეითდება — თუ ეს იქნება მოტორული ქერქი, დაქვეითდება მოტორიკა, ანუ მოძრაობის უნარი; თუ ეს იქნება მეტყველების ქერქი, დაუქვეითდება ან სრულიად გაუქრება მეტყველების უნარი. ამდენად, ეს ძალიან მნიშვნელოვანი დაავადებაა და იგი, თანამედროვე განვითარებულ სამყაროში, წარმოადგენს ინვალიდობის ერთ-ერთ წამყვან დაავადებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეს დაავადება ძალიან ხშირია. დღეს-დღეობით ევროკავშირში ტვინის ინსულტით დაავადებული, დაახლოებით, 3.5 მილიონი პაციენტია. ამ რიცხვს ყოველწლიურად, ასევე დაახლოებით, 700.000 პაციენტი ემატება. შესაბამისად, ამ დაავადების ღირებულება საკმაოდ დიდია და ევროკავშირში მის მიერ მიყენებული ზარალი, საშუალოდ, 38 მილიარდი ევროა. ინსულტმა შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი, მაგრამ, თუ პაციენტი გადარჩება, მისი 2/3 ინვალიდი იქნება, ხოლო ინვალიდობის დონე შეიძლება სხვადასხვა ხარისხის იყოს. რაც უფრო ხანდაზმულია ადამიანი, ინსულტის გაჩენის ალბათობა პროპორციულად იზრდება და ამიტომ ინსულტიანი პაციენტების უმეტესობა ხანდაზმული ადამიანები გახლავთ. იმის გათვალისწინებით, რომ დასავლეთ სამყაროში, ევროპაში, მოსახლეობის საშუალო ასაკი იზრდება, შესაბამისად, მატულობს ინსულტიანი პაციენტების რიცხვიც. ამდენად, ეს პრობლემა განვითარებადია, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძალიან ბევრი რისკფაქტორი და დაავადების პროფილაქტიკაც ვიცით.

დაბერებადი მოსახლეობა განაპირობებს იმას, რომ ინსულტიანების რიცხვი იზრდება. ძირითადი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ინსულტის შემთხვევაში შეგვიძლია მხოლოდ პირველ ეტაპზე (რამდენიმე საათის განმავლო-

ბაში) დავეხმაროთ პაციენტს სისხლის კოლტის (რომელიც წარმოიქმნა და რომელმაც დაახშო სისხლძარღვი) პრეპარატებით ან მექანიკურად დაშლით. თუკი ეს დიდი სისხლძარღვია, მექანიკურად ტრომბოქტომია, ანუ სისხლძარღვიდან ამ კოლტის გამოღება უნდა მოხდეს. საწყისი რამდენიმე საათის შემდეგ აღნიშნული პროცედურები ეფექტური აღარ არის და ძალიან ცოტაა დადებითი შემთხვევები. ჩვენ არ გვაქვს პრეპარატებზე დაფუძნებული თერაპიული საშუალება, რაც დაგვეხმარება, რომ აღდგენითი პროცესი გავაუმჯობესოთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტვინს გააჩნია თვითაღდგენის/ რეგენერაციის უნარი და ინსულტის შემდეგ დაქვეითებული ფუნქცია სპონტანურად/თავისთვავად შეუძლია გარკვეულ-ნილად აღადგინოს. ჩვენი ამოცანაა, შევძლოთ ამ რეგენერაციული უნარის გაძლიერება და დავეხმაროთ პაციენტს, რომ დაკარგული ფუნქციების აღდგენა მოხდეს უფრო სწრაფად ან ეფექტურად.

იმისთვის, რომ შევისწავლოთ ინსულტი, საჭიროა გვქონდეს გარკვეული ცხოველური მოდელი, რადგან ადამიანზე შესწავლა მხოლოდ კლინიკურ პირობებში არის შესაძლებელი. ჩვენ ვთვლით, რომ გვაქვს ძალიან რელევანტური ცხოველური მოდელი, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ მსხვილი სისხლძარღვებიდან/კაროტიდული სისხლძარღვიდან ტვინში შევიყვანოთ ძუა, რომელიც გარკვეულ ადგილას დაახშობს სისხლძარღვს — შუაცერებრალურ არტერიას. ეს ის არტერიაა, რომელიც ინსულტიან პაციენტებში ძალიან ხშირად იხშობა. იმის მიხედვით, თუ რამდენი ხანი იქნება არტერია დახშობილი, ფილამენტის გამოძრობით შეგვეძლება ვარეგულიროთ ოკლუზის დრო, ანუ დაახშობის დრო. რაც უფრო ხანგრძლივია დახშობის დრო, მით უფრო დიდად დაზიანდება ტვინი. ამდენად, ეს მოდელი ასახავს იმ პროცესებს, რაც ხდება ადამიანის ტვინში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მოვახდინოთ იმ დაქვეითებული ფუნქციების მოდელირება, რაც ინსულტიან პაციენტებში ვითარდება.

ჩვენ გვაქვს ვირთაგვებსა და თაგვებში ქცევითი მოდელების მთელი წყება, რაც საშუალებას გვაძლევს, შევისწავლოთ

— თუ რა მდგომარეობაშია მათი მოტორიკა, ანუ კიდურების მოძრაობები, ასევე მათი სენსორული სისტემა, ანუ შეგრძნებები და კოგნიტური სისტემა, მაგალითად, მეხსიერება. ამ მოდელებით ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ, თუ როგორ ქვეით-დება ეს ფუნქცია ინსულტის შემდეგ, მაგრამ ასევე შეგვიძლია შევისწავლოთ, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ეს დაქვეითებული ფუნქცია სხვადასხვა ზემოქმედების შედეგად. ამდენად, ჩვენ გვაქვს მთელი სისტემა/მოდელი ინსულტის, რაც საშუალებას გვაძლევს ექსპერიმენტულ პირობებში შევისწავლოთ სხვადასხვა ფაქტორით ზემოქმედება იმ რეგენერაციულ პროცესებზე, რაც ტვინში ხდება.

იშემის შედეგად (სისხლის მიწოდების დაქვეითება) ტვინში ძალიან ბევრი სხვადასხვა პროცესი ვითარდება: უჯრედები იღუპება, ვითარდება ტვინის შეშუპება, ხდება სხვადასხვა უჯრედის სტრუქტურის ცვლილება. ამავდროულად, წარმოიქმნება ახალი უჯრედები. ეს არის გლიოგენეზი — გლიური უჯრედების წარმოქმნა, ნეიროგენეზი — ახალი ნეირონების წარმოქმნა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც ამავდროულად ვითარდება ტვინში, ეს არის ნეიროინფლამაცია — ანთებითი პროცესი, რაც გულისხმობს იმას, რომ ხდება იმუნური სისტემის აქტივაცია.

საერთოდ, ცნობილია, რომ ნებისმიერი ქსოვილის დაზინების დროს ადამიანის იმუნური სისტემა აქტიურდება და სისხლში არსებული იმუნური უჯრედები ცდილობს დაზიანებული უჯრედებისგან განმინდოს მოცემული ქსოვილი ან გამოყოს ის ნივთიერებები, რომლებიც დაზიანებულ უჯრედებს მოკლავს, ან პირიქით, გამოყოს ისეთი ნივთიერებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ უჯრედების გადარჩენასა და რეგენერაციას. ეს პროცესები მუდმივად ხდება ნებისმიერი ქსოვილის დაზიანების დროს, და ტვინი არ არის გამონაკლისი, მაგრამ, ტვინი სხვა ქსოვილებისგან იმით განსხავდება, რომ მას აქვს ავტონომიური, ცალკე იზოლირებული იმუნური სისტემა, რომელიც წარმოდგენილია ე.წ. მიკროგლის უჯრედების სახით. სისხლიდან უჯრედები, ნორმალურ პირობებში, ტვინში თავისუფლად ვერ აღწევს, რადგანაც ტვინის სისხლ-

ძარღვები ასტროფიტებით/გლიური უჯრედებით არის გარშემორტყმული და ტვინის ქსოვილში უჯრედები ვერ აღწევს. მაშინ, როდესაც ტვინი ინსულტის დროს ზიანდება, ეს პარიერი იხსნება და სისხლის იმუნური უჯრედები თავისუფლად აღწევს ტვინში. ეს პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ ვთვლით, რომ ამ პროცესის ცოდნითა და მოდელირებით შეგვიძლია, გარკვეულწილად, ზემოქმედება მოვახდინოთ აღგენით პროცესებზე. რეგენერაცია და ფუნქციური აღდგენა — ეს ის მიზანია, რასაც ჩვენ კვლევების დროს ვისახავთ. ამ მიზნის მისაღწევად ლაბორატორიაში ვიყენებთ ღეროვან უჯრედებს და ვცდილობთ შევისწავლოთ — როგორ შეიძლება იყოს მიმართული ღეროვანი უჯრედების თვისებები იქითენ, რომ მოხდეს ამ პროცესების გააქტიურება.

ღეროვანი და იმუნური უჯრედები, თავის მხრივ, ძალიან ინტენსიურად ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და ესეც ჩვენი კვლევის ერთ-ერთი საგანია. როგორ შეიძლება ამ ღეროვანმა უჯრედებმა (თუკი მათ გადაცნერგვათ დაზიანებულ ტვინში) იმოქმედონ ტვინში და დაეხმარონ ტვინს აღადგინოს თავისი დაქვეითებული ფუნქცია? უპირველეს ყოვლისა, ეს არის დაღუძული ნეირონების თუ ასტროფიტების ჩანაცვლება ახალი უჯრედებით, რომლებიც შესაძლებელია წარმოიქმნას ზუსტად ამ გადანერგილი ღეროვანი უჯრედებიდან. ინსულტის დროს წარმოიქმნება დაზიანებული ნერვული რკალი. ამ უჯრედებს შეუძლია ჩაერთოს ამ ნერვული რკალის აღდგენაში და აიღოს თავის თავზე ის ფუნქცია, რაც დაქვეითდა. ამგვარად, შესაძლებელია, რომ შემცირდეს ტვინის დაზიანება, რადგანაც ეს უჯრედები თავისთავად გამოყოფენ სხვადასხვა ფაქტორებს და ეს ფაქტორები, ხშირ შემთხვევაში, დაცვით ფუნქციას ასრულებენ და იცავენ ტვინს შემდგომი დაზიანებებისაგან. ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს აღდგენით პროცესებზე. გადანერგილმა ღეროვანმა უჯრედებმა შესაძლებელია მოახდინონ ახალი უჯრედების წარმოქმნა და სტიმულირება — ეს იქნება ნეიროგენეზი თუ გლიოგენეზი და ამ მხრივ განაპირობებენ აღდგენითი პროცესების სტიმულაციას. მაგრამ, თუ დავუბრუნდებით ჩვენს

თემას, გავიგებთ, რომ დეროვანმა უჯრედებმაც ასევე შეიძლება იმოქმედონ ანთებით პროცესზე/ნეიროინფლამაციაზე და ურთიერთქმედება ჰქონდეთ იმუნურ უჯრედებთან. ეს საკითხი რამდენიმე წლის წინ ჩვენ ძალიან დეტალურად განვიხილეთ ერთ-ერთ მიმოხილვით სტატიაში, რომელიც Nature Neuroscience-ში გამოქვეყნდა და სწორედ აქ წამოვნიეთ ეს იდეა, რომ ურთიერთქმედება, ანუ რასაც ვუწოდებთ „cross-talk“-ს (ერთმანეთთან საუბარი იმუნური უჯრედების და ენდოგენური ან გადანერგილი დეროვანი უჯრედებისა), შეიძლება იყოს ზუსტად ის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ჩვენ შევძლებთ რეგენერაციული პროცესების გაძლიერებას.

რა ხდება ტვინში, როდესაც ინსულტის დროს ზიანდება ქსოვილი?

დაზიანებული უჯრედი გამოყოფს გარკვეულ მოლეკულებს/ნაწილაკებს, რომლებიც მოქმედებენ ტვინში არსებულ იმუნურ უჯრედებზე. ეს უჯრედები (მიკროგლია) ჩვეულებრივ პირობებში მოსვენებულ მდგომარეობაშია, მაგრამ, როდესაც დაზიანებას აქვს ადგილი, ხდება მათი აქტივაცია. აქტივაცია გულისხმობს იმას, რომ ისინი, გარკვეულწილად, იცვლიან თავიანთ ფორმას და გამოყოფენ ნივთიერებებს, რომლებიც, თავის მხრივ, აძლიერებენ ანთებით პროცესს, ეს იქნება „IL-1“, „TNF“ ან „IL-6“-და ასე შემდეგ. გარკვეულწილად, იქმნება პოზიტიური რკალი, ანუ, რაც უფრო მეტია დაზიანება და მეტია მიკროგლის აქტივაცია, ეს, თავისმხრივ, აძლიერებს დაზიანებას. ამ ტიპის გააქტიურებას ჩვენ პრო-ინფლამაციურ გააქტიურებას ვეძახით, ანუ ე.წ. აქტივაციას. ასევე, როდესაც ზიანდება ტვინი, გარკვეული სიგნალები, ნერვული სისტემით, მიემართება ძვლის ტვინისკენ და ხდება იქ არსებული დეროვანი უჯრედების გააქტიურება. ამ უჯრედების გააქტიურების შედეგად ისინი ძვლის ტვინიდან გამოდიან სისხლის ნაკადში და შემდეგ უკვე სისხლის ნაკადის გზით მიემართებიან ნერვული ქსოვილისკენ, ანუ ტვინისკენ. როგორც მოგახსენეთ, სისხლძარღვების ბარიერი ირღვევა და ამ იმუნური უჯრედების განვლადობა მატულობს. ეს უჯრედები, კერძოდ, მონოციტები იჭრებიან ტვინის ქსოვილში და აქტიურდებიან. ასე იქმნება

მაკროფაგები. მაკროფაგები — ეს ის უჯრედებია, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ იმუნური პროცესის წარმართვაში. ეს უჯრედები, როგორც ირკვევა, ძალიან დადებით როლს თამაშობენ რეგულირაციის პროცესში და ეს განპირობებულია იმით, რომ ისინი გამოყოფებ/გამოიმუშავებენ ტროფიკულ და ზრდის ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ არა მარტო აღდგენით პროცესებს, არამედ დამცველობით ფუნქციასაც ასრულებენ და იცავენ ტვინს შემდგომი დაზიანებისგან. ასევე საინტერესოა, რომ მაკროფაგებიდან გამოყოფილმა მოლეკულებმა შეიძლება დათრგუნონ გააქტიურებული მიკროგლია, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ნერვულ ქსოვილზე, გადაიყვანონ ეს მიკროგლია ანტი-ინფლამატორულ — ე.ნ. M2 მდგომარეობაში და ამით ხელი შეუწყონ აღდგენით და რეგისტრაციულ პროცესებს. ჩვენი კვლევის დროს ერთ-ერთი კითხვა, რომელიც დაისვა, გახლდათ — თუ რამდენად შესაძლებელია, რომ მოხდეს ამ მონოციტების (ასევე, რა უბნებში ხდება) ინფილტრაცია, ანუ შეღწევა ინსულტით დაზიანებულ ქსოვილში.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ ჩვეულებრივ თაგვებში გამოვიწვიეთ ტვინის ინსულტი. ამ ექსპერიმენტებში გამოვიყენეთ მწვანე ფლორესენტული პროტეინით მონიშნული უჯრედების მქონე თაგვი. ამ თაგვის ძვლის ტვინიდან ავიღეთ დეროვანი უჯრედები, რომლებიც ასევე ფლორესენტული მარკერითა მონიშნული და ეს უჯრედები შევიყვანეთ ინსულტით დაზიანებულ თაგვებში, ანუ მოვახდინეთ ძვლის ტვინის უჯრედების ტრანსპლანტაცია. ინსულტით დაზიანებული თაგვის უჯრედები არ იყო მწვანე და ამდენად ჩვენ შევგიძლია მივაკვლიოთ იმ მწვანე უჯრედებს, რომელიც ჩვენ შევუყვანეთ ტვინში. რამდენიმე დღის შემდეგ ეს თაგვები მოვკალით და ტვინის ჰისტოლოგიური ანალიზი ჩავატარეთ, რომ გვენახა, თუ სად წავიდნენ ვენაში შეყვანილი ძვლის ტვინის მწვანე უჯრედები — მიაღწიეს თუ არა ტვინამდე და რა უბნებში მოხდა მათი განლაგება. ვნახეთ, რომ უჯრედები ძალიან ინტენსიურად აღწევენ ტვინში და ისინი ლაგდებიან, ძირითადად, ინსულტით დაზიანებული უბნების მიდამო-

ებში. რეალურად, ეს მონოციტები, რომლებიც ძვლის ტვინიდან წარმოიქმნება, შედიან/აღწევენ ტვინის ქსოვილში და ლაგდებიან დაზიანების უბანში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ამ ქსოვილზე. ის მონოციტები ბუნებრივადაც წარმოიქმნება ძვლის ტვინში, ყოველგვარი ტრანსპლანტაციის და ინექციის გარეშე და ისინი აღწევენ დაზიანებულ ქსოვილში. თუკი ფლორესენტული უჯრედების კვლევას ჩავატარებთ, დინამიკაში ვნახავთ, რომ უჯრედების/მონოციტების შესვლა ტვინის ქსოვილში ხდება ინსულტიდან, დაახლოებით, მეორე-მესამე დღეს. შემდეგ ეს რაოდენობა დინამიკაში კლებულობს, მაგრამ მაინც მომატებულია რამდენიმე კვირის განმავლობაში.

იმის შესწავლა, თუ რა როლს თამაშობენ ეს მონოციტები, რომლებიც ტვინში აღწევენ, შესაძლებელია ორი გზით: მათი მომატებული რაოდენობითა და რაოდენობის დაკლებით, ანუ — თუ მოვაკლებთ და შევზღუდავთ მათ შეღწევას ტვინში და დავაკვირდებით, რა გავლენას მოახდენს ეს პროცესი აღდგენით პროცესებზე.

სწორედ ამ მიზნით ჩვენ გამოვიყენეთ სპეციფიური ანტის-ხეული, რომელიც ბლოკავს ე.ნ. CCR2 რეცეპტორს, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მონოციტები გამოვიდნენ ძვლის ტვინიდან სისხლის ნაკადში და სისხლიდან შეაღწიონ ტვინში. რეალურად, ამ ანტისხეულის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია დავაქვეითოთ სისხლში მყოფი მონოციტების რაოდენობა. იმის სანახავად, ეს ხდება თუ არა, ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ სისხლის ნიმუშები, დავთვალოთ მონოციტები და მარტივად დავინახოთ, თუ რამდენად ეფექტურია ამ ანტის-ხეულის მოქმედება.

მონოციტების ინფილტრაციის დაბლოკვა ძალიან ეფექტურად ხდება და მონოციტების რაოდენობა სისხლში, პრაქტიკულად. ნოლზე დადის. გარკვეული პერიოდით, ერთი კვირის მანძილზე, ჩვენ შეგვიძლია ძალიან ეფექტურად მოვახდინოთ სისხლში მონოციტების რაოდენობის დაქვეითება.

რადგან ვიცოდით, რომ ეს ანტისხეული ეფექტური არის მონოციტების რაოდენობის დასაქვეითებლად, ჩვენ ჩავატა-

რეთ შემდეგი ექსპერიმენტი:

პირველ რიგში თაგვებში შევამოწმეთ მათი უნარი — გამოიყენონ თათები, რათა სპეციალური ყუთებიდან მოიპოვონ საკვები ბურთულები. ამის შემდეგ ამ თაგვებში გამოვიწვეთ ინსულტი და რამდენიმე დღეში დავიწყეთ მონოციტების რაოდენობის დაქვეითება ანტისხეულით, როგორც წინა მაგალითზე. მონოციტების დაქვეითების შემდეგ ისევ ჩავატარეთ ქცევითი კვლევა სხვადასხვა პერიოდში — ერთი, სამი, შვიდი და 11 კვირის შემდეგ, რის შემდეგაც შევისწავლეთ თაგვების ტვინი, თუ რა მდგომარეობაში იყო ჰისტოლოგიურად ტვინის ქსოვილი. ჩვენ გამოვიყენეთ კორიდორის ტესტი, როდესაც ცხოველი მიდის კორიდორში და ორივე მხარეს განლაგებულია საკვებიანი ფინჯნები. ნორმალური თაგვი ორივე მხრიდან თანაბრად იღებს საკვებს. დაზიანების შემთხვევაში კი თაგვები დაზიანების საწინააღმდეგო მხარედან ნაკლებ საკვებს იღებენ. ამ ტესტის ქცევითმა მონაცემებმა აჩვენა, რომ იმ ცხოველებში, რომლებშიც ჩვენ გამოვიწვიეთ ინსულტი, მაგრამ არ მოვახდინეთ მონოციტების დაქვეითება, გრადუალურად / ნელ-ნელა ხდება საკვების აღების აღდგენა და 11 კვირის შემდეგ უკვე სტატისტიკური განსხვავება საკონტროლო და ინსულტიან ცხოველებში არ არის. ხოლო იმ ცხოველებში, რომლებშიც მოვახდინეთ მონოციტების რაოდენობის დაქვეითება, სპონტანური აღდგენა 11 კვირაზე აღარ ხდება. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ მონოციტები აუცილებელია იმისთვის, რათა მოხდეს დაქვეითებული ფუნქციის სპონტანური აღდგენა. მეორე, ე.ნ. კიბის ტესტში, როდესაც ჩვენ ვამოწმებთ თათით საჭმლის აღების და ჭამის უნარს — ანალოგიურ სურათთან გვქონდა საქმე — როდესაც მონოციტების რაოდენობა დავაქვეითეთ, სისხლში აღდგენა არ მოხდა, ხოლო მონოციტებიან — ნორმალურ თაგვებში 7 კვირის შემდეგ, გარკვეულწილად, ეს ფუნქცია აღდგა. საინტერესოა, რომ, როდესაც შევისწავლეთ ტვინის ქსოვილი, აღმოჩნდა, რომ დაზიანების დონე მსგავსია საკონტროლო და მონოციტდაქვეითებულ ცხოველებში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მონოციტების როლი არ მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას

ქსოვილი ან უჯრედები დაღუპვისგან. იმისთვის, რომ გაგვერკვია, თუ რა მექანიზმით ახდენენ მონოციტები ზემოქმედებას ტვინზე, ჩვენ გამოვყავით მონოციტები ქსოვილიდან და შევისწავლეთ მათი ფენოტიპი, ანუ მათი თვისებები, თუ რომელ კლასს განეკუთვნებიან — M1 თუ M2 ჯგუფს. მიღებული მონაცემების მიხედვით, საწყის ეტაპზე, ვთქვათ, მესამე დღეს, მონოციტების პროფილი, ფენოტიპი უფრო არის M1, რომელიც არის პრო-ინფლამატორული, ხოლო შემდეგ მე-7, მე-14 და 21-ე დღეს აღმოჩნდა რომ M2 ფენოტიპი ძლიერდება და უფრო ინტენსიურად ვლინდება, ვიდრე 1. ასევე, ის მოლეკულები (CD206, Dectin), რომლებიც M2 ბუნების არის, მომატებულია ამ მონოციტებში. ჩვენთვის საინტერესო იყო, რომ გაგვერკვია, თუ რა გენების აქტივაცია ხდება მონოციტებში ან მთლიანად ინსულტიან ქსოვილში, როდესაც ხდება ამ ქსოვილის ინსულტით დაზიანება. როგორც გაირკვა, თუ ავიღებთ ინსულტიან ქსოვილს, ანუ M1 და M2 ტიპის გენებს (ანტი-ფლამატორული და პრო-ინფლამატორული), დავინახავთ ორივე გენის აქტივაციას. მაგრამ, იმისთვის, რომ გაგვერკვია, მონოციტების დაქვეითების შემდეგ რა მდგომარეობაა ქსოვილში, ჩვენ ისევ და ისევ გამოვიყენეთ MC-21 ანტისხეული და დავაქვეითეთ ტვინში შეღწეული მონოციტების რაოდენობა. შემდეგ შევისწავლეთ, თუ რა დონეზე ხდება სხვადასხვა გენის აქტივაცია ასეთ ქსოვილში და მივიღეთ ძალიან საინტერესო შედეგები. აღმოჩნდა, რომ, ძირითადად, მონოციტების დაქვეითების შედეგად კლებულობს ანტი-ინფლამატორული გენების აქტივაცია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მონოციტები ამ M2-ის გზით ახდენს რეგენერაციული პროცესების გაძლიერებას.

ამ კვლევების შედეგად მივიღეთ დასკვნა, რომ მონოციტები-დან მიღებული მაკროფაგები ინსულტის შემდეგ ხელს უწყობს ქცევითი პროცესების აღდეგნას და ეს პროცესი განპირობებულია ანტი-ინფლამატორული, ე.წ. M2 ტიპის გენების და მარკერების აქტივაციით. ეს იმას ნიშნავს, რომ მონოციტების ტიპის თვისებები შეიძლება გაძლიერდეს და, შესაბამისად, შეგვიძლია გავაძლიეროთ რეგენერაციული პროცესები ტვინში.

ერთ-ერთი პროცესი, რომელიც ითვლება, რომ არის რეგენერაციის ნაწილი, ეს არის ახალი ნეირონების წარმოქმნა. ჩვენი კვლევების შემდეგი ეტაპი დაფუძნებული იყო სწორედ ამ ე.წ. ნეიროგენეზის, ანუ ახალი ნეირონების წარმოქმნასთან მიმართებაში. ნეიროგენეზი — ეს ის პროცესია, რომელიც დაკავშირებულია ახალი ნეირონების წარმოქმნასთან. ნეირომეცნიერების კლასიკოსის, რამონდა კახალის მიერ შემოთავაზებული იყო პოსტულატი, რომ ზრდასრულ ტვინში ახალი ნეირონების წარმოქმნა არ ხდება. მაგრამ, ბოლო ათწლეულებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ზრდასრულ ტვინშიც ხდება ახალი ნერვული უჯრედების წარმოქმნა მთელი სიცოცხლის მანძილზე. ჩვენ 15 წლის წინ აღმოვაჩინეთ, რომ ინსულტის შედეგად ხდება ახალი ნეირონების წარმოქმნის გაძლიერება. ეს ახალგაზრდა ნეირონები მიემართებიან დაზიანებული უბნებისკენ და იქ ხდება მათი დიფერენციაცია/ჩამოყალიბება ზრდასრულ ნეირონებად. სწორედ ეს პროცესი შევისწავლეთ ინსულტიან თაგვებში და გადავწყვიტეთ გაგვერკვია, თუ რა გავლენას მოახდენს მონოციტების რაოდენობის დაქვეითება ამ პროცესზე. ამისთვის ჩვენ ცდა ჩავატარეთ კვლავ თაგვებზე, მათში გამოვიწვით ინსულტი და შემდეგ, როგორც წინა ექსპერიმენტების დროს, დავაქვეითეთ მონოციტების რაოდენობა. 7 დღის შემდეგ შევისწავლეთ თაგვების ტვინი და ვნახეთ, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ ახლადწარმოქმნილი ნეირონები. შემდეგ მოვახდინეთ ტრანსპლანტაცია ადამიანის კანიდან აღებული სხვა ღეროვანი უჯრედებისა და შევისწავლეთ, თუ რა გავლენას მოახდენს მონოციტების რაოდენობის დაქვეითება ამ გადანერგილი ნეირონების თვისებებზე. შემიძლია ვთქვა, რომ ინფილტრირებული მონოციტების დაქვეითების შედეგად მოხდა ბაზალურ განგლიებში მიმდინარე ნეიროგენეზის, ანუ ინსულტით გამოწვეული ნეიროგენეზის გაძლიერება. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ დაქვეითდა ამ ნეირონების რაოდენობა, ანუ მონოციტები უარყოფითად მოქმედებენ ახალი ნეირონების წარმოქმნაზე.

მონოციტების რაოდენობის დაქვეითება ასევე აქვეითებს გლიური უჯრედების აქტივაციას და ჩვენთვის, ამ ეტაპზე,

ძნელი სათქმელია — ფუნქციურად რა როლს ასრულების ის ინსულტის შემდეგ აღდგენით პროცესებზე. უფრო გლობალური სურათი რომ წამოვიდგინოთ, აღდგენითი პროცესები საკმაოდ მრავალფეროვანი და რთულია. ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც არის ნეიროგენეზი, არ არის ის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მონოციტების მიერ აღდგენითი პროცესების გაძლიერებას. თუმცა, არის ბევრი სხვა პროცესი, რაც ხდება ტვინში ინსულტის შემდეგ, რომელთა ზემოქმედებაზეც შესაძლებელია მონოციტებმა გააძლიერონ აღდგენითი პროცესები.

ჩვენთვის საინტერესო კითხვა იყო — შეგვიძლია თუ არა მონოციტების გაზრდით გავაუმჯობესოთ აღდგენითი პროცესები? ამისთვის ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ კულტურაში მოგვეხდინა მათი წინასწარი აქტივაცია M2 ფენოტიპზე, ანუ ანტი-ინფლამატორულ ფენოტიპზე. შემდეგ ასეთი აქტიური, პოზიტიური, „დამუხტული“ მონოციტები შეგვეყვანა თაგვებში და ქცევით ტესტებში შეგვემოწმებინა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ამას. კულტურის პირობებში გამოვყავით მონოციტები, მოვახდინეთ მათზე IL-4-ისა და IL-13-ის ზემოქმედება და, როგორც ჩანს, ამან გამოიწვია ის, რომ ანტი-ინფლამატორული გენები საკმაოდ აქტიურად გააძლიერდა ამ უჯრედებში. შემდეგ, ასეთი აქტიური მონოციტები შევიყვანეთ ვირთაგვებში და დავაკვირდით მათ ქცევას ღია ველის ტესტში. უჯრედშევყვანილ ვირთაგვებში იმატებს როგორც ტრიალის მოძრაობები, ისე გავლილი მანძილის პარამეტრები. ეს ხდება როგორც სამი კვირის შემდეგ, ისე სამი თვის შემდეგაც. აქაც შევისწავლეთ კორიდორის ტესტი, სადაც საინტერესო მონაცემები აღმოჩნდა: მონოციტების შეყვანის შემდეგ, სამ კვირაში, გაცილებით მოიმატა აღდგენითმა პროცესებმა, მაგრამ, უკვე სამი თვის შემდეგ, ერთნაირი იყო საკონტროლო და უჯრედებიან ჯგუფებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მონოციტებმა კი არ გააუმჯობესა, არამედ დააჩქარა აღდგენითი პროცესები და, საბოლოო ჯამში, ის ისე-თივე დონეზე იყო, როგორც მონოციტების გარეშე. თავად აღდგენითი პროცესის დაჩქარება საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი არის და აქვს დიდი თერაპიული ღირებულება.

ბოლო, საკმაოდ საინტერესო ექსპერიმენტები ეხებოდა კოგნიტურ ფუნქციებს, ანუ როგორ ახსოვს თაგვს ესა თუ ის მოვლენა ინსულტის შემდეგ. საინტერესოა კლინიკური მონაცემები, რომლებიც მიუთითებს, რომ დროთა განმავლობაში ინსულტიან პაციენტებში ხდება მეხსიერების დაქვეითება. ეს გახლავთ ძალიან მნიშვნელოვანი სიმპტომი, რომელიც დიდ პრობლემას წარმოადგენს პაციენტებისთვის. ჩვენ ავიღეთ ე.წ. აქტიური განრიდების ტესტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ის, თუ რამდენად კარგად იმახსოვრებს ცხოველი ელექტრონულ სტიმულს. ნორმალურ პირობებში ცხოველი ცდილობს, რომ დარჩეს ბნელ განყოფილებაში, ბნელ ყუთში და არ გავიდეს განათებულ სივრცეში, მაგრამ თუ მოახდენენ ელექტროსტიმულაციას, იგი იძულებულია აქტიურად გადავიდეს ლია ველში. სწორედ ამის დამახსოვრება — თუ 30 წამზე მეტი დროით დარჩა ბნელ ველში, მიიღებს ელექტრონულ სტიმულს — არის ის პარამეტრი, რომლითაც ჩვენ ვმსჯელობთ იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ცხოველის მეხსიერება. 5 დღის შემდეგ ჩვენ კვლავ ვიმეორებთ ამ ტესტს და ამ პარამეტრებით ვმსჯელობთ მეხსიერებაზე, ანუ კოგნიტურ მდგომარეობაზე. ცდის დაწყებიდან 3 თვის შემდეგ განსხვავება მონოციტებიან და ჩვეულებრივ ცხოველებში თვალნათლივია — მონოციტებიანი ჯგუფი საკმაოდ კარგად იმახსოვრებს ამ ტესტში ელექტრონულ სტიმულაციას, ხოლო იმ ცხოველებს, რომლებშიც მონოციტების შეყვანა არ მოხდა, სტიმულაცია ავიწყდებათ და მათი მეხსიერება ქვეითდება.

ეს მონაცემები ლირებულია იმდენად, რამდენადაც კოგნიტური ფუნქცია ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომელიც ქვეითდება ინსულტიან პაციენტებში. საინტერესო არის ის, რომ, თუ ავიღებთ მონოციტებს ყოველგვარი წინასწარი აქტივაციის გარეშე, ამ ეფექტს ვერ მივიღებთ: მონოციტებიან და საკონტროლო ჯგუფებს ერთნაირად უქვეითდებათ მეხსიერება. ამდენად, აქტივირებული მონოციტები არის ის წყარო, რომელიც, სავარაუდოდ, მომავალში შეგვეძლება გამოვიყენოთ იმისთვის, რომ გავაუმჯობესოთ ინსულტიან პაციენტებში აღდგენითი პროცესები.

ეს არის ექსპერიმენტული კვლევები. კიდევ ბევრი კითხვა არის, რაზეც პასუხი უნდა გავცეთ. ეს ძალიან ხანგრძლივი და ძალიან შრომატევადი პროცესია, მაგრამ ყველა წინაპირობა არსებობს იმისთვის, რომ, ამ მეთოდის განვითარების საშუალებით, ჩვენ გარკვეულ ეტაპზე შევიმუშავებთ კლინიკურად ვალიდურ, ანუ მისაღებ მეთოდოლოგიას, რომელიც შეგვეძლება გამოვცადოთ ინსულტიან პაციენტებში.

ჩვენ გვჯერა, რომ მომავალში შევძლებთ ინსულტიან პაციენტებს შევუმსუბუქოთ მდგომარეობა და დავეხმაროთ იმაში, რომ ალიდგინონ დაქვეითებული ფუნქციები სწორედ ამ გზით — იმუნური სისტემების მობილიზაციითა და მათი რეგენერაციულ პროცესებში ჩართვით.

სფილდება თუ არა ქართულ ენას გაინგლისურება



**თინათინ
მარგალიტაძე,
ლექსიკოგრაფი,
ფილოლოგიის
მეცნიერებათა
დოქტორი,
თსუ-ის
პროფესორი**

ჩვენი დღევანდელი ლექცია ეძღვ-
ნება თანამედროვე ქართულ ენაში ინ-
გლისური ენის გავლენით მიმდინარე
პროცესების ანალიზს.

ქართული საზოგადოება ძალიან შე-
წყვებულია იმით, რომ გამართული ლი-
ტერატურული ენით მეტყველება სერი-
ოზულ დეფიციტად იქცა ქვეყანაში —
ერთი მხრივ, უკიდურესად გაღარიბე-
ბულია ქართული ლექსიკა, ის სიტყვა-
ნი, რითაც მეტყველებს თანამედროვე
ქართველი და, მეორე მხრივ, ქართულ
ენაში დიდი რაოდენობით არის შემოჭ-
რილი ინგლისური სიტყვები, ე.წ. ბარბა-
რიზმები.

ლექსიკა ყველაზე მნვავედ ირეკ-
ლავს უცხო ენის გავლენას და ასე და-
ემართა ქართულ ენასაც, მაგრამ უნდა
ალინიშნოს, რომ ეს დაბინძურება, ენის
შერყვნის პროცესი, აღწევს ისეთ მყარ
სისტემებშიც კი, როგორიც არის ქარ-
თული ენის მორფოლოგია და სინტაქსი.
ეს აისახა სიტყვების ნარმოთქმასა და

წინადადების ინტონაციურ გაფორმებაზეც. ასეთი მასშტაბური დაბინძურება, რის წინაშეც დღეს ჩვენი საზოგადოება დგას, ბუნებრივია, მრავალი მიზეზით არის განპირობებული. ამას სჭირდება სერიოზული ანალიზი, სწორი ენობრივი პოლიტიკის შემუშავება და მრავალი — როგორც სასწავლო, ასევე ლექსიკოგრაფიული რესურსის შექმნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოსწორება იმ ზიანისა, რაც ქართულ ენას, განსაკუთრებით ბოლო 10-15 წლის მანძილზე, მიადგა, ალბათ, სწორი ენობრივი პოლიტიკის გატარების შემთხვევაშიც კი, წლებს მოითხოვს.

ბუნებრივია, ასეთ დიდ თემას ერთ ლექციაში ვერ მოვაქცევთ, ამიტომ, როგორც ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის წარმომადგენელმა, მინდა ვისაუბრო იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ინგლისური ენა თანამედროვე ქართულ ლექსიკაზე.

საერთოდ, როდესაც ორი ენა ერთმანეთთან შედის კონტაქტში, ყოველთვის ახდენს ერთმანეთზე გავლენას და ამგვარი მოვლენა პირველი არ არის ქართული ენის ისტორიაში. არც ის არის გასაკვირი, რომ ქართულ ენაზე სწორედ ინგლისური ენა ახდენს გავლენას, რადგან, ბოლო წლებში, სწორედ ინგლისური ენის მეშვეობით შემოვიდა ქართულ ენაში დიდი ინფორმაცია. ჩვენ მონმე ვართ, როგორ განვითარდა ინტერნეტი — თითქმის არ არის ოჯახი, მათ შორის, რეგიონებშიც, რომლებიც ინტერნეტის მომხმარებლები არ არიან. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ, ბუნებრივია, წარმოქმნა ბევრი ახალი ცნება, ახალი ტერმინოლოგია, რომელიც ქართულ ენას ინგლისური ენის მეშვეობით მოაწყდა.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ საქართველოში შეიცვალა პოლიტიკური ვითარება და სამართლებრივი ურთიერთობები, ქვეყანა სოციალიზმიდან პრაქტიკულად საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდა, დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა ბევრ ქვეყანასთან და ამ სიახლეებს, რომელშიც ჩვენი ქვეყანა და ჩვენი საზოგადოება აღმოჩნდა, უამრავი ახალი ცნება, ახალი სიტყვა მოჰყვა, რაც ენაში სწორედ ინგლისური ენის მეშვეობით შემოვიდა. ამიტომ ეს გავლენა შეიძლება ბუ-

ნებრივიც არის, მაგრამ, ვფიქრობ, დადგა დრო, რომ გავაანალიზოთ ეს პროცესები და მათი გამომწვევი მიზეზები.

რამდენიმე ხნის წინ, ერთმა ცნობილმა ქართველმა უურნალისტმა ასეთი ტექსტი გაავრცელა სოციალურ ქსელში: „ჩემი აზრით, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების ადგილის ლოკაციის კრედიტილურობა კარგად ტარგეტირებულმა და კალეურილებულმა გაიდლაინებმა უნდა დაადგინოს. და მომავალშიც, კონსისტენტური ვიზიტორების რაოდენობის ვალიდურობაც ტრანსპარენტულად უნდა იყოს დაგენერირებული. ეს თბილის გადაქცევს რეგიონულ ჰაბად, რაც პროლონგირებულ პერსპექტივაში ბენეფიტების კლასტერს მოვიტანს“. როგორც უურნალისტი წერს, სიტყვები, რომლებიც მან ამ პატარა ტექსტში გამოიყენა, მას არ მოუგონია. ყველა ეს სიტყვა მან შეკრიბა სოციალური ქსელიდან, საჯარო სივრციდან და მოაქცია ერთ პატარა ტექსტში, რათა საზოგადოებას დაანახოს — თუ საით მივაქანებთ დღეს ქართული სახელმწიფოს ენას.

ფეხბურთის მატჩის კომენტირებისას, ახალი თაობის სპორტული უურნალისტი ასეთ კომენტარს გააკეთებდა: „გუნდის ფლეიმეიკერის ძლიერ დარტყმას მონინააღმდეგი გუნდის კიპერმა სეივი გაუკეთა, ეს მისი მეოთხე სეივია დღეს“. უფროსი თაობის სპორტული უურნალისტი კი იგივეს ასე იტყოდა: „გუნდის გამთამაშებლის ძლიერი დარტყმა მონინააღმდეგე გუნდის მეკარემ მოიგერია. ეს მეოთხე მოგერიებაა დღეს“. როგორც ვხედავთ ერთ პატარა წინადაღებაში სამი სპორტული ტერმინი ჩანაცვლდა სპორტული ბარბარიზმით.

თანამედროვე ქართულ მედიასივრცეს რომ გადავავლოთ თვალი, დავინახავთ, რომ ის ინგლისური ძირის სიტყვები, რომლებმაც შედარებით მოკრძალებით შემოაღეს ქართული ენის კარი რამდენიმე წლის წინ, ზვავად იქცა და წალეკვით ემუქრება ასობით ქართულ სიტყვას. „დააფეხურება“, „დასინვა“, „დაკლიკვა“, „დალაიქება“, „დათაგვა“, „დაფორვარდება“, „დაქენსელება“, „დალიქვა“, „აროგანტული“, „დისემინაცია“, „დედლაინი“, „დეიოფი“, „დესტინაცია“, „დრაივი“,

„სქილები“, „სტაფი“, „აჯენდა“, „ლიდერშიპი“ და ა.შ. — ასეულობით ასეთი სიტყვა არის დღეს თანამედროვე ქართულში შემოქრილი.

ბარბარიზმი არის საჭიროების გარეშე ენაში შემოტანილი უცხო ენის სიტყვა, რომელსაც აქვს შესატყვისი მშობლიურ ენაში (ხშირად რამდენიმე შესატყვისიც) და რომლის ასიმილაცია ენაში არ ხდება. აյ ჩამოთვლილ ბარბარიზმებს თუ მიუბრუნდებით, დავინახვავთ, რომ ყველა ამ ბარბარიზმს აქვს შესატყვისი ქართულ ენაში: „დაათდეითება“ — განახლება, „დასინვა“ — ნახვა, „დაკლიკვა“ — დაწაპუნება, „დალაიქება“ — მოწონება, „დათაგვა“ — მონიშვნა, „დაფორვარდება“ — გადაგზავნა, „დაქენსელება“ — გაუქმება, „დალიქვა“ — გაუონვა, „აროგანტული“ — ქედმალალი, „დისემინაცია“ — გავრცელება, „დედლაინი“ — ბოლო ვადა, „დეიოფი“ — ერთდღიანი შვებულება, „დესტინაცია“ — დანიშნულების ადგილი, „დრაივი“ — მუხტი, „სქილები“ — უნარ-ჩვევები, „სტაფი“ — თანამშრომლები, „აჯენდა“ — დღის წესრიგი, „ლიდერშიპი“ — ხელმძღვანელობა და ა.შ. რეალურად ეს სიტყვები არ სჭირდება ენას, ისინი იჭრებიან ენაში და გარდა იმისა, რომ ანაგვიანებენ, დევნიან ქართული ენიდან მშობლიურ სიტყვებს, რომლებიც შესანიშნავად გადმოსცემენ ამ ბარბარიზმების შინაარსს.

რამდენიმე თვის წინ, თსუ-ის ლექსიკოგრაფიულმა ცენტ-რმა წამოიწყო მოძრაობა სწორედ ამ ტენდენციების წინააღმდეგ, რომელსაც უწოდა „არა ბარბარიზმებს!“ სოციალურ ქსელში შეიქმნა სპეციალური გვერდი, რომელსაც უკვე ათასობით მიმდევარი ჰყავს. ამ გვერდზე ყოველდღიურად ქვეყნდება ინფორმაცია, ანალიზი, პატარა სტატიები, რომლებიც იწერება ამა თუ იმ აქტუალურ თემაზე, რაც ბარბარიზმებსა და თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე პროცესებს უკავშირდება.

უნდა ითქვას, რომ ის ათასობით მიმდევარი, რომელიც გვერდს ჰყავს, ძირითადად ძალიან შეწუხებულია ამ პრობლემით და მხარს უჭერს ქართული ენის დაწმენდისა და ამ პროცესების გაკონტროლების საკითხს. თუმცა გამოიკვეთა ასე-

თი აზრიც, რომ ქართულში ძალიან ბევრი ნასესხები სიტყვაა თურქულიდან, სპარსულიდან, არაბულიდან, რუსულიდან და რაღა მაინც და მაინც ინგლისურ სიტყვებს ვებრძვით... მართალია, ასეთი მოსაზრება იშვიათია, მაგრამ არსებობს და პასუხი უნდა გაეცეს. თუ გადავავლებთ თვალს ქართული ენის ლექსიკას, დავინახავთ, რომ ნასესხობა ნამდვილად საკმაო რაოდენობით არის, როგორც არაბულიდან, ასევე სპარსულიდან, თურქულიდან და რუსულიდანაც, რაც, ბუნებრივია, რადგან ორი საუკუნის განმავლობაში ქართული ენა რუსული ენის ძლიერ გავლენას განიცდიდა და ამ პერიოდში ქართულ ენაში რუსული ენიდან ბევრი სიტყვა შემოვიდა. 1887 წელს ლადო აღნიაშვილი თავისი „უბის ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში წერდა: „ხუთი წამიც კი ვერ ლაპარაკობენ დღეს წმინდა ქართულ ენაზე ისე, რომ საუბარში რუსული სიტყვები არ გაურიონ, რაც ღვთისაც წინააღმდეგია და კაცისაც — არასასიამოვნო“.

მხოლოდ ქართულ ენაშია ნასესხები სიტყვები? გამონაკლისია ამ თვალსაზრისით ქართული ენა? რა თქმა უნდა, არა. ნებისმიერი ენის ლექსიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მასში არის როგორც მშობლიური, ასევე ნასესხები სიტყვები. თავად ინგლისურ ენას რომ შევხედოთ, ანუ ინგლისური ენის ეტიმოლოგიურ ჭრილს, რომელიც დღეს ძირითადი წყაროა ამ ბარბარიზმებისა, დავინახავთ, რომ აქაც არის უამრავი ნასესხები სიტყვა სკანდინავიური ენებიდან, ფრანგულიდან, ლათინურიდან, რაც განპირობებულია იმით, რომ ინგლისი VIII საუკუნიდან სკანდინავიელების გავლენას განიცდიდა, შემდეგ XI საუკუნეში, ფრანგების შემოსევის შემდეგ, ინგლისში სამი საუკუნე სახელმწიფო ენა ფრანგული იყო, რაც ინგლისურ ენაზე, მის ლექსიკაზე და, ზოგადად, მის განვითარებაზეც აისახა.

ბუნებრივია, რომ ქართულ ენაშიც არის ნასესხობა. ენის ისტორია განუყოფელია ერის ისტორიისგან და ენის ლექსიკა უამთააღმნერლის სიზუსტით ასახავს ერის ისტორიულ პერიეტიებს. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დამპყრობელი ყოველთვის ერჩის დაპყრობილი ხალხის ენას, რადგან ენა-

ში ხედავს ერის იდენტობის შენარჩუნების მძღავრ ინსტრუმენტს, ხედავს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და გადარჩენის მძღავრ საშუალებას და ამიტომ ესეც გასათვალისწინებელია, როდესაც ნასესხობაზე ვსაუბრობთ.

როდის დგება ენაში უცხო სიტყვის შემოსვლის საჭიროება? იდეალურ შემთხვევაში, ენაში უცხო სიტყვის შემოსვლის საჭიროება დადგება მაშინ, როდესაც ჩნდება ახალი ცოდნა, მაგალითად, გაჩნდა ინტერნეტი და გაჩნდა სიტყვა ინტერნეტი, რომელიც ქართულშიც შემოვიდა და დამკვიდრდა. გაჩნდა — კომპიუტერი და ეს სიტყვა ქართულ ენაშიც დამკვიდრდა, ასევე ატომი, კლონი, მანამდე იყო ტელევიზორი, ტელეფონი და ა.შ., ანუ, იდეალურ შემთხვევაში, ენაში უცხო სიტყვა ყოველთვის შემოდის, როდესაც ენობრივი კოლექტივი ეცნობა ახალ რეალიას ან ახალ ცოდნას, ცნებას და იმ სიტყვასაც იღებს, რომელიც ამ ცნებას მოჰყვება. თუმცა აქაც უნდა აღინიშნოს, რომ არის ენები, რომლებიც უცხო სიტყვების მიღებას მკაცრად აკონტროლებენ და ახალი ცნებების აღსანიშნავად თავად ქმნიან სიტყვებს საკუთარი ენის რესურსებით. ევროპულ ენებს რომ გადავხედოთ, მაგალითად, ფრანგულ ენაში კომპიუტერი არის Ordinateur, ასევეა ესპანურშიც (ordenador), ირლანდიურშიც (Ríomhaire). ეპრაულ ენაში კომპიუტერის აღმნიშვნელი სიტყვა მოაზროვნეს ნიშნავს. ასე რომ, ქართული ენა ამ თვალსაზრისით უფრო ღია ენაა და ის იღებს ასეთ უცხო სიტყვებს, თუმცა ქართულ ენაშიც არის მშობლიური ენის რესურსებით ნეოლოგიზმების შეთხზვის არაერთი საინტერესო მაგალითი.

ბარბარიზმი, განსხვავებით ნასესხობისგან, რომელიც უკვე ასიმილირებულია ენაში და ასახულია ეტიმოლოგიაში, განსხვავებით უცხო სიტყვებისაგან, რომლებსაც ენაში მოაქვთ ახალი ინფორმაცია, არის საჭიროების გარეშე ენაში შემოტანილი სიტყვა. ის ხშირ შემთხვევაში დევნის ენაში უკვე არსებულ მშობლიურ სიტყვას და ანაგვიანებს ენას. მას ახალი არაფერი შემოაქვს, მაგრამ ქმნის მთელ რიგ პრობლემებს და, მათ შორის, ენის საკომუნიკაციო ფუნქციის თვალსაზრისით.

მოგეხსენებათ, ენის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა საკომუნიკაციო ფუნქცია, ანუ აზრის გაგებინების ფუნქცია. ენის მეშვეობით საზოგადოება ერთმანეთს აგებინებს აზრებს და როდესაც ენაში გროვდება დიდი რაოდენობით ისეთი სიტყვა, რომელიც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის გაუგებარია, ეს, ბუნებრივია, უქმნის პრობლემას აზრის გადაცემას. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ხშირად ისმის სიტყვა — „ბორდი“ — საზოგადოებრივ მაუნიკებელთან მიმართებით, ძალიან ბევრ ჩვენს მოქალაქეს არ ესმის, რას ნიშნავს ეს სიტყვა. „ბორდი“ ბევრ რამეს შეიძლება ნიშნავდეს. ის შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო, მრჩეველთა საბჭო და ამდენად, როდესაც ისმის სიტყვა, რომლის შინაარსი არ ესმის მოსახლეობას, ცხადია, ეს ქმნის პრობლემას. შემდეგ, როდესაც ასეთი სიტყვა ორი და სამი გროვდება წინადადებაში, მაგალითად, „ქეისის პატერნი“, „ბულით პოინტები“, „რითრითის აჯენდა“, „დაბუსტვა“ და ა.შ. ეს, რა თქმა უნდა, ქმნის კომუნიკაციის პრობლემას და სწორედ ამას მიანიშნებდა უურნალისტი, როდესაც ბარბარიზმებით დახუნდლული ტექსტი გამოაქვეყნა.

ბარბარიზმების დიდი რაოდენობით შემოჭრა ენაში, გარკვეულწილად, ხელს უშლის ქართული სიტყვების განვითარებას, მათ მორგებას ახალი ნიუანსების ან ახალი პოლისემიური მნიშვნელობის გადმოცემაზე. განვიხილოთ მარტივი მაგალითი, სოციალურ ქსელში გავრცელებული სიტყვა — „დალაიქება“ და კომპიუტერული ტერმინი — „დასეივება“. ინგლისური სიტყვები „ლაიქი“ და „სეივი“ ჩვეულებრივი, საერთო ლექსიკის სიტყვებია, რომლებმაც შემდეგ შეიძინეს ახალი მნიშვნელობები: სოციალურ ქსელში რაიმეს მოწონება და ინფორმაციის კომპიუტერში შენახვა. როდესაც ჩვენ ქართული სიტყვების — „მოწონების“ და „შენახვის“ ნაცვლად ვიყენებთ ინგლისური ენიდან შემოტანილ სიტყვებს — „დალაიქება“ და „დასეივება“, ამით ხელს ვუშლით ქართული სიტყვების განვითარებას. ჩვენ არ ვაძლევთ საშუალებას ქართულ სიტყვას, მოერგოს ახალი ნიუანსის, ახალი მნიშვნელობის გადმოცემას, ენაში შემოგვაქვს ბარბარიზმი, რო-

მელიც საერთოდ დევნის მას ყოველდღიური მეტყველები-დან და მიმოქცევიდან. ასე რომ, ბარბარიზმით გამოწვეული ერთ-ერთი პრობლემა არის ის, რომ იგი აფერხებს ქართული სიტყვების განვითარებას, ანუ იმ პროცესს, რასაც ლექსიკის განვითარება ეწოდება.

სერიოზული პრობლემა იქმნება, როდესაც ბარბარიზმის სახით გვევლინება ისეთი ინგლისური სიტყვა, რომელსაც აქვს ძალიან ფართო მნიშვნელობა. ბოლო ხანებში გავრცელდა ასეთი ბარბარიზმი — „პატერნი“, რომლის შესატყვისი ინგლისური სიტყვა არის pattern. ეს სიტყვა ფართო მნიშვნელობისაა და იმდენი მნიშვნელობით გამოიყენება ქართულშიც, რომ უკვე სერიოზული ანალიზია ჩასატარებელი იმის გასარკვევად, თუ რას ნიშნავს „პატერნი“. მაგალითად, გამოიყენება შესატყვება „ქცევის პატერნი“, ნაცვლად ქცევის თავისებურებისა, კანონზომიერებისა; „ქეისების პატერნი“ — ნაცვლად ცალკეული შემთხვევების მსგავსებისა; „პატერნი“ ასევე შეიძლება ნიშნავდეს მოხატულობას, ორნამენტს, მაგალითად, „გეომეტრიული პატერნი“ არის გეომეტრიული ორნამენტი.

ასეთივე შემთხვევაა სიტყვა „ბექგრაუნდი“, რომელიც ხშირად ისმის და რომელსაც ბეკრი ქართული შესატყვისი აქვს. „ბექგრაუნდი“ შეიძლება იყოს ფონი, განათლება, ოჯახიშვილობა, ნარმომავლობა, „ბექგრაუნდი“ შეიძლება იყოს პიროვნების პოლიტიკური წარსული, შეიძლება იყოს პოლიტიკურ მოვლენათა კონტექსტი. როდესაც ყველა ამ შემთხვევაში ქართული სიტყვების ნაცვლად ვიყენებთ „ბექგრაუნდს“, მისი მნიშვნელობა ბუნდოვანი ხდება. ესეც, რა თქმაუნდა, თავის მხრივ, აფერხებს ნორმალურ კომუნიკაციას და აზრის გაგებინებას.

რა არის ქართულ ენაში ინგლისური ბარბარიზმების მორავლების მიზეზი? ერთ-ერთი პირველი მიზეზი, რომელიც, როგორც ლექსიკოგრაფმა, მინდა გამოვყო, არის ქართული ლექსიკოგრაფიის სრული უგულებელყოფა. როგორც უკვე აღინიშნა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა ახალი სამართლებრივი, ეკონომიკური,

საფინანსო ურთიერთობები, რომელმაც ახალი ცნებები მოიტანა, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი, რევოლუციური განვითარების შედეგად წარმოიშვა ახალი ტერმინოლოგია, რომელიც ინგლისური ენის მეშვეობით მოზღვავდა ქართულ ენაში. ამ ვითარებას ფილტრად ქართული ლექსიკოგრაფია უნდა დასდგომოდა. სწორედ ქართველ ლექსიკოგრაფებს უნდა გამოეცათ ამ პერიოდში ორენოვანი აკადემიური ლექსიკონები ინგლისურ და ევროპულ ენებთან მიმართებით, სწორედ ამ პერიოდში უნდა დამუშავებულიყო ტერმინოლოგიური ლექსიკონი, ამ პერიოდში უნდა დაჩქარებულიყო მუშაობა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე, შექმნილიყო კორპუსული რესურსები და ა.შ.. ამის ნაცვლად, სწორედ ამ პერიოდში ქართველი ლექსიკოგრაფები და ქართული ლექსიკოგრაფია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

2010 წელს ბათუმში გაიმართა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამ სიმპოზიუმზე ქართველმა ლექსიკოგრაფებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს მთავრობისა და აკადემიური საზოგადოებისადმი, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს: „მდგომარეობა ქართული ლექსიკოგრაფიისა, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია და დიდი ტრადიცია აქვს, სერიოზული განგაშის საფუძველს იძლევა. ლექსიკოგრაფიის კოლონსალური შრომა დღევანდელ საქართველოში თითქმის მთლიანად დაუფასებელია. დასამალი არ არის, რომ დღეისათვის, ძირითადი და სავალდებულო ლექსიკონების თვალსაზრისით, მკვეთრად ჩამოვრჩებით იმ დონეს, რომელიც ევროპული სტანდარტებით მოეთხოვება განვითარებული მნიგნობრობის ქვეყანას და ეს ჩამორჩენა თანდათანობით გამოუსწორებელ ხასიათს იძენს. ასეთ ვითარებაში დარგს დალუპვა ემუქრება“.

სამწუხაოდ, მიუხედავად იმისა, რომ ორი საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა, რომელიც ლექსიკოგრაფიის

პრობლემებს ეძღვნებოდა, იყო გარკვეული ძვრები ამ მიმართულებით, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ რადიკალურ ნაბიჯებს, რომელიც გამოასწორებს ქართული ლექსიკოგრაფიის მდგრადარეობას.

მეორე მიზეზი, რომელიც სერიოზული პრობლემაა, ჩემი აზრით, ეს არის უცხო ენების სწავლების მეთოდოლოგია. სულ უფრო მეტი ევროპელი მეცნიერი საუბრობს და წერს იმის შესახებ, რომ შეუძლებელია და არასწორია უცხო ენების სწავლების პროცესიდან მშობლიური ენის განდევნა. სულ უფრო მეტი მეცნიერი წერს იმის შესახებ, რომ უცხო ენების სწავლების პროცესში აუცილებელია, ენის შემსწავლელმა დაინახოს ის უდიდესი სხვაობა, რაც არსებობს მის მშობლიურ ენასა და უცხო ენას შორის, ანუ ის, რასაც ჩვენ ასიმეტრიას ვუწოდებთ. ამიტომ უცხო ენის სწავლების დროს არათუ არ უნდა განიდევნოს მშობლიური ენა, არამედ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს უცხო ენის ლექსიკური, გრამატიკული თუ სინტაქსური ინფორმაციის შესაბამისობაში მოყვანას მშობლიური ენის შესაბამის ლექსიკურ, გრამატიკულ თუ სინტაქსურ ინფორმაციასთან.

მიმდინარე პროცესებზე დაკვირვების შედეგად მექმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოში გავრცელებულია აზრი, რომ ინგლისურ ენასა და ქართულ ენას შორის არის სწორხაზოვანი მიმართება, სრული სიმეტრია; რომ ინგლისური სიტყვა უნდა გამოხატავდეს ზუსტად იმას, რასაც გამოხატავს ქართული სიტყვა; რომ ერთ ქართულ სიტყვას ერთი ინგლისური სიტყვა უნდა შეესატყვისებოდეს, ორ ქართულ სიტყვას — ორი ინგლისური სიტყვა და ა.შ.. სინამდვილეში, სრულიად პირიქით არის. საქმე გვაქვს სერიოზულ ასიმეტრიასთან ქართულ და ინგლისურ ენებს შორის და, შეიძლება, სწორედ ასეთი არასწორი შეხედულება არის ამდენი ბარბარიზმის მომრავლების მიზეზი თანამედროვე ქართულ ენაში.

ქართულ და ინგლისურ ენებს შორის ძნელად მოიძებნება, თითქოსდა, მსგავსი სიტყვები, რომლებიც სრულად ფარავენ და ენაცვლებიან ერთმანეთს ყველა კონტექსტში. მაგალი-

თად, ქართული — ისარი — ინგლისურად არის arrow, მაგრამ საათის ისარი სულ სხვა ინგლისური სიტყვით ითარგმნება (hand); ქართული — კარი — ინგლისურად არის door, ფეხბურთის კარი — goal, ხოლო წიგნის კარი არის chapter. ანუ ერთი და იგივე ქართული სიტყვა ინგლისურად სხვადასხვა სიტყვებით ითარგმნება. ზუსტად ასევე, ერთი და იმავე ინგლისურ სიტყვას ქართულში შეიძლება ძალიან ბევრი შესატყვისი ჰქონდეს. ეს არის ენობრივი კანონზომიერება. ასევე — ინგლისურ ენაში არის უამრავი სიტყვა, რომელიც ქართულში საერთოდ არ არის ლექსიკალიზებული, ანუ ცნება სიტყვად არ არის ქცეული. მაგალითად, privacy ითარგმნება სამი ქართული სიტყვით — პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ასევეა ქართულში უამრავი ცნება, რომელიც ინგლისურში სიტყვად არ არის ქცეული. ესეც ლინგვისტური კანონზომიერებაა და არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ენა ნაკლულია ინგლისურ ენასთან შედარებით. პირიქით, ენებს შორის სწორედ ასეთი სწორხაზოვნების არარსებობა არის ამ ენების სიმდიდრე და ამაშია ქართული ენის უნიკალურობა და განუმეორებლობა. ეს სემანტიკური ასიმეტრია უნდა გახდეს როგორც ენის შემსწავლელების, ისე მასწავლებლებისთვის, მთარგმნელების-თვის ერთ-ერთი ცენტრალური თემა და მას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს უცხო ენების სწავლების დროს და თარგმანის დროს. აუცილებელია უცხო ენის სწავლებისას ორენოვანი ლექსიკონების გამოყენება. ჩვენთან კი გავრცელდა ისეთი სწავლის მეთოდები, რომელმაც არა მარტო უარყო მშობლიური ენის გამოყენება უცხო ენის სწავლის პროცესში, არამედ უარყო ორენოვანი ლექსიკონის გამოყენებაც — ერთენოვანი განმარტებითი ლექსიკონების სასარგებლოდ.

ბარბარიზმების თემაზე დაკვირვებამ რეალურად დაგვანახა, რომ, ხშირ შემთხვევაში, მისი გამოყენების მიზეზი არის ის, რომ ადამიანმა არ იცის — როგორ თქვას ეს სიტყვა ქართულად. ამას ბევრი გულწრფელად აღიარებს — მინდა ვთქვა ქართულად, მაგრამ არ მომდის თავში შესატყვისი სიტყვაო. ამის მიზეზია ის რომ, მას განათლება უცხოეთში აქვს მიღებული ან უცხო ენა ნასწავლი აქვს ამ ხსენებული მეთოდებით,

ამიტომ იძულებულია, ენაში შემოიტანოს ინგლისური ძირის სიტყვა.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია თანამედროვე ქართული ტერმინოლოგია (ამდენი ხანი ჩვენ ვსაუბრობდით საერთო ლექსიკის სიტყვებზე), ვინაიდან ბოლო წლებში შეჩერებული იყო ტერმინოლოგიური მუშაობა და ცოტა გამოდიოდა ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგიური და აკადემიური ლექსიკონები. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ეს სფერო კიდევ უფრო მეტად არის წალევილი, ვიდრე საერთო ლექსიკა ტერმინოლოგიური ბარბარიზმებით. „რეციპროკული“, „ტრანსლოკაცია“, „ტრანზიციული“, „მუტაცია“, „ინკორპორაცია“, „რეპარაცია“, „ინბრიგინგი“, „აუტბრიდინგი“, „ადიტიური“... და რას აღარ გაიგონებ, როდესაც სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიას გადავლებ თვალს.

ვფიქრობ, საკმაოდ რთული ვითარებაა ენაში შექმნილი და დადგა დრო, ქართულმა საზოგადოებამ, აკადემიურმა წრეუბმა გარკვეული შეფასება მისცენ იმ პროცესებს, რომლებიც ენაში მიდის. საჭიროა ამ მიზეზების სერიოზული გაანალიზება, არაერთი დისკუსიის გამართვა მრგვალ მაგიდასთან, სადაც სპეციალისტები იმსჯელებენ ამ საკითხებზე, გააანალიზებენ და შემდეგ დაისახება მდგომარეობის გამოსწორების გზები.

თუ დავუბრუნდებით კითხვას — სჭირდება თუ არა ქართულ ენას გაინგლისურება, პასუხი არის ის, რომ ქართულ ენას სჭირდება არა გაინგლისურება, არამედ — განვითარება. ვინ უნდა განვითაროს ქართული ენა? უპირველესად პროფესიონალმა ლექსიკოგრაფებმა აკადემიური ორენოვანი თუ ერთენოვანი განმარტებითი ლექსიკონების გამოცემით. ქართული ენა უნდა განვითარონ პროფესიონალმა მთარგმნელებმა მხატვრული ლიტერატურისა თუ დარგობრივი ლიტერატურის მაღალმხატვრული და მაღალლიტერატორული პროფესიონალური თარგმანებით; უნდა განვითარონ პედაგოგებმა, რომლებიც ასწავლიან სკოლებში, როგორც მშობლიურ ენას, ასევე უცხო ენებს.

პროცესების ანალიზმა რეალურად დაგვანახა, რომ ხშირ

შემთხვევაში ქართულ ენაში, ქართულ ლექსიკაში მომრავ-ლებული ბარბარიზმების მიზეზი არის ცოდნის ნაკლებობა. ერთ შემთხვევაში ეს არის ქართული ენის ცუდად ცოდნა, რიგ შემთხვევაში კი — ინგლისურის ცუდად ცოდნა. ასევე, ეს არის უცხო ენის სწავლების არასწორი მეთოდები, ლექსიკოგ-რაფიის უგულვებელყოფა, ლექსიკონების ნაკლებობა, ასევე არსებული ლექსიკონების გამოყენების უნარ-ჩვევების არარ-სებობა.

მოძრაობა „არა ბარბარიზმებს!“ დღეს უკვე არის საერთო საუნივერსიტეტო მოძრაობა. ამ მოძრაობის ფარგლებში ინ-ტერნეტში შექმნილია ვებ-გვერდი, შეკრებილია 1000-ზე მე-ტი ბარბარიზმი, რომელიც ორ გამოცემაში აისახა. ერთი — ეს არის ბარბარიზმების ლექსიკონი, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში გამოსცა თსუ-მ ქართული ენის დღესთან დაკავში-რებით. ამ გამოცემაში გაერთიანდა ძირითადად ინგლისურე-ნოვანი, საერთო ლექსიკაში ფეხმოკიდებული ბარბარიზმები. მაისში ინტერნეტში აიტვირთა ბარბარიზმების ონლაინ-ლექ-სიკონი, რომელიც შევიდა როგორც ინგლისურენოვანი, ასე-ვე რუსული წარმომავლობის ბარბარიზმები. სათანადო ლი-ლაკების მეშვეობით მკითხველს შეუძლია გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ბარბარიზმის ქართული შესატყვისისადმი ან მოწონებით, ან დაწუნებით, შესაძლებელია კომენტარის გამოგზავნა ლექსიკოგრაფიული ცენტრისათვის და ასევე შე-საძლებელია ნებისმიერი ბარბარიზმის გაზიარება საკუთარი ფეისბუკის გვერდზე.

არის ასეთი მოსაზრება, რომ მივუშვათ ბარბარიზმები და ენა თვითონ დაწმენდს, მიიღებს, რაც მას სჭირდება და უკუ-აგდებს იმას, რაც მას არ სჭირდება. საქმე ისაა, რომ თუ გავიხ-სენებთ რუსულენოვან ბარბარიზმებს, ამდენი წელი ქართულ ენაში არსებობის მიუხედავად, ეს სიტყვები ვერ დამკვიდრდა ქართულ ენაში და ასოცირდება მდაბიურ მეტყველებასა და გაუნათლებლობასთან. რამდენ სახელოსნოზეც უნდა იყოს გაკრული წარწერა „რაზვალი“ (ამ სიტყვას შესანიშნავი ქარ-თული შესატყვისი აქვს — ნახარი), ბუნებრივია, რომ ვერა-სოდეს გახდება სალიტერატურო ენის ნაწილი და ის ყოველ-

თვის დარჩება ბარბარიზმად და ხორცმეტად ქართული ენის სხეულზე. უამრავი რუსული ბარბარიზმი — „ხადავიკი“, სავალი ნაწილის მაგივრად, „დვორნიკები“ — მინასაწმენდის მაგივრად, „სტოლი“, „ატვიორკა“ და სხვა, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ისმის, მაინც დარჩა ბარბარიზმად. იმ ფონზე, როდესაც არის ლექსიკოგრაფიული რესურსების ნაკლებობა, როდესაც არის პრობლემა სწავლების მეთოდებში და ასევე სასწავლო რესურსების თვალსაზრისითაც, ვფიქრობთ, რომ ასე თვითდინებაზე ენის მიშვება არ არის სწორი და ამ პროცესებს გაკონტროლება ესაჭიროება, მით უფრო, რომ როგორც ჩვენმა ანალიზმა გამოავლინა, აქ მიზეზი პრობლემისა მაინც ცოდნის ნაკლებობაა და არა ენის საჭიროება.

ჩვენი მოძრაობის „არა ბარბარიზმებს!“ ფარგლებში ჩავატარეთ მაისურების აქცია, რომელიც რამდენიმე თვე გრძელდებოდა. ეს აქცია საკმაოდ პოპულარული გახდა — თითქმის არ დარჩა სატელევიზიო არხი, რომელმაც არ მიგვიწვია. აქცია სწორედ იმათი ყურადღების ცენტრში მოექცა, ვინც ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი ადრესატია — უურნალისტები. აქციაში, რომელიც გულისხმობდა მაისურის დამზადებას (მას წინა მხარეს ენერა რომელიმე ბარბარიზმი, რომელსაც შეარჩევდა აქციაში მონაწილე, ხოლო ზურგზე ეწერა ამ ბარბარიზმის სწორი ფორმა), ჩაერთნენ ცნობილი ინტელექტუალები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ჩვენს მოძრაობას, აქციაში ჩაერთნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები. 14 პრილს, ქართული ენის დღეს, თსუ-ში გაიმართა დიდი ღონისძიება, რომელზეც დაჯილდოვდნენ ამ მოძრაობის გამარჯვებულები. ამავე დღეს უნივერსიტეტმა დააწესა უნივერსიტეტის მედალი — ეს არის ჯილდო, რომელიც ყოველ წელს, ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, გაიცემა და უნივერსიტეტი დააჯილდოებს ერთ უურნალისტს, ერთ საზოგადო მოღვაწეს და ერთ ქართველოლოგს განსაკუთრებული ლიტერატურული ქართულით მეტყველებისთვის.

მოძრაობა „არა ბარბარიზმებს!“ ბევრი მიმართულებით გაგრძელდა — შეეხო წარწერების თემასაც, რომელიც მეტად

მტკიცნეული თემაა. მე არაერთი საჯარო ლექცია წავიკითხე ბარბარიზმების თემაზე, როგორც დედაქალაქის სხვადასხვა უნივერსიტეტში, ასევე ფოთში, ბათუმში, შევხვდი არაერთ სკოლის მოსწავლეს. საოცარი გამოხმაურებაა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. არ შეიძლება არ ითქვას, რომ ენის დაბინძურების პროცესი არ მოსწონთ ახალგაზრდებს, სტუდენტებს, არ მოსწონთ სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებს და, საბოლოო ჯამში, გაურკვეველია, ვის მოსწონს, ვინ უნივორსიტეტის ხელს ასეთი ქართულის გავრცელებას, ასეთი ქართულით მეტყველებას და ენის ასეთ დაბინძურებას.

მოძრაობა „არა ბარბარიზმებს!“ არ შეჩერდება და კვლავაც გააგრძელებს საქმიანობას. ვფიქრობ, რომ ამ მოძრაობის ძალა სწორედ იმაშია, რომ ეს არის არა ერთჯერადი, არამედ განგრძობადი პროცესი.

გალაკტიონი

ინესა
მერაბიშვილი,
თარგმანმცოდნე,
ბაირონოლოგი,
თსუ-ის
პროფესორი



მე გახლავართ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, დასავლეთ ევროპული ფილოლოგიის ინსტიტუტის თარგმანმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელი. ვარ ანგლისტი, ბაირონოლოგი, თარგმანმცოდნე. ბაირონს ვთარგმნი ქართულად და გალაკტიონს — ინგლისურად. ამავე დროს, ვიკივლევ გალაკტიონის შემოქმედებას და, გამომდინარე იქიდან, რომ დღევანდელი დღე, 17 მარტი არის გალაკტიონის გარდაცვალების თარიღი, ხოლო მომავალ წელს მისი გარდაცვალებიდან 60 წელი სრულდება, გადავწყვიტე, ეს ლექცია სწორედ გალაკტიონს მივუძღვნა. საკუთრივ, მსურს, გესაუბროთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ვხედავდეთ დღეს გალაკტიონს, როგორ უნდა შევიმეცნოთ ის და მეტიც, როგორი გალაკტიონი შეგვიძლია გავაცნოთ საერთაშორისო სამყაროს. გალაკტიონი ხომ ამაზე ოცნებობდა და თან ძალიან წუხდა, რომ მთარგმნელები ხშირად

გაურბოდნენ მას. ის კი გულწრფელად მოუწოდებდა მათ, ეთარგმნათ მისი პოეზია.

უპირველეს ყოვლისა, მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, თუ რომელ ეპოქაში დაიბადა და მოღვაწეობდა გალაკტიონი. მოგეხსენებათ, იგი ასპარეზზე XX საუკუნის დასაწყისში გამოვიდა. მისი ცნობილი ლექსი — „მერი“ 1915 წლით თარიღდება, შემდეგ ამას მოჰყვა „მე და ღამე“, „მესაფლავე“, „ლურჯა ცხენები“ და სხვა. ამ ლექსებმა გალაკტიონი ძალიან ცნობილ პოეტად აქცია, რის შემდეგაც არ დაყოვნდა დიდი ტიტულიც: ქართველმა მკითხველმა გალაკტიონი „პოეტთა მეფედ“ აღიარა და მას დღესაც ასე მოვიხსენიებთ.

XX საუკუნე გამორჩეულია თავისი ტექნიკური და პოლიტიკური რევოლუციებით. ყურადღება მივაქციოთ ტექნიკურ რევოლუციას, რომელმაც აბსალუტურად შეცვალა კაცობრიობის ცხოვრების წესი და ყოფა. ადამიანი ოდითგანვე ფეხით, ცხენით, ნავით, შემდეგ უკვე, გემით მოძრაობდა, მაგრამ XX საუკუნის დიდმა ტექნიკურმა ძრებმა ის პაერში გაიყვანა და კოსმოსშიც გაფრა. ამ ყველაფერმა ძალიან იმოქმედა ადამიანის ფსიქიკაზე და იმ გენიოსთა შემოქმედებაზე, ვინც მსოფლიოს XX საუკუნეში მოვლინა. უდავოა, რომ ხელოვანი ამ ეპოქაში, გარკვეულწილად, დაიბნა კიდეც.

ფუტურიზმი, როგორც მიმდინარეობა, ხელოვნებაში გალაკტიონამდეც არსებობდა. ის იტალიიდან რუსეთში ჩამოვიდა და შემდეგ საქართველომდეც ჩამოაღწია. ფუტურიზმი ის მიმდინარეობაა, რომელიც ომს აღმერთებს და სიკვდილს არ ებრძვის. დამეთანხმებით, ამ თვალსაზრისით, ის საშინელებაა. მის პარალელურად იქმნება დადაიზმი, რომელსაც შემდგომში ყველაზე სწორ ფილოსოფიად გამოაცხადებენ, აგრეთვე სიურრეალიზმი, სუპრემატიზმი, კუბიზმი და ა.შ. პაბლი პიკასოს შედევრებმა დაანგრია ადამიანის სახე, მიუხედავად იმისა, რომ კუბებად ქცეული ადამიანი შესანიშნავი ფერებით და შესრულებით იყო მიწოდებული. სალვადორ დალი აცხადებდა, რომ მას არ ჭირდებოდა ესთეტიკა, ხოლო ტომას ელიოტი იტყვის, ჩვენ გამოშიგნული ადამიანები ვართო (we are the hollow men).

აი, სწორედ ამ ფონზე მოდის გალაკტიონი, რომელმაც შე-სანიშნავად იცის ყველა ეს მიმართულება ისევე, როგორც ეს იციან მისმა თანამედროვე უნიჭიერესმა ქართველმა პოე-ტებმა, მაგრამ გალაკტიონი არც ერთი მოძრაობის მიმდევა-რი არ ხდება — ის არც ფუტურისტია, არც სიურრეალისტი, არც დადაისტი და არც სხვა. გალაკტიონი ახალ სამყაროს აღ-მოაჩინს:

აღმოვაჩინე მთელი სამყარო,
ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი.

საინტერესო ისაა, რომ ამ ახლად აღმოჩენილ მისეულ ხედ-ვაზე გალაკტიონი თავად ააგებს ახალ პოეტიკას — ახალ ლე-ქსს და იმ ყველაფრის საპირისპიროდ, რაზეც ახლა გესაუბ-რეთ, პოეტი გვთავაზობს საოცრად ჰარმონიულ სამყაროს, რომელიც ეფუძნება ამაღლებას, ზნეობას, რწმენას, მშვენი-ერებასა და აუცილებლად მშვიდობას:

მშვიდობის გზა
რომ ოდესმე მოკვდეს,
არა, ეს არ
შეიძლება მოხდეს.

სანამ გადავალთ გალაკტიონის შემოქმედებაზე, უპირვე-ლეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ გალაკტიონი არ არის ის ქართველი პოეტი, რომელსაც თავისი შემოქმედებით მხო-ლოდ საქართველოში სურს დარჩენა. საყურადღებო ისაა, რომ დიდ გალაკტიონს სურს, ხმა მიაწვდინოს მსოფლიოს. გა-ვიხსენოთ მისი „პროლოგი 100 ლექსის“, სადაც პოეტი გვესა-უბრება იმაზე, რომ მოვიდა ახალი დრო და მეფეები მოშორ-დნენ ტახტებს:

მეფეთა წყება გაპქრა, ვით ლანდი,
მოშორდნენ ტახტებს: ვილპელმი, კარლოს,
ნიკოლოზი და ფერდინანდი.

თუმცა, იმასაც დასძენს, ამაზე არ წუხს მარტიროლოგიო (ვინც წმინდანთა და წამებულთა ცხოვრებას სწავლობს). ლექსის მიხედვით მარტიროლოგი წუხს თურმე იმაზე, რომ

იმ საშინელ წელს — პოეტი-მეფე —
გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი,
ჰანგების მეფე — დიდი სენ-სანსი
და დირიჟორი ნიკიში მძლავრი...

მოგეხსენებათ, რომ ალექსანდრ ბლოკი რუსი პოეტია, კა-მილ სენ-სანსი — ფრანგი მუსიკოსი, ხოლო არტურ ნიკიში — უნგრული წარმოშობის, მაგრამ მთელს მსოფლიოში აღიარებული დირიჟორი. უდავოა, რომ ამ ლექსით გალაკტიონი მიმოხილავს არა თავის ქვეყანას, არამედ — მსოფლიოს 1921-1922 წლებში. ლექსს გალაკტიონი ასე დაასრულებს:

ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი —
მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი,
რომ გამომევლო ჯერარსმენილი
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა
და მომეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!

რომელი ქვეყანა იგულისხმა აქ გალაკტიონმა? უდავოა, მთელი ქვეყნიერება. ეს ის ქვეყნიერებაა, საიდანაც წავიდნენ ბლოკი, სენ-სანსი და ნიკიში. მსოფლიოს გადარჩენა კი მას საქართველოდან სურს და, საკუთრივ, იმ სიმღერით და იმ ლექსით, რომელიც მისი ავტორობით იქმნებოდა მის სამშობლოში.

გავიხსენოთ პირველი სტრიქონები მისი ერთ-ერთი ცნობილი ლექსიდან:

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე — ამას გევედრები.

ზოგჯერ გულუბრყვილო მკითხველს, და ამის მოწმე თავად ვყოფილვარ, ჰგონია, რომ პოეტი გრაალს ევედრება, ფრთხილი დაიფაროს მისი დიდი სიყვარული. არამც და არამც! გალაკტიონს არ გაუჭირდებოდა ეთქვა, გრაალს ვევედრებით. ქართულ ფილოლოგიაში კარგად არის გარკვეული, და ყველა თანხმდება კიდეც იმ აზრზე, რომ ლოცვის უამს სიწმინდეში მყოფი პოეტი სწორედ ამ სიწმინდით გრაალს ედრება (და არა ევედრება). მაგრამ, აქ გამიჩნდა კითხვა: ნუთუ გრაალს პოეტი მხოლოდ სიწმინდით ედრება? მოგეხსენებათ, გრაალი არის ქვა, ან ის ბარძიმი, საიდანაც ქრისტემ უკანასკნელი სასმელი შესვა. მას ეძებს კაცობრიობა და ისიც ვიცით, რომ ლეგენდის თანახმად, თუ გრაალის მძებნელი რაინდები ოდესმე იპოვნიან მას, გრაალი მათ აუცილებლად დიდი ბედნიერებითა და კეთილდღეობით დააჯილდოებს. ამდენად, ჩემი ღრმა რწმენით, გალაკტიონი მარტო ლოცვის სიწმინდეზე არ გვესაუბრება. პოეტი გრაალს იმიტომ ედრება, რომ ის მასავით მოსაძებნია. ხოლო თუ ვიპოვით, ის აუცილებლად ბედნიერებით დაგვაჯილდოებს, საკუთრივ, იმ ბედნიერებით, რომელიც მის ჰარმონიულ სამყაროშია მოქცეული, და მას დანახვა და პოვნა ჭირდება. აი, რისი თქმა უნდოდა გალაკტიონს ქვეყნიერებისთვის, რომელიც, ფაქტობრივად, მას არ იცნობდა. აი, რატომ იყო მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი მისი პოეზიის უცხოურ ენებზე თარგმნა.

როგორც ქართველ მკითხველს მოეხსენება, გალაკტიონისადმი მიძღვნილი პირველი კვლევა წიგნის სახით 2003 წელს გამოვეცი სათაურით „გალაკტიონის ენიგმები“. ეს მონოგრაფია მიეძღვნა გალაკტიონის უჩვეულო შესიტყვებების, ანუ გამოცანების (ენიგმების) გახსნასა და ანალიზს. იმავე მონოგრაფიაში ორიოდე ლექსი ჩემს ინგლისურ თარგმანშიც წარმოვადგინე. არ დაგიფარავთ, რომ არა ინგლისურ პოეზიაზე და ბაირონზე მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, მისი კვლევა და ქართულად თარგმნა, ინგლისურ ენას, ალბათ, ასე სიღრმისეულად ვერ აღვიქვამდი. გალაკტიონის კვლევამ და თავად ლექსის განცდამ კი მოიტანა მისი ინგლისურად თარგმნის სურვილი, რასაც მოჰყვა 2005 წელს ორენოვანი კრე-

ბულის გამოცემა ჩემს თარგმანში. წიგნი გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ვახტანგ რურუას დახვეწილი დიზაინით. ამ გამოცემის მცირე ტირაჟი თავად ჩავიტანე ბრიტანეთში და „Waterstone“-ის წიგნის მაღაზიათა ცნობილ ქსელს ჩავაბარე. წიგნი გაიყიდა და ამ გზით ის ხელში ჩაუვარდა ერთ-ერთ ინგლისელ ლორდს, პოეტსა და დრამატურგს, დომინიკ მერევორსს, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გალაკტიონის პოპულარიზაციას დიდ ბრიტანეთში.

მინდა ძალიან მოკლედ გითხრათ, რომ გასულ წელს, 2017 წლის 16 ნოემბერს საქართველოს საელჩოსა და ბრიტანეთის აზის ინსტიტუტის თანამშრომლობით ლონდონის შუაგულში გაიმართა გალაკტიონის 125 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელზეც ლექცია მიუზღვენი მას. იმავე დღისთვის ლონდონში დაისტამბა გალაკტიონის გაზრდილი ორენოვანი კრებული ჩემეულ თარგმანში, ჩემივე ვრცელი შესავლით. ღონისძიებას გამორჩეული საზოგადოება ესწრებოდა: ინგლისელი მწერლები, პოეტები, პროფესორები, ლორდები და პოლიტიკოსები. მოგეხსენებათ, იმ დიდი ცოდნის გამო, რომელსაც გალაკტიონი ბაირონის ირგვლივ ფლობდა და იმ გავლენის გამო, რაც მის სტრიქონებში ამოკითხება, ქართველმა მყითხველმა მას ქართველი ბაირონი უწოდა. ბაირონის საერთაშორისო საზოგადოება გულგრილი არ დარჩენილა ამ ფაქტისადმი, როდესაც ჩემს გამოსვლებსა და შრომებში ამის შესახებ ვაცნობე. უცხოელი ბაირონოლოგები და ბაირონის შთამომავლები 2014 წელს ეწვივნენ საქართველოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაირონისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში. ისინი ბრიტანეთში გალაკტიონისადმი მიძღვნილ საღამოებს არ აცდენენ. ბრიტანეთმა გალაკტიონი ჩემეულ თარგმანში პირველად ჯერ კიდევ 2011 წელს გამოსცა, ხოლო ინგლისელმა ლორდმა და მისმა თანამოაზრებმა იმავე წლის 23 ნოემბერს გალაკტიონის 120 წლის იუბილე დიდებულ სასახლეში ქართული მუსიკისა და ქართულ კოსტიუმებში გამოწყობილი მოცეკვავეების ფონზე აღნიშნეს. მე მაშინაც ვრცელი ლექციით წარვსდექი აუდიტორიის წინაშე. საღამოს უძღვებოდა

დიდი ბრიტანეთის პირველი ელჩი საქართველოში, ბატონი სტივენ ნეში.

2012 წელს გალაკტიონის შემოქმედებას კიდევ ერთი მოზრდილი მონოგრაფია მივუძლვენი სახელწოდებით „გალაკტიონის მერი, პროტოტიპის ძიებაში“. გამომდინარე იქმდან, რომ გალაკტიონმა ლექსი „მერი“ 1915 წელს პირველად ლათინური სათაურით გამოაქვეყნა, მეც ის წიგნის სახელდებაში გავიტანე. 2015 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი საღამო გაიმართა, რომელიც ჩვენ „მერის“ შექმნის 100 წლისთავს მივუძლვენით. ალბათ, გვმართებს ვთქვათ, თუ რატომ დაასათაურა გალაკტიონმა ლექსი ლათინურად: ამით პოეტმა მიანიშნა იმ დიდ სამყაროსა და მაღალ პოზიაზე, რომლის გავლენასაც თავად განიცდიდა და რომელიც მოდიოდა ბაირონის ტრფიალიდან მერისადმი, რომელმაც რუსეთში ჩამოაღწია და აღიბეჭდა ალექსანდრ პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, ალექსანდრ ბლოკის და ანდრეი ბელის სტრიქონებში. ამ ლიტერატურული მოდის კვალდაკვალ გალაკტიონი ქმნის მერის ახალ ლიტერატურულ სახეს. ამიტომაც თავის ჩანაწერებში გვეუბნება, რომ საქართველოში მერი, როგორც ლექსის ობიექტი, პირველად მე შემოვიტანეო.

ნუტონმა ბრძანა: „მე შორს იმიტომ ვიყურები, რომ გენიოსებზე ვდგავარო“. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში გალაკტიონიც გენიოსებზე დადგა და მოგვცა ახალი ლიტერატურული სახის განვითარება, რომელიც, სხვათაგან განსხვავებით, ღვთისმშობლის კატეგორიაში აიყვანა:

აქ მრავალია ცისფერი ფერი!
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,
როგორც ქალწულის სახელი — მერი,
არის ცისფერი და მწუხარება.

გალაკტიონი მისივე შექმნილი ქალის ლიტერატურულ სახეს ღვთისმშობელს ადარებს. მარიამ ღვთისმშობელი ლათინურად ხომ იგივე მერია. ამავდროულად ის გადასძახებს მერის იმ ლიტერატურულ სახეს, რომელიც ბაირონიდან მომდინარეობს.

ქრისტიანულ ფილოსოფიაში ღვთისმშობელს ხშირად ვარდით გამოსახავენ. როდესაც გალაკტიონთან ვარდი გვხვდება, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის შეიძლება ღვთისმშობელს აღნიშნავდეს:

აქ მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით,
ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული...
ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული.

როდესაც ლექსი „მთაწმინდის მთვარე“ თარგმნეს რუსულად, ფრანგულად, იტალიურად თუ ინგლისურად, შესიტყვება — „ვარდით და გვირილით“ — მთარგმნელებმა არ შეინარჩუნეს. ამ თარგმანებში ზოგან ვარდი არის, მაგრამ გვირილა არსად ჩანს. დავასახელებ რუსულ ვარიანტს, რომელიც მაღალი პოეტურობითაც აღინიშნება: „И увенчена могила альми цветами“. რატომ დაიკარგა ეს ღირებული პოეტური შესიტყვება? სად გაქრა ვარდი? სად გაქრა გვირილა, რომელიც ქრისტიანულ ფილოსოფიაში ძირითადად XV საუკუნიდან შემოსულა და მხატვრობაში სიმბოლურად ყრმა ქრისტეს გამოსახავს? ბუნების ფაქიზ სურათთან ერთად — „აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით“ — გალაკტიონმა ღვთისმშობელი ყრმა ქრისტესთან ერთად გამოგვისახა. გალაკტიონისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც ერთ სიტყვიერ გამოსახულებაში სხვადასხვა შინაარსობრივ ფენებს მოაქცევს. ასე ამოდიან და ამოდიან მისი ლექსიდან ინტეგრალები:

როცა უბრალო სიდიდეთა
რჩება რკალები,
უმაღლესი გზა წინ მეშლება:
ინტეგრალები.

მავანი და მავანი იკითხავს: რატომ აზვიადებთ? იქნებ პოეტის უბრალოდ ბუნების სურათი უნდოდა ეჩვენებინა და თქვა — ვარდი და გვირილაო? ამ შემთხვევაში, კიდევ ერთ ლექსს

შეგახსენებთ, რომელიც ხშირად ცნობილ სიმღერადაც ჩაგვესმის:

ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი
და ნისლს მთებისას გაიფენს აფრად,
ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი
აშრიალდება უშორეს ზღაპრად.

ზღაპარი იგი მათრობს და მხიბლავს
ძველი ღვინის სმით, უღონოდ, მძაფრად,
სადღაც დაკარგულ ვარდს და გვირილებს
მოგონებებში ვიჭერ თანაბრად.

დააკვირდით ამ ლექსა: ისევ ვარდი და გვირილა, ოღონდ
დაკარგული! რას ამბობს ამით პოეტი? ამით პოეტი ამბობს,
რომ დაიკარგა რწმენა ღვთისმშობლისა და იქსოსი. მან იცის,
რომ რწმენა დაიკარგა არა მარტო ჩვენთან, არამედ ევროპა-
ში, მსოფლიოში... ამიტომაც სხვა ლექსში იტყვის, მერის ვე-
ძებდი და ვერსად ვპოვეო, ვერც ბადენ-ბადენში, ვერც ნიცაში
და ვერც ლონდონშიო. გალაკტიონი ევროპულ სამყაროშიც
ღვთისმშობელს ეძებს და ვერ პოულობს. აქაც და იქაც გა-
ლაკტიონი დაკარგულ ვარდს და გვირილას მისტირის. ფრიად
საყურადღებოა, რომ ამ ლექსში ვერხვის ფოთოლთა შრიალი
ჩაგვესმის. შეგახსენებთ, რომ ვერხვის ფოთოლთა შრიალი
სხვაგანაც ისმის, საკუთრივ იქ, სადაც მერი და ღვთისმშობე-
ლია:

და შრიალებდა ტოტი ვერხვისა,
რაზე — ვინ იცის! ვინ იცის, მერი!
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა —
ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი.

მე დავინტერესდი ამ დეტალით. ვგრძნობდი, რომ ეს შემთ-
ხვევით არ იქნებოდა და ოქსფორდის სიმბოლოთა ლექსიკონ-
ში ვერხვმა ჩემთვის უცნობი ლეგენდა მომაწოდა. ბედნიერი

ვარ, რომ ახლა ამას ჩემს მსმენელსა და მკითხველს ვუზიარებ: როდესაც ქრისტე ჯვარს აცვეს, ბუნებაში ყველა ხემ, ნიშნად მწუხარებისა, თავი დახარა. გაკადნიერებულა მხოლოდ ვერხვი და თავი არ დაუხრია. ზენა გაუნაწყენდა ვერხვს და მარადიული თრთოლვით დასაჯა. იმ დღიდან მოყოლებული ვერხვი თრთის ბუნებაში. ასევე თრთის და შრიალებს ვერხვი გალაკტიონის შემოქმედებაში.

კვლევას კიდევ ერთი საოცარი ცნობა დაემთხვა: ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია კირიონ II-ის მიმოწერა, საქართველოს იმ პატრიარქისა, რომელმაც ჩვენი დედა უნივერსიტეტი აკურთხა. სანამ ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი პატრიარქად მოგვევლინებოდა, ათიოდე წლით ადრე, გადასახლებაში იმყოფებოდა კოვნოში, ბალტისპირეთში. იმ დროს მას მეგობრებთან მიმოწერა ჰქონდა. ამ მეგობრებს შორის იყო ვაჟა-ფშაველაც. ეპისკოპოსი წერს მეგობრებს, რომ ის იქ ბუნებას აკვირდება და ერთი რამ ვერაუხსნია: ქარი რომ ჩადგება და ბუნება გაირინდება, ერთი ხე ყველგან და ყოველთვის თრთის და ეს არის ვერხვიო. ხომ არ იცით, რატომ თრთის ვერხვი და არის თუ არა ხალხში რაიმე თქმულება ან ლეგენდა, რომელიც ამას ახსნისო? — კითხულობს ის. სამწუხაროდ, მისმა მეგობრებმა ეს არ იცოდნენ. როგორც ჩანს, ეს არ იცოდა ბუნების ისეთმა დიდმა მესაიდუმლემ, როგორიც ვაჟა-ფშაველაა. ყოველ შემთხვევაში, პასუხი ვაჟასგან კირიონ II-ს არ მიუღია. საბედნიეროდ, ეს სცოდნია გალაკტიონს და ვერხვის ხე ააშრიალა კიდეც თავის ლექსებში.

როგორ უნდა მივაწოდოთ გალაკტიონი უცხოელს? უპირველს ყოვლისა, გალაკტიონი ჯერ მშობლიურ ენაზე უნდა შეიმეცნო და შემდეგ მისი თარგმანის გზები მონახო. თარგმანის ხელოვნება აუცილებლად ორ ძირითად მომენტს მოიცავს: პირველი ნიშნავს მის სწორ ახსნასა და ინტერპრეტაციას, რის საფუძველზე უკვე იქმნება ლექსი სხვა ენაზე. ხშირად მთარგმნელები პწყარედსაც მიმართავენ და მკითხველი ამითაც კმაყოფილდება. რასაკვირველია, ყველას, ვინც შეძლებს ერთი ენიდან მეორეზე გადაიტანოს პოეზია, გულწ-

რფელ მადლობას ვუხდით შრომისათვის, მაგრამ ლექსი ისე-თი მოვლენაა, რომელიც სწორედ თავისი ფორმისა და დიდი შინაარსობრივი ტევადობის გამო, ყველა სხვა ტექსტისაგან განსხვავდება. ამიტომაც, უკეთეს შემთხვევაში, ლექსი ისევ ლექსით უნდა ითარგმნოს, რათა ნაწარმოებს პოეტურობის ეფექტი არ დავუკარგოთ.

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“, — ბრძანა რუსთველმა. ძალიან ხშირად ამ აფორიზმის მხოლოდ პირველ ნაწილს იყენებენ მეტყველებაში და არ აკავშირებენ მეორეს. ხშირად შეუძახებენ ერთიმეორეს, მოკლედ ვისაუბროთ, გრძელი სიტყვა არ გვინდაო და რუსთველის ამ ცნობილ აფორიზმს მოიშველიერენ. დავიჯეროთ, მართლაც ამის თქმა უნდოდა რუსთველს? „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში რუსთველი ხომ თავად არის სამი ლექსის თეორიის ავტორი, სადაც გრძელ ლექსს განადიდებს. შევუფარდოთ ეს ნაწილი მეორე ნაწილს და კარგად დავფიქრდეთ: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, / შაირია ამად კარგი“. შაირი ლექსს ნიშნავს, რომელიც დიდ სათქმელს და დიდ შინაარსს დიდ ემოციასთან ერთად სხარტად და მოკლედ გადმოგცემს. რუსთველისა არ იყოს, სწორედ ამითია ლექსი კარგი და ძლიერი: „შაირია ამად კარგი“. ლექსი თავისი ორიოდე სტრიქონით იწვევს ისეთ ემოციას, რომელსაც პროზაულ ნაწარმოებში გვერდებიც არ ეყოფოდა. ამდენად, მიმაჩნია, რომ პოეტურად შექმნილ ტექსტს პოეტური ტექსტითვე უნდა უპასუხო თარგმანში. დღეს ჩვენ ნამდვილად მოგვეთხოვება, თანდათანობით გავიტანოთ მსოფლიოში გალაკტიონი და ქართული პოეზია, რადგან ამაზე დიდი საგანძური, ჩემი აზრით, არც გვაბადია.

აი, რას ამბობს ბრაზილიელი თარგმანმცოდნე პაულო რონაი თარგმანის ფენომენზე: ხელოვნება ყოველთვის იღვნის რაღაცა მიუღწეველისკენ — მხატვარი გამოუხატავს გამოსატავს, პოეტი გამოუთქმელს გადმოსცემს, მთარგმნელმა უთარგმნელი უნდა თარგმნოსო. გალაკტიონის შემთხვევაში ურთულესი სათარგმნელია არა მარტო მისი სიმბოლოები, არა მარტო გვირილა, ვარდი და ვერხვის ფოთოლთა შრიალი, არამედ ყველა ის უჩვეულო შესიტყვება, რომელიც ენიგ-

მის სახით გვევლინება, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად მისი ლექსის დიდ მუსიკაზე.

სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს,
ღვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით,
და მერე უცნობ პიანინოებს
ატრიალებდა ტანკვის ლირიკით.

ავილოთ ამ ლექსიდან პირველი პწკარი — „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“ — როგორ უნდა გავიგოთ ეს პწკარი? აქ, პირადად მე თანამედროვე ლინგვისტიკა, საკუთრივ, სემასიოლოგია და სემური ანალიზი მომეხმარა. სიტყვის მნიშვნელობა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისამდე ერთ უშლელ და მთლიან ერთობად იყო მიჩნეული, ნაწილაკებად დაშალეს და წარმოიდგინეს, როგორც შინაარსის პატარ-პატარა ელემენტები, რომელთაც სხვადასხვა ხვედრითი წონა გააჩინიათ და კონტექსტში მოძრაობენ კიდეც. ამ ნაწილაკებს მიშელ ბრეალმა XIX საუკუნის მიწურულს სემები უწოდა. აქედან მოდის თავად სემასიოლოგიის დარგიც. ეს ახალი ხედვა ლინგვისტიკაში უდრიდა იმას, რასაც ფიზიკაში ატომის დაშლა გულისხმობს. მაგალითად, ავილოთ „ცისფერი ღვინოები“. ვიცით, რომ ღვინო ყურძნის ნაჟურია, რომელსაც დააყენებ და მერე ის ალკოჰოლურ სასმელად გადაიქცევა. ღვინო არის ან მოყვითალო, ან მოწითალო ფერის, როგორც თავად ყურძნი. გალაკტიონი გვეუბნება, „სული ცისფერ ღვინოებს სტირისო“. როგორ გავიგოთ მაშინ ეს უჩვეულო შესიტყვება „ცისფერი ღვინოები“? თუ ღვინო ალკოჰოლური სასმელია, მაშინ ის ამაღლებულ განწყობასაც ინვევს. თრობის მდგომარეობაში ღვინო გაძლევს გულწრფელობისა და არამინიერების განცდას. განა ცისფერიც ასეთივე არ არის? ამაღლებული, არამინიერი, არაამქვეყნიური. აქ არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ალიტერაცია ძალიან დიდ პოეტურ როლს თამაშობს, საკუთრივ, „ს“ ბერის გამეორება ყოველ სიტყვაში: „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“, რაც აძლიერებს სულის ტირილის განცდას ცისფერი ღვინოებით.

აი, ასეთია ენიგმების გახსნის გზა და სემური ანალიზი, რომელიც, რასაკვირველია, გალაკტიონისთვის ისეთივე უცნობი იყო, როგორი უცნობიცაა დღეს ფართო მკითხველისათვის. მაგრამ პოეტები ენას ხომ ბევრად უფრო ღრმად განიცდიან, ვიდრე მეცნიერები. პოეტი თავისი ხედვითა და განცდით წინ უსწრებს დროს, ხოლო მეცნიერი სწავლობს და აანალიზებს ამ ყოველივეს. თუმც, როგორც კვლევა გვიჩვენებს, მეცნიერული ანალიზი აუცილებელია მათი წვდომისა და გახსნისათვის. გალაკტიონის შემთხვევაში სწორედ მეცნიერულმა ანალიზმა შეგვაძლებინა ფარდა აგვეხადა გალაკტიონის სტრიქონებში მოქცეული არაერთი საიდუმლოსათვის.

გალაკტიონს, როგორც ყველა დიდ პოეტს, კარგად მოეხსენებოდა ის ფარული შინაარსობრივი მოძრაობა, რომელსაც სიტყვა განიცდის. ამიტომაც სიტყვის წიაღიდან მას ზემოთ ამოაქვს ის მშვენიერება, რომელიც სიტყვის შინაარსის ფსკერზეა დავანებული. ამ მოძრაობაში აუცილებლად ისმის აზრის მუსიკა, რომლითაც გალაკტიონი ასე გამორჩეულია. ამავე დროს, როდესაც იხსნება ასეთი შინაარსი, იქ აუცილებლად შენარჩუნებულია გალაკტიონის მიერ სიტყვიდან ამოზიდული ხატები, რომლებიც ქმნიან კიდეც ტექსტის ხატოვანებას. ეს ხატები და სიმბოლოები თარგმანში ჩვენ ცოცხლად უნდა შევინარჩუნოთ, რათა შევინარჩუნოთ გალაკტიონის ტექსტის თვითმყოფადობა.

მიხეილ კვესელავა გამორჩეულია თავისი ღვაწლით. გალაკტიონოლოგიაში მან 600 გვერდიანი მონოგრაფია — „პოეტური ინტეგრალები“ — გალაკტიონის შემოქმედების კვლევას მიუძღვნა. შესაძლოა, გამომდინარე იქიდან, რომ მიხეილ კვესელავა არ იყო ლინგვისტი და არ ფლობდა იმ დროისათვის სემური ანალიზის უკვე პოპულარულ მეთოდს, მან უჩვეულო შესიტყვებებთან კავშირში კვლევა გააჩირა და განაცხადა, რომ მათი ახსნა შეუძლებელი იყო. მიხეილ კვესელავა ამბობდა, ოიდიპოსიც რომ იყო, ამ პოეტური სფინქსის საიდუმლოებას ვერ გახსნი და ვერ იტყვი, თუ რას ნიშნავს „ოცნება ნახაზი საგანთა უარით“, „ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი“ და ა.შ. იმასაც ამბობდა, მთელი მსოფლიოს მთარგმნელები რომ

მიესიონ ამ ორად ორ სტრიქონს, მაინც ვერ თარგმნიანო. იქ-ნებ ამას იმიტომაც ბრძანებდა, რომ XX საუკუნეში გალაკტიონი სათანადოდ არ ითარგმნა. მიხეილ კვესელავა ხომ თავად უწყობდა ხელს გალაკტიონის და არა მხოლოდ გალაკტიონის თარგმნას. გავიხსენებ, როგორ მოიწვიეს საქართველოში გალაკტიონის სათარგმნელად ალექსანდრ მეჟიროვი, რომელმაც თარგმანის ნაცვლად მაშინ ლექსი დაგვიტოვა:

И вновь из голубого дыма
Встает поэзия, —
Она
Вовеки непереводима —
Родному языку верна.

ჩვენ მისხალ-მისხალ უნდა ამოვნიოთ ზემოთ და ავხსნათ ის, რაც, როგორც იდუმალება, გენიოსი გალაკტიონის შემოქმედებაშია მოქაეული. ქართველი მკითხველი, მაშინაც და ახლაც, გალაკტიონის სიდიადეს გუმანით გრძნობდა. ამის საშუალებას დიდი პოეტური წარსულიც გვაძლევს. შეიძლება ვერ ახსნა პოეტი, მით უმეტეს, მეცნიერულად, მაგრამ ხომ განიცდი მას. გალაკტიონი ქართულ ცნობიერებაში გაუცნობიერებლად შემოდიოდა.

არსებობს არაერთი ლექსი, რომელიც დღემდე აუხსნელი იყო: მაგალითად, ლექსი „საღამო“, რომელიც არც ახსნილი ყოფილა და არც ნათარგმნი. ეს ლექსი დეკლამაციაშიც არ შემხვედრია. გალაკტიონს ამ სათაურით ორი ლექსი აქვს, მაგრამ მე გესაუბრებით 1927 წელს შექმნილზე, რომელიც ასე იწყება:

მთის გაგიჟებულ რუებს,
ლვით, ძენძით და ქვიშით,
გრიგალი დააყრუებს
მაცხოვრისადმი შიშით.

და დედოფალი ალვა,
ელვამ დაღუნა ცივმა;
ასე გავიდა გვალვა,
ასე მოვიდა წვიმა...

ეს ლექსი რომ ვიკვლიე, ნათელი შეიქმნა, რომ ის არის ჰიმნი ღვთისმშობლისადმი და ეძღვნება ათონის მთაზე ივერთა მონასტრის კარიბჭის ღვთისმშობლის ხატს. გთხოვთ, მოიძიოთ და წაიკითხოთ ეს ლექსი. ის ურთულესი სიმბოლოებითაა დატვირთული და მისი ანალიზი წარმოდგენილია ჩემს მონიგრაფიაში „გალაკტიონის მერი“. ის ჩემს ინგლისურ კრებულშიცაა შეტანილი.

ბოლოს, მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ვარდის კიდევ ერთ მნიშვნელობაზე, საკუთრივ იმაზე, რომელსაც გალაკტიონი თავად უვითარებს ამ სიტყვას: თუ ვარდი ბუნების გვირგვინია, გალაკტიონთან ის გონებისა და შემოქმედების გვირგვინია, ანუ შედევრი:

შემოდგომის ყვავილებს
დიდებასთან მივიტან,
ერთი შორი ოცნება
მახსოვს ძველ მოტივიდან.
ვარდები არ არიან,
მაგრამ რა მევარდება?
სულო, რა გემართება?
გულო, რა მოგივიდა?

რას ნიშნავს „ვარდები არ არიან“? ეს ლექსი პოეტმა 36 წლის ასაკში დაწერა და წუხდა იმაზე, რომ ახალგაზრდობაში ქმნიდა შედევრებს და შემდგომ ისინი შემოელია. ამ მნიშვნელობით ვარდს გალაკტიონი სხვაგანაც ხმარობს: „ომში მინახავს ცეცხლის ვარდები“, ან „ქალის თვალებში იშლება ვარდი“. ეს უკანასკნელი მაგალითი გახლავთ იმ ლექსიდან, რომელიც გალაკტიონმა დიდ ფრანგ მსახიობს, სარა ბერნარს მიუძლვნა. გალაკტიონს მიაჩნდა, რომ როდესაც მსახიობი როლს ასახიერებდა, შემოქმედებით შედევრზე მისი თვალები მეტყველებდნენ.

მაგრამ გალაკტიონისთვის ყველაზე დიდი შედევრი და შე-მოქმედება მაინც არის არა ის, რაც სცენაზე, ქალალდზე ან ტილოზე იქმნება, არამედ, ის, რასაც მისი სამშობლო და სა-ქართველო ჰქვია:

სადღაც რეკავს დაირა
და სიცილის წვეთება,
საქართველო! — აი, რა
არის შემოქმედება.

როგორც უკვე ვთქვით, 17 მარტი პოეტის გარდაცვალების დღეა. ათიოდე წლის წინ, მისი გარდაცვალების თარიღთან ახლოს, სტატიას ვწერდი მასზე. უნებლიერი ფიქრი მომეძალა იმაზე, თუ როგორ გაშალა გალაკტიონმა ფრთები, როცა ამქ-ვეყნიურ სამყაროს დაემშვიდობა...

ნება მიბოძეთ დაგემშვიდობოთ იმ ლექსით, რომელიც მა-შინ ამ განცდით შევასრულე, როგორც მიძლვნა გალაკტიო-ნისადმი:

ფრთები გაშალე, გალა, გაშალე!
ქროლვით მუზებიც ალარ დაინდო,
ვის დასტირიან, რაღას მოსთქვამენ?
შენ აქ იყავ და არვინ დაგინდო.

ცეცხლის მზით მარად გაცისკროვნდები,
შვიდგზის შვიდფერად რომ კვლავ აინთო,
ლურჯა ცხენების შავი ფლოქვებით
ეშმა გათელე და არ დაინდო!

გადმოაღვენთე მადლი ცისკრისას,
დედა-ღვთისმშობელს ლექსი უკმიე,
უეკლო ვარდი, როგორც თილისმა,
სილაუვარდეში მკერდზე უბნიე!

როგორ ევნე და როგორ ეწამე,
ჯვარს ეცვი! მაგრამ შველა არ იყო...
დანავარდობდა ქარი ლერწამზე,
ვინ განუგეძა... მერი სად იყო?!

ან „მესაფლავეს“ რისთვის სტიროდი,
მთაწმინდის მზე თუ ჩასისხლულიყო,
ან წრფელი გულით რისთვის მისნობდი,
თუ შენი ქნარი, ვისთვის რა იყო?

გაშალე ფრთები, გალა, გაშალე!
მგზნებარე ქროლვით რომ ცა გაიპოს,
ანგელოზები გამოაფხიზლე!
რომ საქართველო ისევ დაინდონ.

ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ პრობლემა საქართველოში



გიორგი
ოთხეხური,
ისტორიის
მეცნიერებათა
დოქტორი,
თსუ-ის
ასოცირებული
პროფესორი

დღევანდელი ჩვენი საუბრის თემა
იქნება ე.წ. სამხრეთ-ოსეთის პრობლემა
საქართველოში.

მოგეხსენებათ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოში დაარსდა 1922 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ და 1990 წლამდე იარსება. 1990 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ გააუქმა ოლქის სტატუსი. უფრო სწორად რომ ვთქვათ, სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკად — დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ არ სცნო ეს აქტი და სანინააღმდეგო აქტი გამოაქვეყნა — საერთოდ მოუხსნა სტატუსი ოლქს. ამას მოჰყვა კონფლიქტი, რომელიც შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ეს კონფლიქტი, საბოლოო ჯამში, მოგეხსენებათ, 2008 წლის აგვისტოს ომით დასრულდა და დღეს ამ მდგომარეობაში ვართ — არც ომია, არც მშვიდობა.

ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სახელმწიფოს ყველაზე მტკიცნეული და მთავარი

პრობლემა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღ-დგენაა.

ცხინვალის რეგიონი შიდა ქართლის შემადგენელი ნაწილია. ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის გარიურაჟზე, 80-იანი წლების ბოლოს, ამ ტერიტორიას დაუმკიდრდა სახელი „სამაჩაბლო“. სინამდვილეში სამაჩაბლო ყოფილი ოლქის მხოლოდ ნაწილი იყო. ამავე რეგიონში ასეთივე რანგის სათავადოები იყო ამირეჯიბების, ფავლენიშვილების, ფალავან-დიშვილების და სხვ. ამ ტერიტორიის 30%-ს მოიცავდა ქსნის საერისთავო — დიდებული სათავადო. ამიტომ, ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნება, რომ ვიხმაროთ, ცხინვალის რეგიონი ან ე.წ. „სამხრეთ-ოსეთი“.

შიდა ქართლი ქართველი ერის კონსოლიდაციის, ქართული სალიტერატურო ენის, ქართული სახელმწიფო ბრიობის ცენტრია. აქ უძველესი დროიდან ჩანს ადამიანის ცხოვრების კვალი, მიკვლეულია გვიანი პალეოლიტის, დაახლოებით პირველი ათასწლეულის შუა ხანების, ქართული ოქრომჭედლობის უბრნყინვალესი ნიმუშები, მაგ., საძეგურის განძი, რომელიც წმინდა ქართული შემოქმედებაა და ზოგიერთ ნივთს ანალოგი, ხშირ შემთხვევაში, არ მოეძებნება.

ოსების გამეზობლება ჩვენთან ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე იწყება. მანამდე ჩრდილოეთ კავკასიაში, მათ ადგილას სარმატები ცხოვრობდნენ. შიდა ქართლში, გარდა ამ ოთხი რაიონისა, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქები იქნა შეყვანილი: ცხინვალი, ჯავა, ზნაური და ახალგორი (ზნაურსაც, სხვათა შორის, უფრო მართებული იქნება, თუ ყორნის ვუწოდებთ, რადგან ზნაურ აიდაროვი გახლდათ ბოლშევიკი — ყაჩაღი, რომელიც გადმოდიოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან და არბევდა საქართველოს მოსახლეობას), შედის ასევე მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის და ხაშურის რაიონები. ჩრდილოეთი საზღვარი ე.წ. „სამხრეთ-ოსეთისა“ და ასევე საქართველოსი, მთლიანად, გახლავთ კავკასიონის ქედი.

ფარნავაზის დროიდან ვახტანგ გორგასლის მეფობის ჩათვლით, და შემდგომ ხანებშიც, ჩვენ გვაქვს საქართველოს სა-

ერისთავობად დაყოფის სისტემა. შიდა ქართლი ყოველთვის ცენტრალური საერისთავო იყო და სპასპეტი განაგებდა. მას ჩვენი წყაროები, როგორც ლეონტი მროველი, ასევე ჯუან-შერი, იხსენიებენ, როგორც ყველა ერისთავთა უფროსს, მეფის შემდეგ ის იყო პირველი პირი ქვეყანაში. ეს ტერიტორია ყოველთვის ერთიანი სამხედრო ადმინისტრაციული ერთეული იყო. შემდგომში, როდესაც არაბებმა ქართლი დაიკავეს, დაახლოებით იგივე მმართველობითი სისტემა დამყარდა. ცვლილებები დაიწყო მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე სამეფო-სამთავროები წარმოიშვა, თბილისის ამირას ხელისუფლება შეიზღუდა და გარკვეულ ფარგლებში მოექცა — თბილისითა და მისი შემოგარენით შემოისაზღვრა. ამავე დროს, საქართველოში ჩამოყალიბდა კახეთის საქორეპისკოპოსო (კახეთი ჰერეთსაც აერთიანებდა), ტაო-კლარჯეთის სამეფო, დასავლეთ საქართველოში აფხაზთა სამეფო... ერთადერთი რეგიონი საქართველოში, რომელიც უზენაესი ხელისუფალის გარეშე დარჩა, შიდა ქართლი იყო. შიდა ქართლის ერისთავებს არ უნდოდათ თავისი „დამოუკიდებლობის“ დათმობა. საქართველოს გაერთიანებისთვის მებრძოლი მეფე-მთავრები, პირველ რიგში, სწორედ შიდა ქართლისთვის იბრძოდნენ, რამეთუ მათი ხელისუფლება რეალური მხოლოდ შიდა ქართლის დაკავების შემდეგ გახდებოდა. ეს ბრძოლა, ძირითადად, დასავლურ ქართულ სახელმწიფოს, იგივე აფხაზთა სამეფოსა და ტაო-კლარჯეთის სამეფოს შორის (კახეთიც იყო ჩართული, რა თქმა უნდა) მიმდინარეობდა. X საუკუნიდან უპირატესობა მოიპოვა აფხაზთა სამეფომ. აფხაზთა მეფე კონსტანტინე გარკვეულ კომპრომისზეც წავიდა შიდა ქართლის ერისთავებთან და ქართლის ერისთავად ადგილობრივი დიდაზნაური დანიშნა. მერე, როდესაც გიორგი II გამეფდა, მან დანიშნა თავისი შვილი — კოსტანტი, რომელიც მოხსენიებულია ქარელის რაიონის სოფ. სამწვერისის ეკლესის წარწერაში. ხან აფხაზთა მეფე ახერხებდა, რომ შიდა ქართლი მის დანიშნულ ერისთავს ემართა, ხანაც ადგილობრივი ფეოდალები მძლავრობდნენ. ეს ადგილობრივი დიდაზნაურები, ძირითადად, იყვნენ ტბელები, თუმცა, იყო ერთ-ორი შემთხვევა.

ვევა, როდესაც ყანჩელთა საგვარეულოს წარმომადგენლებიც მართავდნენ შიდა ქართლს. დიდი და ძლიერი საფეოდალო იყო ტბელების საფეოდალო. ნიქოზის, ერედვის, დოდოთის, ტბეთის ეკლესიები მათი საგვარეულო მონასტრები იყო. დიდაზნაურთა საგვარეულო მონასტრებზე, ეკლესიებზე და სხვადასხვა ნაგებობებზე მათი მფლობელობის დამადასტურებელი უამრავი ქართული წარწერაა შემორჩენილი. ამ წარწერების, ნარატიული წყაროების და დღკუმენტური მასალის მიხედვით, შეიძლება თვალი გავადევნოთ მათ გენიალოგიას და სამამულე მფლობელობას.

მოგეხსენებათ, ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის პირველი მეფე ბაგრატ III (975 წელს დავით კურაპალატმა გამოაცხადა მეფედ) 978 წ.-ში დასავლეთ საქართველოში გადავიდა და მიიღო აფხაზთა მეფის ტიტული, მაგრამ მთელს საქართველოში მისი ხელმწიფობა მას შემდეგ გახდა რეალური, რაც მან შიდა ქართლი დაიკავა. შიდა ქართლის დიდაზნაურები არ აპირებდნენ უბრძოლველად თავისი დამოუკიდებლობის დათმობას, ქავთარ ტბელი ჩაუდგა მათ სათავეში და 980 წ. მოღრისთან გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართეს ბაგრატ III-ისა და დავით კურაპალატის შეერთებულ მხედრობას. ამ ბრძოლაში ბაგრატმა გაიმარჯვა და ამის შემდეგ, როგორც გითხარით, მისი ხელისუფლება რეალური გახდა.

XI-XIV საუკუნეებში შიდა ქართლი მთლიანად და კონკრეტულად — ცხინვალის რეგიონი ქართლის საერისთავოში შედიოდა. ქართლის ერისთავებად ყოველთვის დიდგვაროვანი საგვარეულოს წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. ესენი იყვნენ (XI ს-ში) ყანჩაველები და აბაზასძეები (აბაზასძეები, სხვათა შორის, ტბელების შთამომავლები არიან — ქავთარ ტბელის გვერდითი შტო). აბაზა ტბელის შვილი იყო ქართლის ერისთავი იოანე აბაზას ძე, რომელიც თავის ოთხ ძმასთან ერთად მოხსენიებულია „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრებაში“: „კაცნი ძლიერნი და ახოვანნი, სიმდიდრესა ზედა მკლავისა თვისისასა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აზღვავებულნი“. ეს ფეოდალური სახლები ბაგრატ IV-მ დაამხო. გიორგი III-ს მეფობის დროიდან მოყოლებული, დემნა-ორ-

ბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ (1178 წ.), ვიდრე XIV ს-ის 30-იან წლებაშე, დაახლოებით საუკუნენახევრის განმავლობაში, ქართლის ერისთავობა სურამელთა საგვარეულოს ხელშია. ქართლის ერისთავი ამადა სურამელი ხელმძღვანელობდა XIII-XIV სს-ის მიჯნაზე შიდა ქართლში შეჭრილი ოსების წინააღმდეგ ბრძოლას. დავით VII-ს დროს, მონღოლთა მხარდაჭერით, უინვალსა და დმანისში ჩასახლებულმა ოსებმა, ახლა, ისევ მონღოლთა მხარდაჭერით, ქ. გორიც დაიკავეს. ოციოდე წლის შემდეგ „მეფეთა შორის ბრწყინვალემან“, გიორგი V-მ „განასხნა და აღფხურნა“ ოსნი საქართველოდან. შემდეგ ჩრდ. კავკასიაც დალაშქრა, დაიკავა კავკასიონის გადასასვლელები და „დაამშვიდა ქართლი ოსთაგან“.

ქართლის ერისთავები გარკვეულ პერიოდში ბაღვაშები და ორბელებიც იყვნენ. XV საუკუნეში ქართლის საერისთავო კიდევ არსებობდა, მაგრამ იმდენად დაკნინებული იყო, რომ XIV საუკუნის მეორე ნახევარიდან მისი არც ერთი ერისთავი აღარ იხსენიება წყაროებში.

ეს საქართველოს ტერიტორიაზე სათავადოთა სისტემის ჩამოყალიბებამაც განაპირობა, რაც წინ უსწრებდა საქართველოს დაშლას სამეფო-სამთავროებად. შიდა ქართლი, ბუნებრივია, ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. ეს იყო ქვეყნის ცენტრალური სამხედრო-ადმინისტრაციული რეგიონი. ამ რეგიონის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ისიც, რომ ქართლის ექვსი დიდებული სათავადოდან ოთხს უშუალოდ შიდა ქართლის ტერიტორიაზე ჰქონდა თავისი სამფლობელო (მეხუთე — არაგვის ერისთავები, ახალგორისა რაიონის გარკვეულ ტერიტორიას ფლობდნენ). აქ ჩამოყალიბდა ასევე ჯავახიშვილების, ფალავანდიშვილების, ამირეჯიბების, მაჩაბლების და სხვა საშუალო და მცირე სათავადოები.

თავადები, რა თქმა უნდა, მეფეს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ იმუნიტეტით სარგებლობდნენ. ისინი იყვნენ სათავადოს უმაღლესი ხელისუფალნი. ქსნის ერისთავები აქტიურ პოლიტიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმშენებლობით მოღვაწეობას ეწეოდნენ. შექმნეს უძლიერესი სამწიგ-

ნობრო კერები ლარგვისსა და ყანჩაეთში მდიდარი ბიბლიოთეკებით. ოთხჯერ იქნა აღდგენილი ქსნის ერისთავთა რეზიდენცია და საძვალე VI-XVII სს-ში, ლარგვისის მონასტერი. ამჟამად აღმართული ტაძარი დავით ერისთავის მიერ იქნა აგებული 1759 წელს. ლარგვისის მონასტერში დაიწერა ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთა“ — ავგაროზ და გრიგოლ ბანდაისძეთა მიერ, XIV-XV სს-ის მიჯნაზე.

XVII საუკუნიდან ქსნის ერისთავების რეზიდენცია გახდა ახალგორი, მათი საგვარეულო საძვალე — იკორთის მონასტერი, აგებული გიორგი III-ს მეფობის პერიოდში, 1172 წელს. მარი ბროსემ წაიკითხა თავის დროზე მისი წარწერები. სამწუხაროდ, დღეს უკვე ისინი აღარ იკითხება.

ყველას მოგხესენებათ, ალბათ, 1660 წლის კახეთის აჯანყება და ამ აჯანყების გმირები — შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, რომლებიც თვითონ გამოცხადდნენ ირანის შაჰის კარზე, რომ მისი რისხვა ქვეყნისთვის აეცილებინათ. ისინი სიკვდილით დასაჯეს. ისინი ქართველებმა გადმოასვენეს და სწორედ აქ, იკორთაში დაკრძალეს. ტაძარში XVIII-XIX საუკუნეების ქსნის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენლების ეპიტაფიებია.

სამარაბლო — მაჩაბლები ცხინვალშიც ფლობდნენ მამულებს, ისინი წარმოშობით აჩაბეთიდან არიან. ესეც ამ რევიონში არსებული სოფელია. მათი საგვარეულო საძვალე თირის მონასტერი იყო. მაჩაბლები XIII საუკუნიდან იხსენიებიან ქართულ წერილობით წყაროებში და, როგორც ჩანს, საკმაოდ დაწინაურებული პოზიცია ეკავათ.

თირის მონასტერს ერთი პერიოდი თავხელიძეები განაგებდნენ. ცნობილი პიროვნება იყო ალექსანდრე დიდის მოლარეთუხუცესი ხელა თავხელიძე, რომელიც თირის მონასტრის წარწერაში თავისი ოჯახის წევრებსაც ჩამოთვლის — ძმებს, შვილებს, ძმის შვილებს. მათ შორის დასახელებულია მაჩაბელი, რაც მაჩაბელთა და თავხელიძეთა გარკვეულ კაგშირს მიუთითებს. შეიძლება სულაც ნათესაური კავშირის შედეგად შევიდა მაჩაბელი, საკუთარი სახელის ფორმით, თავხელიძეებში.

მოგვიანებით მაჩაბლების საძვალე გახდა საბა-წმინდა. მარი ბროსექტ ნახა თავის დროზე მათი საფლავის ქვები ეპიტაფი-ებით. ეკლესიის იატაკი ეხლა მთის ფერდობიდან ჩამონილი მიწითაა დაფარული და საფლავის ქვები აღარ იხილვება.

ერთ საინტერესო ფაქტზე მინდა მოგითხროთ. საქმე ეხება ფალავანდიშვილთა სათავადოს ჩამოყალიბებას, რაც, სათავადოთა წარმოქმნის საერთო წესიდან, გამონაკლისის სახით, სასისხლო დავის შედეგად მოხდა. რამინ ამირეჯიბის ძმამ მოკლა სიაუშ ფალავანდიშვილის მამა. ალექსანდრე იმერთა მეფის მიერ 1488 წელს ჩატარებული სასამართლოს განჩინებით, ამირეჯიბებმა სისხლის ფასში გადასცეს ფალავანდიშვილებს ყორნის რაიონის სოფლები — ოქონა, გომართა, ოჟორა და სხვ. ახლადშექმნილ სენიორიაში ფალავანდიშვილებმა თავისი მფლობელობის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტები შექმნეს ეკლესია-მონასტრების, ეპიგრაფიკული ძეგლების, ფრესკული მხატვრობის სახით. გომართას ეკლესიაში, რომელიც მე დაახლოებით 30 წლის წინ მოვინაბულე, 1488 წლის სასისხლო დავის მონაწილე ფალავანდიშვილთა პორტრეტული გამოსახულებებია წარმოდგენილი. აქ მხოლოდ სამი მათგანის სახელი იყითხებოდა ქართული ასომთავრული დამწერლობით შესრულებული: სიაოშ, ბევროზ, ზვიად. ექვსი პირის განმარტებითი წარწერები გადაშლილი იყო. დანგრეული დაგვხვდა სოფ. ოჟორის ცხრაკარას ეკლესია. ორნამენტებით დამშვენებულ ტინქანის ქვაზე (ძირს ეგდო) ამოკვეთილ ასომთავრულ წარწერაში იგივე ფალავანდიშვილები — სიაოშ ალექსანდრეს ძე, მისი მეუღლე თინათინი, ძმები ზვიად და ფალავანდი არიან დასახელებულნი. ისინი „ამა უდაბნოსა პატრონნად“ იხსენიებიან. შემდგომ ხანებში ფალავანდიშვილებმა კიდევ უფრო გააფართოვეს თავიანთი სათავადო და სამივე (აღმ., დას., შუა) ფრონეს ხეობა დაიკავეს.

ქართული წერილობითი წყაროები ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე არსებულ სამეფო თუ თავადთა ყმა-აზნაურების — კორინთელების, უურულების, ლაზნელების და სხვ. — სამამულე მფლობელობის შესახებაც გვაწვდიან ცნობებს.

ჩვენი ეკლესია და ცენტრალური ხელისუფლება ყოველ-
თვის დიდ ყურადღებას აქცევდა ამ რეგიონს. ეკლესიურად
ყოფილი ოლქის ტერიტორია, ძირითადად, ნიქოზელის სამწყ-
სოში შედიოდა, ნაწილი კი მცხეთის საკათალიკოსოს, სამთა-
ვისის და წილქნის ეპარქიების იურისდიქციის ქვეშ იყო. ვახ-
ტანგ გორგასლის დაარსებულ ნიქოზის ეპარქიაში „ზაქარია
პირველ ეპისკოპოსის“ მიერ მაშინვე იქნა აღმართული საე-
პისკოპოსო საყდარი. ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე მოთავ-
სებული ამის მაუწყებელი წარწერა ერთ-ერთი უძველესია
ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს შორის (V ს.)

უნდა აღინიშნოს, რომ ცხინვალის რეგიონი, ისევე, რო-
გორც შიდა ქართლი, მთლიანად ქართული ხუროთმოძღვ-
რული ძეგლებითა და ქართული წარწერებითაა მოფენილი.
მათში დაცული ცნობები, ისტორიულ დოკუმენტებსა და ნა-
რატიულ წყაროებთან შეჯერებით, ყოველთვის აფიქსირებენ
ამ რეგიონის, ქართული სახელმწიფოსა და ქართული მართ-
ლმადიდებელი ეკლესიისაგან განუყოფლობას. ადასტურე-
ბენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, ყველა ფენის წარმო-
მადგენლები, როგორც წესი, იყვნენ ქართველები, მართლმა-
დიდებელი ქრისტიანები, რომელთა სალაპარაკო, სალიტერა-
ტურო, სახელმწიფო და საეკლესიო ენა იყო ქართული.

ჩვენსა და ოსებს შორის ყოველთვის იყო ისეთი სამეზობ-
ლო ურთიერთობა, რაც ფეოდალიზმის ხანისთვის არის დამა-
ხასიათებელი — იყო გარეშე მტერთან ერთობლივი ბრძოლის
შემთხვევები, იყო ურთიერთთავდასხმებიც. ძირითადი დამა-
კავშირებელი გზები ჩრდილოეთ კავკასიონიდან საქართველოში
დარუბანდსა და დარიალზე გადიოდა.

ოსებთან ისტორიულად ნათესაური კავშირებიც გვქონ-
და, პოლიტიკური ქორნინებების სახით, ოსი თანამეცხედრე-
ბი ჰყავდათ ერთიანი საქართველოს მეფებს — გიორგი I-ს,
ბაგრატ IV-ს, გიორგი III-ს...

ოსების განსახლება ჩრდილო კავკასიაში ეჭვს არ იწვევს.
წყაროებში ისინი ყოველთვის იმ ხალხებთან ერთად არიან
მოხსენიებულნი, ვისი საცხოვრისიც ჩრდილოეთ კავკასიაში
ისტორიულად ფიქსირდება, მოგვიანო ხანაში ეს უკვე რუკე-
ბითაც არის დადასტურებული.

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მათ განსახლებას — ვახუშტი ბაგრატიონი, რომლის შედგენილ რუკებს მაღალ შეფასებას აძლევენ ქართველი და უცხოელი კარტოგრაფები და ისტორიკოსები, აჩვენებს, რომ XVIII საუკუნის 20-იან წლებში ოსური სოფლები უკვე დაფიქსირებულია ლიახვის, ფრონეს და ლეხურის ზემო წელში. აქვე ვახუშტი უთითებს, რომ იქ ადრე ქართველები ცხოვრობდნენ, მაგრამ, რადგან მოსახლეობა ომების გამო შემცირდა და მთიდან ბარში ჩაიწია, მათი ადგილი ჩრდ. კავკასიიდან გადმოსულებმა დაიკავეს. XVI ს-ში, ჩვენმა გმირმა მეფებმა — ლუარსაბ I-მა და სიმონ I-მა, თავისი შეურიგებელი ბრძოლით, მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეულ ქვეყანას შეუნარჩუნეს სახელმწიფოებრიობა, რწმენა და ეროვნული თვითშეგნება, მაგრამ უამრავი ხალხი შეენირა ამ ბრძოლებს, ძალიან შეთხელდა მოსახლეობა. ამით ისარგებლეს ჩრდილოკავკასიელმა ტომებმა და XVII საუკუნიდან დაიწყეს საქართველოში გადმოსცვლა და დასახლება. ასე გაჩნდა აფსუათა დასახლება დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის ტერიტორიაზე, ლეკების კახეთში და ოსებისა აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში.

XVII ს-ის დოკუმენტში ოსეთიდან გადმოსული და „ჯავას ზემოთ“ სოფ. როკაში დასახლებული პირველი ოსური ოჯახია დაფიქსირებული — თომაშვილი ხონთქარა და მისი შვილი ხაჩი. როსტომ მეფე (1632-1658 წწ.) ავალდებულებს სახელმწიფო მოხელეს, იასაულ ხერხეულიძეს, რომ ამ ოჯახსაც და, თუ კიდევ ვინმე გადმოვა ოსეთიდან, იმათაც, ხელი შეუწყოს ჯავაში დასასახლებლად. ქართველ მეფეთა და თავადთაგან ოსთა საქართველოში დასახლების წახალისება ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების სურვილით იყო განპირობებული. ასე ცდილობდნენ იმ დანაკლისის შევსებას, რაც ირან-ოსმალეთთან ბრძოლებისა და ლეკიანობის შედეგად განვიცადეთ. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ, მაგ. ოსი თუშუკო კუდუხაშვილი გაათარხნა, გადასახლებისგან გაათავისუფლა და აზნაურობაც კი უბოძა ოსების ჩრდ. კავკასიოდან საქართველოში გადმოყვანის გამო.

რუსი ელჩის მ. ტატიშჩევის ცნობით, XVII ს-ის დასაწყისში ქართლ-კახეთში სულ 200 ოსი ცხოვრობდა. დოკუმენტი, რომელიც XVII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება, აღნიერს, რომ ოსების შემოსევებისაგან ამონებდა და გაუკაცურდა ზემო ჯავა. დღეს, როცა ოსი მეცნიერები რუსულად თარგმნიან ამ დოკუმენტს, ისეთ სახეს აძლევენ, თითქოს ზემო ჯავა ოსებისგან დაცარიელდა, არადა იქ გარკვევით წერია, რომ ოსების თავდასხმების შედეგად დაცარიელდა ზემო ჯავა. ეს დოკუმენტი ქართველების შედგენილია, ქართველები არიან მღვდელიც, დამწერიც და ის ოჯახიც, რომელიც ზემო ჯავაში მამულს ყიდის, რადგან ოსების თავდასხმებისგან 10 კაციდან 5 დარჩა მარტო ცოცხალი და უნდათ, რომ ბარში გადავიდნენ საცხოვრებლად. აქ ერთი უგზო-უკვლოდ დაკარგული ქართველიც არის ნახსენები, გვარად ძიგანიდე, რომლის მამულიც ასევე იყიდება.

ამდენად, ეს რეგიონი არავითარ ოსეთად არ მოიაზრებოდა. მინდა გითხრათ, რომ XIX საუკუნის 30-იან წლებამდე „სამხრეთ ოსეთი“ — ასეთი ადმინისტრაციული ერთეული კი არა, ტერმინიც კი არ არსებობდა და ეს რუსული წყაროებიდანაც ჩანს. მაგ., ყველამ ვიცით საქართველოს და რუსეთს შორის 1783 წელს დადებული გეოგროევსკის ტრაქტატის შესახებ. მაშინ სპეციალურად გამოაგზავნეს რუსეთიდან, პეტერბურგიდან პოლკოვნიკი ბურნაშოვი, რომელსაც საქართველოსა და კავკასიის რუკა უნდა შეედგინა. მის მიერ შედგენილ რუკაზე ოსეთი მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაშია დაფიქსირებული. პოლკოვნიკ ბურნაშოვს მიკერძოებულობას ვერ დავწამებთ.

ასევე ვერ დავწამებთ მიკერძოებულობას დას. ევროპელ კარტოგრაფებსაც. დე ვიტის (XVII ს.) და დე ლილის (1775 წ.) გამოცემულ კავკასიის რუკებზე ალან-ოსთა საცხოვრისი ასევე მხოლოდ ჩრდ. კავკასიაშია დაფიქსირებული. იგივე უნდა ითქვას რუსების მიერ ქართლ-კახეთის ანექსიის შემდეგ (1801 წ.) შექმნილი არქეოგრაფიული კომისიის მიერ შედგენილ რუკაზეც.

პირველად ტერმინი (ოლონდ როგორც ტერმინი და არა ადმინისტრაციული ერთეული) „სამხრეთ ოსეთი“ დაფიქსი-

რებულია 1830 წლის „ტიფლისკიე ვედომოსტის“ ფურცლებზე. ამ ტერმინს რუსი ჩინოვნიკები იყენებდნენ და ისიც ძალიან იშვიათად. 1917 წლამდე მხოლოდ ერთეული შემთხვევებია ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ გამოყენებისა.

1840 წ. მეფის რუსეთმა კავკასიაში ადმინისტრაციული რეფორმა გაატარა. საქართველოში შექმნეს „ოსეტინსკი ოკრუგი“ (1842 წ.), რომელიც ჩრდ. კავკასიის დაპყრობის შემდეგ (1859 წ.) იქით გადაიტანეს და თან „გააყოლეს“ საქართველოს ისტორიული პროვინცია დვალეთი. 1847 წ. გამოცემულ „კავკასიის გენერალურ რუკაზე“ კარგად ჩანს, რომ „ოსეტინსკი ოკრუგი“ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ მხოლოდ ერთ მესამედს მოიცავდა. მის შემადგენლობაში არც ცხინვალი შედიოდა და არც ახალგორი. რუკა დართული ჰქონდა ოსი მეცნიერის ბ. კალოევის 1967 წ. რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომს „ოსები“. მეორე გამოცემიდან (1982 წ.) ბ-მა ბ. კალოევმა აღნიშნული რუკა ამოიღო.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ, XIX ს-ის დასაწყისიდან, რუსეთი, თავისი იმპერიული მიზნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მიმართულებით ანხორციელებდა ექსპანსიას. დამპყრობელი დიდ ყურადღებას უთმობდა დემოგრაფიულ საკითხს — ხელს უწყობდა უცხოტომელთა ჩამოსახლებას ჩვენს ქვეყანაში, რათა ქართველები ეროვნულ უმცირესობამი აღმოვჩენილიყავით და ბევრი პრეტეზიის გამოთქმის უფლება აღარ გვქონდა. სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ ხელოვნურად ხდებოდა ოსური ეთნოსის გაზრდაც. მსოფლიოში აღიარებული ბროკჰუზისა და ეფრონის ენციკლოპედიის მიხედვით, 1860-1880 წწის ისტორია რაოდენობა საქართველოში 19 ათასიდან 52 ათასამდე გაიზარდა.

მიუხედავად ამისა, 1886 წლის აღწერის მონაცემებით, XIX ს-ის დასასარულს, ცხინვალში, ახლგორსა და ჯავაში არცერთი ოსი არ ცხოვრობდა. 1922 წელს, როდესაც ცხინვალი ოლქის დედაქალაქად გამოცხადდა, იქ უკვე 613 ოსი ცხოვრობდა, ხოლო 1989 წლისთვის მათმა რაოდენობამ 31 ათასს გადაჭარბა. 70 წლის განმავლობაში, 1922-1989 წწ., ცხინვალში

ქართველების რაოდენობა მხოლოდ ხუთჯერ, ხოლო ოსებისა 50-ჯერ გაიზარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის არსებობისას (1922-1991 წე.) ოსთა ეროვნული ინტერესები და ტრადიციები საქართველოში უფრო უკეთ იყო დაცული, ვიდრე რუსეთში. ოსების ისტორიულ სამშობლოში, ჩრდ. ოსეთის სკოლებში (ისევე, როგორც მთელ ჩრდ. კავკასიაში) სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. საქართველოში კი ამ დროს ოსური სამუალო სკოლები ფუნქციონირებდა, ორენოვანი (ოსურ-ქართული და ოსურ-რუსული) სწავლებით. ოსური უმაღლესი სასწავლებელი იყო ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცხინვალის ფილიალში, ენათმეცნიერების ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იკვლევდნენ და ასწავლიდნენ ოსეთის ისტორიას, ოსურ ენასა და ლიტერატურას, ფუნქციონირებდა ოსური თეატრი, გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები ოსურ ენაზე და სხვ. ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

ე.ნ. „სამხრეთ ოსეთ“ შენელებული მოქმედების ნაღმის ფუნქცია ეკისრებოდა, რომელიც საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გასვლის სურვილის შემთხვევაში უნდა ამოქმედებულიყო. როგორც ვიცით, ე.ნ. „სამხრეთ ოსეთმა“ ეს მისია ზუსტად „საჭირო დროს“ შეასრულა. 1980-იანი წლების და-სასრულიდან განვითარებული მოვლენების ანალიზი აშკარას ხდის, რომ ოს სეპარატისტთა გამოხტოვები მესამე ძალის, რუსეთის მიერაა ინსპირირებული. 1990 წელს თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის“ რესპუბლიკის „დამოუკიდებლობა“ არც ერთმა ქვეყანამ, მათ შორის, არც რუსეთმა, არ სცნო. საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების (პრეზიდენტი ე. შევარდნაძე) მიერ შემუშავებული სწორი პოლიტიკური კურსის მეოხებით, 1990-იანი წე-ის ბოლოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პირობები გამოჩნდა. რეგიონიდან დევნილი ქართული მოსახლეობა დაუბრუნდა თავის საცხოვრისს, აღდგა ქართველებსა და ოსებს შორის მანამდე არსებული ნათესაური და კეთილმეზობლური ურთიერთობები. 1999 წელს ცხინვალში ვიყავი ჩასული და პირადად დავრ-

წმუნდი ამაში. ნიქოზის, ცხინვალის, თიღვის და სხვ. ეკლესიების მონაზულებისას ერთად გვეგებებოდნენ ადგილობრივი ქართველები და ოსები. საერთოდ წაშლილი იყო ომის კვალი.

სამწუხაროდ, 2003-2004 წწ.-დან ჩვენი ხელისუფლების (პრეზიდენტი მ. სააკაშვილი) პოლიტიკური კურსი შეიცვალა, რამაც კვლავ შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიგვიყვანა. 2008 წ. ომი, რა თქმა უნდა, რუსეთმა დაიწყო. მან გადმოლახა საქართველოს საზღვარი და არა პირიქით, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება, შეგნებულად თუ შეუგნებლად, წამოეგო რუსულ პროვოკაციას, რაც 2008 წლის აგვისტოს ომით დასრულდა. დღეს ბევრად უფრო რთული პრობლემის წინაშე ვდგავართ. სეპარატისტულმა, თვითგამოცხადებულმა „სამხრეთ ოსეთის“ რესპუბლიკამ მანამდე საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი დიდი და პატარა ლიახვის ხეობათა სოფლები და ახალგორის რაიონიც მიიტაცა. ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა სცნო რუსეთმა და კიდევ რამდენიმე ქვეყანამ.

სხვათა შორის, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შექმნა 1922 წ., მაშინ იქ, ოსების სამშობლოში, ჩრდ. კავკასიაში, არავითარი ოსური ადმინისტრაციული და პოლიტიკური ერთეული არ არსებობდა. მხოლოდ 1924 წ. ჩამოყალიბდა ჩრდ. ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელსაც 1935 წ. ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიენიჭა.


ოსებს უნდა შევახსენოთ მათი ყველაზე ცნობილი ისტორიკოსის, ვასილ აბაევის სიტყვები, რომ ქსნის ხეობაში ისინი (ოსები) დაახლოებით 200 წლის წინ დასახლდნენ (1959 წ.). მეცნიერი 1990 წ. დაწყებულ ქართულ-ოსურ კონფლიქტსაც გამოეხმაურა. კარგი იქნებოდა ოსებს ყურად ეღოთ მისი შეგონება: „კავკასიონის მთავარი ქედი ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის და მისი დარღვევის ყველა მცდელობა გამოიწვევს პერმანენტულ კონფლიქტს ქართველებსა და ოსებს შორის. პირველ რიგში, უნდა დამთავრდეს ლაპარაკი სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან ჩამოცილებაზე. საქართველოს არც ერთი ხელისუფლება ამას არასდ-

როს დათანხმდება და მართალიც იქნება, რამეთუ ეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას ნიშნავს. ვისაც სურს მშვიდობა სამხრეთელ ოსებსა და ქართველებს შორის, მან სამუდამოდ უნდა უკუაგდოს სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთთან შეერთების იდეა. ვისაც სურს მშვიდობა საქართველოსა და რუსეთს შორის, მანაც ასევე უნდა დაივიწყოს ეს იდეა. ასეთია რეალობა“ („Независимая Газета“, მოსკოვი, 22 იანვარი, 1992 წ.).

მიუხედავად ყველაფრისა, დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ და ოს ხალხს გააჩნია რესურსი, დაძლიოს კონფრონტაცია და ერთად შექმნას მშვიდობიანი, ღირსეული მომავალი.

გვფარავდეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესის და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა: „ღმერთმა დალოცოს ქართველები და ოსები, ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო“.

„ვეფხისტყაოსანი“ შექსპირის ცაოქის ინგლისურ დრამატურგიაში



ელგუჯა
ხითიბიძე,
საქართველოს
მეცნიერებათა
ეროვნული
აკადემიის
აკადემიკოსი,
თსუ-ის
პროფესორი

ბევრი თქვენგანისთვის ალბათ უცხო იქნება ეს სათაური — შექსპირთან „ვეფხისტყაოსანი“ რა შუაშია, როგორ მივიღოდა? ეს კითხვა მეც მექნებოდა ჩემს ახალგაზრდობაში, მაშინაც, როდესაც უკვე „ვეფხისტყაოსანის“ მკვლევარი ვიყყავი. მაგრამ უკანასკნელი წლების მიღწევებმა და სამეცნიერო კვლევებმა მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რამ „ვეფხისტყაოსანი“ არის ერთი მნიშვნელოვანი წყარო XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისური დრამატურგიისა და თვით ამ დრამატურგიის უმაღლესი ეტაპის, შექსპირის შემოქმედებისა.

ჩვენს მეცნიერებაში ასეთი აზრი იყო დამკვიდრებული, რომ „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორის სახელი უცხოეთში მე-19 საუკუნემდე არ იყო ცნობილი, მაგრამ ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის უფრო ღრმად შესწავლამ და დამუშავებამ იმ პრობლემისა, თუ რამდენად იცნობდნენ ქართულ ლიტერატურას ევროპულ მეცნიე-

რებასა და საზოგადოებაში, მიმიყვანა იმ აზრამდე, რომელიც თავის დროზე ჩემთვისაც სრულიად მოულოდნელი იყო. კერძოდ — „ვეფხისტყაოსანი“ უნდა იყოს დიდი ინგლისური დრამატურგის ერთ-ერთი ლიტერატურული წყარო.

ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ ინგლისურ მწერლობაში, კერძოდ, მე-17 საუკუნის დრამატურგიაში, არსებობდა ერთი პიესა, რომელსაც სახელად ჰქვია „მეფე და არა მეფე“. მისი ავტორები თავის დროზე ძალიან პოპულარულები იყვნენ. ამ პიესაში მოქმედება მიმდინარეობს საქართველოში. ცნობილია, რომ საქართველო XVII საუკუნის ევროპის მხატვრულ ნაწარმოებებში ძირითადად ეგზოგიკის ქვეყნადაა წარმოჩენილი და პერსონაჟებს იღებდნენ არა ისტორიული და რეალური ცხოვრებიდან, არამედ ნარმოსახვიდან: ესაა ეგზოგიკის ქვეყნა — ლამაზი ქვეყნა ლამაზი ქალებით და ა.შ.. ამ ნაწარმოების უფრო ღრმად გაცნობამ დამარწმუნა, რომ მასში „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტია გადატანილი. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, გადატანილი არის ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ამბავი და მთელი პიესა ამის მიხედვითაა აგებული.

პიესას ორი ავტორი ჰყავს — ფრანსის ბომონტი და ჯონ ფლეტჩერი. ეს ორი ახალგაზრდა მე-17 საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით, 1610-იან წლებში, ერთად წერდა პიესებს ძალიან ცნობილი ინგლისური დასისთვის, რომელსაც ინგლისის სამეფო დასი ერქვა. ისინი ძალიან პოპულარულები იყვნენ, რამდენადაც ინგლისურ დრამატურგიაში დაამკვიდრეს ახალი ჟანრი, რომელსაც ტრაგიკომედია ერქვა. ეს ჟანრი, კომედიების და ტრაგედიების ფონზე, ინგლისურ საზოგადოებაში ძალიან პოპულარული გახდა. მაყურებელი ხშირად ამ ორი ავტორის პიესებს თვით შექსპირსაც კი ადარებდა და ამბობდა: — ეს უფრო საინტერესოა, შექსპირი მოსაწყენიაო. სწორედ ბომონტისა და ფლეტჩერის პიესაა „მეფე და არა მეფე“.

ძალიან მოკლედ გეტყვით პიესის შინაარსს. აქ ამბავი იმ-გვარადვე ვითარდება, როგორაც „ვეფხისტყაოსანში“. კერძოდ, მოთხრობილია, რომ უშვილო მეფე და დედოფალი ეძიებდნენ მემკვიდრეს სამეფო კარისთვის. ბოლოს გადაწყვიტეს

და იშვილეს სასახლეში მათთან ყველაზე მეტად დაახლოებული დიდებულის ახალდაბადებული ვაჟი. „ვეფხისტყაოსანშიც“ ასეა, თუმცა განსხვავებით, ინგლისურ პიესაში დედოფალმა გაითამაშა, თითქოს თვითონ იყო ფეხმძიმედ და ვაჟი შეეძინა. პიესაში პირდაპირ არის თქმული, რომ, როდესაც ეს ვაჟი, სახელად არბასესი, 5 წლის იყო, დედოფალი დაორსულდა და შეეძინა ქალი. ზუსტად ასეა „ვეფხისტყაოსანშიც“, ტარიელი ამბობს: „მე ხუთისა წლისა ვიყავ, დაორსულდა დედოფალი“. მეფე და დედოფალი ქალ-ვაჟს ერთად ზრდიდნენ, შემდეგ დააშორეს ერთმანეთს და ძალიან დიდ ხანს ერთმანეთი არ ენახათ. ასეა „ვეფხისტყაოსანშიც“. შემდეგ მეფე გარდაიცვალა, არბასესი გამეფდა და სრულიად ახალგაზრდამ დიდი ომიც გადაიხადა. როდესაც ომიდან ბრუნდებოდა, მას მისდიოდა წერილები დისგან. ამ წერილებში იყო სიმპათია, სიყვარული მისი, როგორც ძმისადმი. ამ პიესის მიხედვით არბასესმა დაამარცხა სომხეთი და მისი მეფე სახელად ტიგრანოსი. ბრძოლის შემდეგ მას თან მოჰყავდა დამარცხებული ახალგაზრდა მეფე მეგობრად და თან პირდებოდა, რომ ცოლად შერთავდა თავის ბრწყინვალე და მზეთუნახავ დას. მოქმედება ისე ვითარდება, რომ არბასესი დის დანახვისთანავე, ისევე როგორც ტარიელი, დაიბნიდა. ეს სცენა ზუსტად ისეა აღწერილი, როგორც „ვეფხისტყაოსანშიც“. არბასესს საკუთარი და შეუყვარდა. მან არ იცის, რომ ისინი ერთმანეთის ნამდვილი და-ძმანი არ არიან. ამ სიყვარულს ასევე სიყვარულით-ვე უპასუხა ქალმა და ისინი იტანჯებიან. ბოლოს და ბოლოს, გაირკვევა, რომ ისინი და-ძმანი არ არიან. მეფე არბასესი გახარებულია, რომ მისი სიყვარული კანონიერია და რომ იგი არ არის ჭეშმარიტი მეფე. როგორც ვხედავთ, პიესის ეს ამბავი მისდევს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს, თემას, აგებულებას. და ბოლოს, ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ბედნიერ და-სასრულში, სცენიდან ორი წყვილი გადის დასაქორწინებლად.

ამ პიესის მიგნებამ და ჩემმა ეჭვმა, რომ, თუ ასე დეტალურად იცნობენ ეს მწერლები „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს, მათ სხვა ნაწარმოებებშიც უნდა გამოჩენილიყო, მიმიყვანა ამ მწერალთა შემოქმედების უფრო ღრმად შესწავლამდე.

აღმოჩნდა, რომ იმავე პერიოდში, 1610 წლისთვის, ამავე ავტორებს დაწერილი აქვთ მეორე პიესა, რომელსაც სახელად „ფილასტერი“ ჰქვია და რომელიც ასევე „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულაზეა მოაზრებული.

ინგლისელი კრიტიკოსები და მეცნიერები ამბობენ, რომ „ფილასტერი“ ძალიან ჰგავს „მეფე და არა მეფეს“, თუმცა, ეს ორი განსხვავებული პიესაა და მათ წყაროს დაბეჭითებით ეძიებენ. „ფილასტერიც“ „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით აგებული პიესაა ისევ ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ამბავზე. ვიდრე ამის შინაარსზე მოგითხრობთ, უნდა გითხრათ, რომ ამ პიესების ასე მკაფიოდ დაფუძნება უცხო ფაბულაზე არ არის გასაკვირი. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდის ევროპული და, განსაკუთრებით, სწორედ ინგლისური დრამატურგია ეფუძნება უცხოურ, ძალიან პოპულარულ ან ძალიან უცნობ სიუჟეტურ წყაროებს. პიესებში ხდება ამ სიუჟეტების გადამუშავება და განახლება. ასეა შექსპირის მთელი შემოქმედება. მის ყველა ნაწარმოებს აქვს სიუჟეტური წყარო, რომელიც ხშირად ძალიან დეტალურადაც ემთხვევა პირველწყაროს. ინგლისურ ლიტერატურათმცოდნეობაში მიჩნეულია, რომ შექსპირის გენიალობა სწორედ ამ წყაროების გადამუშავებაში, მათში ახალი აზრის შეტანასა და ტრანსფორმირებაშია. იგივე ხდება ბომონტისა და ფლეტჩერის შემოქმედებაშიც.

როგორც აღვნიშნეთ, „ფილასტერიც“ იმავე სიუჟეტზეა აგებული. რომ არ გაგიკვირდეთ, თუ როგორ არის ორი პიესა ერთ ამბავზე აგებული, მოკლედ „ფილასტერის“ შინაარსსაც მოგითხრობთ. აქ ორი მეზობელი სამეფო — კერძოდ, კალაბრია და სიცილია — ერთმანეთან შებრძოლების შემდეგ შეერთდა. მეფეს, რომელიც უკვე გაერთიანებული ქვეყნის მეფეა, ჰყავს მხოლოდ ერთი მემკვიდრე ქალიშვილი და მისი გამეფება უნდა. ამავე დროს, შემოერთებული სამეფოს — სიცილის სრულიად ახალგაზრდა მემკვიდრეს, სახელად ფილასტერს, როგორც სამეფო გვარის უფლისწულს, პრეტენზია აქვს მეფობაზე, რამდენადაც მეფეს არ ჰყავს ვაჟიშვილი. მოგეხსენებათ, „ვეფხისტყაოსნიც“ ზუსტად ასეა აგებული.

მეფე გადაწყვეტს, ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანში“, რომ გააძლიეროს თავისი ქალის უფლებები სამეფო კარზე. იგი სიძედ მოიწვევს მეზობელი სამეფოს, კერძოდ, ესპანეთის უფლისნულს (მსგავსად „ვეფხისტყაოსანისა“, სადაც სასიძოდ ხვარაზმეთის მეფის შვილია შერჩეული). გაირკვევა, რომ სამეფოდ გამზადებულ ქალს, სახელად არეტუზას, რომელიც უნდა გაათხოვონ, ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ ნესტანს, ფარულად უყვარს შემოერთებული სამეფოს მემკვიდრე ფილასტერი. იქაც, „ვეფხისტყაოსანის“ მსგავსად, არეტუზა მოახლეს გაატანს წერილს საყვარელ ადამიანთან და მას თავისთან მოიწვევს. შეხვედრა გამოარკვევს, რომ თურმე ერთმანეთი ორივეს ფარულად უყვარს და მოითაბირებენ, როგორ ჩამოიშორონ ესპანეთიდან ჩამოსული უფლისნული. ამის შემდეგ ერთმანეთს ენაცვლება კომიკური სცენები — გათამაშდება ამბები სასიძოს ჩამოშორებაზე. „ვეფხისტყაოსანში“ ასეთი წერილი ნესტანმა ტარიელს ასმათის ხელით გაუგზავნა შენილებულად, თითქოს ასმათი საყვარლად მიდიოდა. ინგლისურ პიესაშიც ჩანს ამის კვალი — როდესაც მოახლე დაბრუნდება არეტუზასთან, იგი დაეკითხება, შენ შენებურად თვალებით მინიშნება ხომ არ დაუწყედა საყვარლად ხომ არ დაუდექი ფილასტერსო? ანუ ეს დეტალებიც კი „ვეფხისტყაოსანიდან“ არის გადატანილი.

დამთხვევაა შემდეგ ეპიზოდშიც: „ვეფხისტყაოსანი“ ინყება შესანიშნავი სურათით — ნადირობისას ავთანდილი და როსტევანი წყლის პირას მჯდომარე უცხო ახალგაზრდას ხედავენ, რომელიც ტირის. ზუსტად ასეა „ფილასტერშიც“ — მთავარი მოქმედი პირი — ფილასტერი ყვება, რომ, ნადირობისას, როცა ვისვენებდი, დავინახე, როგორ იჯდა მდინარის პირას ერთი შესანიშნავი ახალგაზრდა და ტიროდაო. ორივე პიესაში ჩანს უცხო მოყმით დაინტერესება. არის სხვა უამრავი დეტალი, რომელიც აშკარას ხდის, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის მიხედვით არის აგებული ეს ორი პიესა, რომელთა სიუჟეტურ წყაროს ინგლისური ლიტერატურული კრიტიკა დღემდე ეძიებდა.

ამთავითვე დაისმის კითხვა: — საიდან? ჩვენ არ ვიცით, იყო თუ არა „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილი ამ პერიოდისთ-

ვის. რომც ყოფილიყო, სად წაიკითხეს? ანუ როგორ შეიძლებოდა „ვეფხისტყაოსანი“ მისულიყო ინგლისამდე? ამ კითხვაზე საპასუხოდ დიდხნიანი მუშაობა გახდა საჭირო.

როდესაც დანამდვილებითი წყარო არ გვაქვს, ვერ ვიტყვით, საიდან შეიძლებოდა მიეღწია პოემას ინგლისელ ავტორებამდე, მაგრამ ვარაუდთა ძალიან ფართო სპექტრი გაჩნდა. ამ ვარაუდთაგან მხოლოდ ერთს მოგახსენებთ, რომელიც ნამდვილად სარწმუნო ვარაუდად მიმაჩნია — სპარსეთის სამეფო კარზე, შაჰ-აბას I-ის დროს, XVI საუკუნის დამლევს, ინგლისიდან ჩავიდა 26-კაციანი დელეგაცია. ამ პერიოდში ინგლისის ინტელექტუალური სამყარო მიმართავდა დიდ ძალისხმევას მთელი მსოფლიოს, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, სწორედ კულტურის ამბების, ქრისიერების, ზღაპრების, ისტორიების ინგლისში შესატანად, რომლებზედაც იგებოდა ინგლისური პიესები.

ამ 26-კაციან დელეგაციაში შედიოდნენ ცნობილი ინტელექტუალები, რომლებიც თავიანთ მოხსენებით ბარათებს ინგლისში აგზავნიდნენ, რითაც ავრცელებდნენ ცნობებს, ინფორმაციას. ამ დელეგაციას ხელმძღვანელობდა ცნობილი პიროვნება, დიპლომატი ანტონი შერლი, რომელიც თავად უაღრესად განათლებული, პოლიგლოტი და, როგორც ინგლისური ლიტერატურული კრიტიკა ამბობს, მწერალი იყო. იგი თავად წერდა, ამუშავებდა ამბებს და ინგლისის თეატრალურ დასს ამარავებდა მის მიერ გაგზავნილი ფაბულებით და პიესების მონახაზებით. ანტონი შერლი მთელი 6 თვის მანძილზე დარჩა შაჰ-აბასის სამეფო კარზე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მისი უშუალო მასპინძელი იყო შაჰის კარზე ყველაზე მეტად დაწინაურებული, მთავარი ვეზირი და შაჰ აბას პირველის მრჩეველი ალავერდი-ხანი გვარად უნდილაძე, ქართველი კაცი. როგორც ის, ასევე მისი შვილები — იმამყული-ხანი და დაუდ-ხანი ძალიან ცნობილი პიროვნებები იყვნენ ამ პერიოდის შაჰის სამეფო კარზე. ეს იყო ყველაზე მდიდარი ოჯახი სპარსეთში. როგორც წყაროები — ჩანაწერები და გამოქვეყნებული წიგნები იუნებიან, ალავერდი-ხანმა შაჰის დავალებით მიიღო ეს დელეგაცია, უმასპინძლა და ბოლომდე

მხარს უჭერდა ყველა მათ გადაწყვეტილებას. როგორც ჩანს, აქედან მოდის ინგლისისაკენ მთელი ეს ამბები, რომლებიც ამჯერად „ვეფხისტყაოსანს“ შეეხება.

დაისმება მეორე კითხვა — რამდენად იყო ალავერდი-ხანი დაინტერესებული ქართული სამყაროთი? საქმე ისაა, რომ ეს პიროვნება ცნობილია მთელ სპარსულ ლიტერატურულ და საისტორიო მწერლობაში. იგი, თავის შვილებთან ერთად, ბოლომდე იჩენდა დიდ ინტერესს ქართული სამყაროსადმი. ალავერდის ცოლი ქართველი იყო. ისიც ცნობილია, რომ ალავერდის მიერ აგებულ ერთ-ერთ მეჩეთზე ქართული წარწერაც იყო. იგი იყო მფარველი მწიგნობრობის და, როგორც სპარსული ისტორიოგრაფია იუწყება, იყო პოეტიც. ასე რომ, სრულიად მოსალოდნელია, რომ ამ წრეში გადამუშავებულიყო, შექმნილიყო და აქედან წაღებულიყო „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ინგლისური ვარიანტი.

რამდენად მივიდოდა ეს სიუჟეტი ინგლისის თეატრალურ დასთან?

საკითხის ამგვარად დასმამ უაღრესად საინტერესო დასკვნამდე მიმიყვანა. ალავერდი-ხანის მთავარი სტუმარი — ანტონი შერლი — იყო დიდი დელეგაციის ხელმძღვანელი. ამ დელეგაციას მფარველობდა ინგლისის ორი დიდი გრაფი, რომლებიც ანტონი შერლის მოყვრები იყვნენ. ერთი მათგანი — საპორტო ქალაქ საუთჰამპტონის გრაფი ჰენრი რაიტსლი შერლის ქვისლი გახლდათ. რატომ ვყვები ასე დეტალურად? იმიტომ, რომ შექსპირის შემოქმედებაში ჩანს ერთადერთი ისტორიული პიროვნება, რომელიც შექსპირის მეგობარი თუ სპონსორია. ეს არის სწორედ გრაფი ჰენრი რაიტსლი. შექსპირს მისადმი მიძღვნილი აქვს ორი პიესა და რამდენიმე სონეტი.

თუ ეს თეორია სწორია, სპარსეთის შაპის კარიდან წასული მასალა უნდა მისულიყო იმ წრეში, რომელთანაც ყველაზე ახლოს იყო შექსპირი. ჩვენ ახლა არ ვლაპარაკობთ უილიამ შექსპირის ბიოგრაფიაზე. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ ავტორზე, რომელმაც შექმნა მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი შედევრები. სწორედ იმ ნანარმოებებში ჩანს ავტორის მეგობარი ჰენრი რაიტსლი.

სწორედ ამ გზამ და ინგლისურ არქივებში, ბიბლიოთეკებშა და ინგლისურ-მცოდნეობის ლიტერატურულ ნაწერებში ჩატარებულმა კვლევებმა მიმიყვანა შექსპირთან. ჩემი ვარაუდით, შექსპირის ერთი ნაწარმოები, ისევ და ისევ, ტარიელისა და ნესტანის სიყვარულზეა აგებული.

შექსპირის ამ ნაწარმოებს ჰქვია „ციმბელინი“. ესეც იმავე პერიოდშია დაწერილი, 1608-10 წლებში, როდესაც ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის ორი ნაწარმოები დაიწერა. კიდევ მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი — ინგლისური ლიტერატურული კრიტიკა უკვე საუკუნეებია, გარკვევით წერს, რომ შექსპირის „ციმბელინი“, რომელშიც რაღაც უცნაური სიუჟეტი ვითარდება, ჰგავს მხოლოდ და მხოლოდ ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის „ფილასტერს“. იმდენად ახლოსაა ეს ორი ნაწარმოები სიუჟეტურად ერთმანეთთან, რომ XX საუკუნის დასაწყისში ერთი ამერიკელი მწერალი ვებერთელა წიგნს წერს — შექსპირი, როგორც ჩანს, სარგებლობს „ფილასტერით“ და ამის მიხედვით ქმნის „ციმბელინსო“. უფრო ადრე ერთი ცნობილი შექსპიროლოგი ფიქრობდა, რომ, შექსპირი კი არა, სწორედ „ფილასტერის“ ავტორები, ანუ ფრანსის ბომონტი და ჯონ ფლეტჩერისარგებლობდნენ შექსპირის „ციმბელინით“. უახლესი გამოკვლევები ამბობენ, რომ ამ ორ ნაწარმოებს აქვთ საერთო წყარო, მაგრამ რომელია ეს საერთო წყარო, ინგლისური ლიტერატურის კრიტიკისთვის ეს არ არის ცნობილი. წყაროდ მიიჩნევენ რენესანსული პერიოდის რაღაც რომანულ ამბავს და, ჩემი აზრით, ეს არის სწორედ „ვეფხისტყაოსანი“.

შექსპირი ძალიან დიდი მწერალია, მას პირნმინდად არ გადმოაქვს ეს ამბავი, როგორც გადმოიტანეს ფრანსის ბომონტმა და ჯონ ფლეტჩერმა, მაგრამ გადმოაქვს ნაწარმოების თემა, იდეა, კომპოზიცია და მთელი რიგი დეტალები.

თემა სწორედ იგივეა, რაც წინა ორ ნაწარმოებში — მეფეს და დედოფალს მემკვიდრედ დარჩათ მხოლოდ ერთი ქალი და შერჩეული ჰყავთ მისთვის ღირსეული საქმრო, მაგრამ ამ ქალს უყვარს მასთან ერთად გაზრდილი ახალგაზრდა, რომელიც უაღრესად ღირსეულია, თუმცა, მეფის ხელქვეითია,

როგორც ტარიელი — „ვეფხისტყაოსანში“. მემკვიდრე ქალი ეწინააღმდეგება გადაწყვეტილებას და ფარულად შეულლდება მის მიერ შერჩეულ ახალგაზრდასთან. მოხდება ის, რომ ამ წყვილს ერთმანეთს დააშორებენ და ახალგაზრდა ვაჟს გააძევებენ. მეცნიერები დაუკვირდნენ, რომ შექსპირის შემოქმედებაში გაჩნდა ახალი კომპოზიციური მოდელი: ამბავი ხდება სამეფო კარზე, იქ არის ინტრიგა, ხოლო შემდეგ მოქმედება გადის ქვეყნიდან გარეთ, თანაც გამოქვაბულში, ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანში“. ბოლოს, იქიდან გამოსული სამი ახალგაზრდა დიდ ომს გადაიხდის ინგლისის დამპყრობლების წინააღმდეგ, დაამარცხებენ მტერს, დაპრუნდებიან სამეფოში და არის ბედნიერი დასასრული, ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანში“.

ასე რომ, ნანარმოების თემა და იდეა — მემკვიდრის შენარჩუნება მეფედ და არა უცხო ქვეყნიდან მეფის მოყვანა, რაც, ამავე დროს, ქალის მიერ საკუთარი სურვილით, სიყვარულით ხდება; სიუჟეტის განვითარება — სამეფო კარზე განვითარებული ამბების გატანა ქვეყნის გარეთ; ბრძოლა და სხვა მთელი რიგი დეტალები მსგავსია „ვეფხისტყაოსანისა“. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ შუასაუკუნეების სპეციფიკური შინაარსითაა ნახსენები იურიდიული ტერმინი — „მართალი სამართალი“, თანაც სასწაულის იშვიათი ფორმის — „ხმელი ხის განედლების“ კონტექსტში. „ციმბელინშიც“ ჩანს „მართალი სამართალი“, ისევე, როგორც „ფილასტერში“. ხოლო „ხმელი ხის განედლებას“ მხოლოდ შექსპირის პიესაში ვხვდებით.

ავილოთ კიდევ ერთი სიუჟეტური დეტალი — „ვეფხისტყაოსანში“ დიდი დატვირთვა აქვს საატრიფოების მიერ საჩუქრების გაცვლას. ტარიელმა საგანგებოდ შეარჩია მისი ნადავლიდან ძალზე უცხო ყაბაჩა და რიდე, ნაქსოვი ოქროთი, რომელიც ნესტანს მიუძღვნა. ამას რუსთაველი ხაზს უსვამს და ორ სტროფს უძღვნის. ამის საპასუხოდ ნესტანიც აძლევს საჩუქარს ტარიელს და ერთმანეთს ეუბნებიან — როცა დავშორდებით, ამით მოვიგონებთ ერთმანეთსო. ასევე ვითარდება მოვლენები „ციმბელინშიც“. როდესაც ნესტანი თავისი

რიდეს ერთ გადანახევს გამოუგზავნის ტარიელს ქაჯეთის ციხიდან, ტარიელი აინთება ისე, რომ გული შეუწევდება, თავიდან დაიპნიდება. მსგავსად ვითარდება მოვლენები „ციმბელინშიც“.

მოგახსენებთ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ მხატვრულ სახეზეც — ნესტანი წერილს რომ უგზავნის ტარიელს ქაჯეთის ციხიდან, თავისებურად იწყებს: „ჰე, ჩემო, ესე უსტარი, არს ჩემგან მონაღვაწები, ტანი კალმად მაქვს კალამი ნაღველსა ამონაწები“. „ნაღველსა ამონაწები“ ნიშნავს, რომ ის წერილს დიდი სიმწარის გამო წერს. ეს მხატვრული სახე გვხვდება შექსპირთანაც — როცა მემკვიდრე ქალის სატრუოს აძევებენ, ვაჟი ქალს უუბნება: მომწერე წერილები, ნაღველის მელნით რომ მომწერო, ჩემი თვალებით მე შენს წერილებს შევინახავო. ნაღველის მელნით დაწერილი წერილი სხვაგან არსად ჩანს შექსპირის შემოქმედებაში.

შექსპირი აშკარად იცნობს იმ მასალას, რომელიც ჩამოტანილია სპარსეთიდან შერლის ექსპედიციის მიერ. მეცნიერებს გამოვლენილი აქვთ, რომ შექსპირი შერლის მიერ სპარსეთიდან გამოგზავნილ მასალას ნამდვილად იყენებდა: შერლის ერთ-ერთი თანამგზავრი აღნერს წერილში, თუ როგორ იხილა მან ერთი საოცარი ამბავი ალეპოში, თურქეთის ქალაქში — ერთი თურქი ვენეციელს სცემდა და აგინებდა ვენეციის ქვეყანას. შექსპირს თავის „ოტელოში“ ზუსტად აქვს ეს ეპიზოდი გადატანილი. ოტელო ბოლოს, თვითმკვლელობის დროს ამბობს: „ჯერ შეიცადეთ, მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა“ — და ჰყვება — ერთხელ, როცა ალეპოში ოსმალო ვინმე აგინებდა ვენეციელს და ლანძღავდა ქვეყანას, მე ამოვიღე ხანჯალი და მას ჩავკარი.

ყოველივე ამან ერთ მნიშვნელოვან და საინტერესო აზრამდე მიგვიყვანა — თუკი შექსპირის — „ციმბელინში“ ასე დეტალურად ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდები, სხვა ნაწარმოებებშიც ხომ არ არის რაიმე არეკლილი? უნდა მოგახსენოთ, რომ შექსპირის შემოქმედების ბოლო ეტაპი მეცნიერთათვის მნიშვნელოვანი საკვლევი ეტაპია. შენიშნულია, რომ, დაახლოებით, 1608 წლის შემდეგ შექსპირის შემოქმედებაში

შემოდის სრულიად ახალი თემატიკა და მსოლმხედველობითი პოზიცია: ტრაგედიებიდან იგი გადადის თავისებურ ფანტაზიურ სამყაროზე, ტრაგედიებს განავითარებს ბედნიერი და-სასრულისკენ და ქმნის ოცნებისეულ სამყაროს, დაახლოე-ბით ისეთს, როგორიც ისევ „ვეფხისტყაოსანს“ მოგვაგონებს. ამ ბოლო პერიოდში ცნობილია შექსპირის მიერ დაწერილი ოთხი პიესა — „პერიკლე“, „ციმბელინი“, „ზამთრის ზღაპარი“ და „ქარიშხალი“. ამ ოთხივე პიესაში უკვე თითქოს ჩანს რაღაცნაირი მიმართება „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტურ დე-ტალებთან, მაგალითად, ოთხივე პიესაში არის გადაკარგვა ზღვაში, გადაკარგვა კიდობანით, ან პერსონაჟის მიყვანა და შეუაზღვაში დატოვება უმართავ ნავში და სხვა მრავალი.

ყველა ამ ნაწარმოებში ერთი და იგივე თემაა — დაკარგული უფლისწული ქალი, მისი პოვნა და მისი ცოცხლად მიგნება. ყველა ეს ნაწარმოები მთავრდება ქორწილით, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანშია“ — უფლისწულების შეუღლებით. ყველა ამ ნაწარმოების ბოლოს ჩანს გამოსვლა გამოქვაბული-დან, ან განდეგილის სამყოფი სენაკიდან და სხვ.

კიდევ ერთი მაგალითი: „ციმბელინში“ გამოქვაბულში ხდება მოქმედება; იმ პიროვნებას, რომელიც ტახტის მემკვიდრე ქალის საქმროდ არის შერჩეული, მოკლავს ჭეშმარიტი მემკვიდრე ტახტისა, რომელიც შემდეგ გამეფდება. ესეც „ვეფხისტყაოსანს“ სიუჟეტის მნიშვნელოვანი ნაწილია.

„ვეფხისტყაოსანი“ აშკარად სიუჟეტური წყაროა შექსპირის შემოქმედებისა და შექსპირის თანამედროვე ორი მწერლისა — ბომონტისა და ფლეტჩერისა.

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ამბავი მოარული ამბავი ყოფილიყო და მისულიყო თავის დროზე რუსთველთან? აკი, იგი ასე ამბობს: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“... ხომ არ შეიძლება, ვიფიქროთ, რომ იგი რაღაც გზით მივიდა შექსპირამდე და ინგლისურ დრამატურგიამდე? რასაკვირველია, არა, ვინაიდან აქ არის დეტალური დამთხვევები მხატვრული სახეებისა, მითითებულია, რომ ამბავი ხდება საქართველოში, უფრო მეტიც, შეყვარებულ ქალს „მეფე და არა

მეფეში“ სახელად ჰქვია პანთეა, ეს მინიშნებაა პანტერაზე — ანუ ვეფხვზე და კიდევ — მთავარია ის, რომ ამ ნაწარმოებებში და, კერძოდ, მთელ ინგლისურ დრამატურგიაში „ვეფხისტყაოსნის“ ქარგის მხოლოდ ერთი ნაწილია გადატანილი. ჩვენი შესწავლით გამოჩენდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არის ორი ქარგა, ერთ ფაბულაში ჩასმულია მეორე ამბავი, ეს დიდ ხელოვანთა სტილია, ასე ხდება ანტიკურ ლიტერატურაში, ასე ხდება შექსპირთანაც.

პირველი და ძირითადი ქარგა „ვეფხისტყაოსნისა“ არის ის, რაც ხდება სამეფო კარზე. მეფეს ჰყავს მხოლოდ ქალიშვილი, მან ეს ქალიშვილი უნდა გაამეფოს, ამის შესახებ დაუკითხება ვეზირებს, გადაწყვეტს, მოჰყავს სასიძო და ა.შ.. ესაა ფაბულა, მაგრამ ამაშია ჩასმული სხვა მეორე ამბავი — სამი მეგობრის მიერ ძებნა და კარგულისა, რაც არის მოარული ამბავი აღმოსავლეთში და მოდის ე.წ. ინდური ეპოსიდან, „რამაიანადან“. „ვეფხისტყაოსანში“ ძირითადი ფაბულა რუსთაველის მიერ საქართველოს ისტორიის, კერძოდ, თამარისა და გიორგი III-ის ისტორიის მიხედვით არის აგებული. სწორედ ისაა გადატანილი შექსპირთან და ინგლისურ დრამატურგიაში.

მივდივართ იქამდე, რომ ქართული ლიტერატურის შედევრი — „ვეფხისტყაოსანი“ — ყოფილა ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი ლიტერატურული წყარო. ეს დასკვნა უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი თანამედროვეობისთვის. საქართველოს, რომელიც ასე ისწრაფვის ევროპისკენ, აქვს თავისი ადგილი ევროპულ კულტურაში, ვინაიდან ასე იყო, თურმე, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. ინგლისური ლიტერატურული კრიტიკა დღემდე ეძიებს ამ ნაწარმოებების და შექსპირის ბოლო პერიოდის შემოქმედების რაღაც სიუჟეტურ წყაროებს. ამიტომ არის ჩვენი მიგნება საყურადღებო ინგლისური ლიტერატურული კრიტიკისთვის.

ისიც უნდა დავამატოთ, რომ ამ საკითხზე და მიგნებაზე საუბარი მხოლოდ აქ, ჩვენს წრეში, არ ხდება. ეს უკვე საერთაშორისო დონეზეა გატანილი. კერძოდ, ამის თაობაზე ორგზის იყო მოხსენებული ძალიან დიდ და ნარმომადგენლობით

კონგრესზე ამერიკაში, შექსპირისა და რუსთაველის საერთო იუბილეზე ინგლისში, საგანგებო კონგრესზე, რომელიც იმართება ინგლისის ერთ მნიშვნელოვან უნივერსიტეტში. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ლონდონში არის დაბეჭდილი ჩემი წიგნი, რომელიც ამ კვლევის ერთ ეტაპს ასახავს. ახლახან კი ევროპაში, ამსტერდამში, გამოქვეყნდა წიგნი, რომლის სათაურია „შუა საუკუნეების ქართული რომანი „ვეფხისტყაოსანი“ და შექსპირის ბოლო პერიოდის პიესები“.

ასე რომ, ეს პრობლემა კიდევ ერთი დიდი საკითხია ჩვენი მეცნიერების, ჩვენი ახალგაზრდების შემდგომი კვლევისთვის და შუა საუკუნეების ქართული კულტურის იმ დონეზე შეფასებისთვის, რასაც იგი იმსახურებს.



2018